


178
1960/2

საქართველოს
სამართლებრივი
საბჭოთაო

საბჭოთა სამართალი





საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი—ივნისი

1960 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ქურონალი

ზინაარსი

მოწინავე—საერთაშორისო სამართლის ნორმების და სუვერენიტეტის უზუსი დარღვევა	3
ნ. ლორთქიფანიძე—მტკიცების საგანი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში	8
თ. შავჯულიძე—ნასამართლობის გაქარწყლება საბჭოთა სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით	16
ს. ჯორბენაძე—კაპიტალისტური საკუთრების პუბლიციზაციის ბურჟუაზიული თეორიების შესახებ	23
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალები	30
ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალები	44

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის კვატორტი

მ. ვეფხვაძე—საბჭოთა მართლმსაჯულება ახალი ამოცანების წინაშე	51
ნ. ინოზემცევი—პირველი შედეგები	57
გ. ცხვარაძე—მტკიცედ დავიცვათ უსაშიშროობის ტექნიკის წესები	59

დანაშაულის კვალდაკვალი

მ. ხმალაძე—ერთი მკვლელობის გახსნის ისტორია	62
სასამართლო დარბაზიდან	65
ინფორმაცია	67
გაზეთების ფურცლებზე	77
ბურჟუაზიულ ქვეყნებში	79
სასამართლო პრაქტიკა	81
არბიტრაჟის პრაქტიკა	85
ჭონიკა	87
ნეკროლოგი—შ. გ. მესხიშვილი	88



СОДЕРЖАНИЕ



Передовая—Грубое нарушение норм международного права и суверенитета	3
Н. Лордкипанидзе—Предмет доказывания в процессе Советского гражданского права	8
Т. Шавгулидзе—Погашение судимости по новому уголовному законодательству	16
С. Джорбенадзе—О буржуазных теориях публицизации капиталистической собственности	23
Материалы третьей сессии Верховного Совета Грузинской ССР	30
Материалы Грузинской юридической терминологии	44

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

М. Венхвадзе—Советское правосудие перед новыми задачами	51
Н. Иноземцев—Первые итоги	57
Г. Цхварадзе—Строго соблюдать правила техники безопасности	59

ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЙ

В. Хмаладзе—История раскрытия одного убийства	62
Из зала суда	65
Информация	67
На страницах газет	77
В буржуазных странах	79
Судебная практика	81
Практика госарбитража	85
Хроника	87
Некролог—Ш. В. Месхишвили	88

საერთაშორისო საერთაშორისო ნორმების და სუვერენიტეტის უხეში დარღვევა

მთელი პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებულია ამერიკის შეერთებულ-
ლი შტატების რეაქციული წრეების პროვოკაციული მოქმედებით, რომლის შე-
დეგად ტორპედირებულ იქნა მშვიდობისმოყვარე ადამიანების მიერ ნანატრი
თათბირი უმაღლეს დონეზე.

წლების განმავლობაში საბჭოთა მთავრობა ყველა დონისძიებას ხმარობდა
იმისათვის, რომ ბოლო მოეღო არსებული საერთაშორისო დაძაბულობისათ-
ვის, განემტკიცებინა ხალხთა უშიშროებისა და მშვიდობის საქმე. ამ მხრივ
განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს.
ხრუშჩოვის მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში,
რამაც რთული პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის პერსპექტივა შექმნა.
ოთხი დიდი სახელმწიფოს შეთანხმებამ, შეკრებილიყვნენ 16 მაისს პარიზში,
მთავრობების მეთაურთა თათბირზე, მთელი პროგრესული კაცობრიობის კმა-
ყოფილება გამოიწვია, ყველა დარწმუნებული იყო, რომ მშვიდობიანი თანაარ-
სებობის აუცილებლობა, როგორც ატომური კატასტროფის ალტერნატივა, ბო-
ლოსდაბოლოს გაიკაფავდა გზას.

კაცობრიობა სულგანაბული ელოდა 16 მაისს, მაგრამ... ჯერ კიდევ აპრი-
ლის თვეში თავი იჩინა ორმა მეტად სიმპტომატურმა ფაქტმა.

9 აპრილს ამერიკის თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაე-
რო საზღვრები, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, მაგრამ ამჯერად საბჭოთა მთა-
ვრობამ არჩია არაფერი ეთქვა ამ ინციდენტის სულისჩამდგმელებისათვის,
რადგანაც იცოდა, რომ ვაშინგტონი ცივ უარს იტყოდა და საბჭოთა კავშირის
გადააბრალებდა თათბირის წინ საერთაშორისო ატმოსფეროს მოწამვლას.

20 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თა-
ნაშემწე დილონი გამოვიდა განცხადებით, რომელიც ოფიციალური წრეების
მიერ აღიარებულ იქნა როგორც „ძირითადი განცხადება ამერიკის შეერთ-
ებული შტატების პოლიტიკის შესახებ უმაღლეს დონეზე თათბირის წინ“. დი-
ლონი მოითხოვდა თანაარსებობის პრინციპის დასამარტებას და საბჭოთა კავში-
რის წინააღმდეგ „ძალის პოლიტიკის“ თანმიმდევრულად განხორციელებას.

ცნობილი ვახდა ისიც, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი პარიზში დარჩე-
ბოდა მხოლოდ ერთ კვირას და ლისაბონში ხანმოკლე გაჩერების შემდეგ დაბ-
რუნდებოდა ვაშინგტონს, პრეზიდენტის ადგილს კი დაიკავებდა ვიცე-პრეზი-
დენტი ნიქსონი.

ამ განცხადებამ გააოცა მსოფლიო; თათბირის დღის წესრიგში მდგარი
ამოცანები მოითხოვდნენ ხანგრძლივ მოლაპარაკებას, ერთ კვირაში შესაძლო
იყო მომხდარიყო მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასეთი პოზიცია მოწმო-
ბდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გულწრფელად არ იყო
დაინტერესებული რთული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრით.

ის შესახებ, რომელნიც არეგულირებენ სამგზავრო და საბარგო თვითმფრინავების ნავიგაციას, ხოლო, რაც შეეხება სამხედრო თვითმფრინავებს, ერთი სახელმწიფოს სამხედრო თვითმფრინავის შეჭრა მეორე სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში სპეციალური ნებართვის გარეშე მართლსაწინააღმდეგო აქტად ითვლება. პარიზის 1919 წ. კონვენციის პირველივე მუხლი აცხადებს „...მხარეები ცნობენ, რომ ყოველ სახელმწიფოს გააჩნია სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტი მის ტერიტორიაზე არსებულ საჰაერო სივრცის მიმართ“, იგივე კონვენცია სასტიკად კრძალავს უცხო სახელმწიფოს სამხედრო თვითმფრინავების მიერ სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცის საზღვრების შელახვას სპეციალური ნებართვის გარეშე. აღსანიშნავია, რომ კონვენცია იძლევა იმის განმარტებასაც თუ რა ჩაითვლება სამხედრო თვითმფრინავად: სამხედრო თვითმფრინავად ითვლება ისეთი საფრენი აპარატი, „რომელიც სამხედრო სამსახურში მყოფ და სპეციალურად გამოყოფილი პირის განკარგულებაშია“. ამდენად ამერიკის შეერთებული შტატების მოტივი, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავი „უიარაღო“ იყო (თუ ჩვენ „დავივიწყებთ“ მის „ჯაშუშურ“ აპარატურას) ვერ უძღვებს კრიტიკას, რადგანაც (თვით ამერიკის მთავრობამ აღიარა ეს ფაქტი) პაუერსი სამხედრო პირია.

ამგვარად—თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სასტიკად უკრძალავს ყოველ სახელმწიფოს გაგზავნის თავისი სამხედრო თვითმფრინავები სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში წინასწარი შეთანხმების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას — აგრესიას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება კრძალავს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის ყოველგვარ შელახვას, კატეგორიულად მოითხოვს სახელმწიფოებისაგან თავი შეიკავონ ყოველგვარი ასეთი აქციისაგან.

აქა იქ ისმის ხმები იმის შესახებ, რომ თითქოსდა 20 ათასი მეტრის სიმაღლე „სახელმწიფო კონტროლს გარეშე მყოფ ზონას წარმოადგენს“ და ამდენად არ შეიძლება ლაპარაკი აგრესიაზეო. მართალია, დღემდე სადაოა საჰაერო სივრცის ჭერი. გავიხსენოთ, რომ როდესაც ცაში გაჩნდნენ საბჭოთა პირველი თანამგზავრები ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყეს ყვირილი, თითქოს საბჭოთა კავშირმა შელახა სხვა ქვეყნების სუვერენიტეტი საჰაერო სივრცეზე. მაგრამ არცერთი სახელმწიფოს მთავრობამ არ განუცხადა სსრ კავშირს პროტესტი, ამკარა იყო ასეთი პრეტენზიის უსაფუძვლობა—საბჭოთა კავშირმა გაუშვა თანამგზავრები საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისათვის, რის შესახებაც წინასწარ იცოდნენ ყველა ქვეყნებმა. მაგრამ თანამგზავრები 300-500 და მეტი კილომეტრის დაშორებით ე. წ. კოსმოსში მოძრაობენ, რაც შეეხება 20 კილომეტრს, არცერთი ბურჟუაზიული სპეციალისტი არ ცნობს ამ „ჭერს“ სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარეშე არედ. საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის „ჭერი“ წვდება იმ ზონამდე, სადაც ჰაერის სიმკვრივე იძლევა თვით-

¹ ატმოსფერო ე. ი. საჰაერო სივრცე, რომელიც უშუალოდ მიწას ეკვრის შესდგება ხუთი ზონისაგან: ტროპოსფერო (10 კილომეტრი), სტრატოსფერო (10-40 კმ.), მეზოსფერო (40-80 კმ.), ტერმოსფერო (80-375 კმ.), ეკზოსფერო (375-კმ-დან). ატმოსფეროს ზედაფენების და მის იქით მდებარე პლანეტაშორისო სივრცეს ეწოდება „კოსმოსის სივრცე“.

მფრინავების ან სხვა საფრენი აპარატების მოძრაობის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საფრენი აპარატის ქვეშ იგულისხმება „აპარატი, რომელიც ჩერდება ჰაერში უკანასკნელის წინააღმდეგობის გამო.“¹ ეს კი მხოლოდ 300 ათასი მეტრის იქით შეუძლებელი უნდა იყოს.

დღეს დაობენ მხოლოდ იმაზე, შეიძლება თუ არა გავრცელდეს სუვერენიტეტი კოსმოსურ² არეზედაც, ხოლო რაც შეეხება ქვედა ფენებს, ამაზე ლაპარაკი კი ზედმეტია.

ამგვარად საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატების აქტი 1960 წლის 1 მაისს ვერაფრით გამართლებას ვერ პოულობს, იგი აშკარა უკანონობაა, ხოლო „პეტერის დოქტრინას“ ეს უკანონობა აპყავს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ერთერთ ძირითად პრინციპად, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხების აღშფოთება და მრისხანება. ამიტომ საბჭოთა კავშირმა მიმართა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს, რომელსაც აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში. სამწუხაროდ, მან ვერ გადაჭრა მის წინაშე მდგომი ამოცანა. საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტმა, რომელიც გამოხატავდა ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციულ მოქმედებას, საერთაშორისო სამართლისა და სუვერენიტეტის ნორმების უხეშ დარღვევას, ამერიკის მორჩილი ქვეყნების უპრინციპო ზოზიციის გამო, ვერ შეაგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა.

საბჭოთა კავშირმა ჯერჯერობით გააფრთხილა შეერთებული შტატები და ის სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზებიდან ავლენ და საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში შეიჭრებიან თვითმფრინავები, რომ მთელი პასუხისმგებლობა პროვოკაციული ფრენის განახლების შემთხვევაში დაეკისრება მათ. ჩვენი ქვეყანა თავს არ შეიკავებს იმაზეც, რომ დაუშინოს რაკეტები აღნიშნულ ბაზებს. თათბირი უმაღლეს დონეზე ამჯერად ჩაიშალა, ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების ხრიკების შედეგად. ეს აშკარაა მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის, ეს იძულებული არიან აღიარონ ზოგიერთმა მემარჯვენე პოლიტიკოსებმა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ შეთანხმება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არ შეიძლება, — როგორც განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — უნდა აღდგენილ იქნეს სახელმწიფოებს შორის ნდობა და 6-8 თვის შემდეგ თათბირის მოწყობა უმაღლეს დონეზე სრულიად შესაძლებელია. უფრო მეტიც, „ჩვენ, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა 28 მაისს, — უარი არ გვითქვამს და არ ვამბობთ მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე და მიგვაჩნია, რომ ეს ახლაც სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ასეთი შეხვედრა ეწყობოდეს წესიერ საფუძველზე. იგი შეიძლება გაიმართოს, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რაც მოხდა“.

1. В. Шоукросс и Бьюмонт, воздушное право. М. 1957 г, с. 21.

2. საკითხი კოსმოსის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ ცალკე, მეტად სერიოზული საკითხია, რომელიც სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს.

3 იხ. გაზეთი „კომუნისტი“ 1960 წ. 29 მაისი.

გვქიხუვის საგანი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსი

5. ლორთქიფანიძე

საბჭოთა მართლმსაჯულების ამოცანაა ობიექტურ სინამდვილის შესაბამისად განსახილველი საქმის ფაქტიურ გარემოებათა დადგენის გზით კანონიერა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა.

საქმის საძიებელი ფაქტები ერთობლივ შეადგენენ მტკიცების საგანს სამოქალაქო სამართლის პროცესში.

სარჩელის საგნის, ასევე მატერიალური სამართლის ნორმაში მოხაზული საძიებელი ფაქტების წრის ზუსტ განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგნის სწორი დადგენისათვის.

საქმეზე საძიებელი ფაქტების არსებობას თუ არარსებობას სამართლის ნორმა გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს, ამიტომ მტკიცების საგნის შედგენილობაში შედიან სარჩელის საფუძვლისა და მოპასუხის მისაგებლის იურიდიული ფაქტები. სწორედ ასე განსაზღვრავს მტკიცების საგანს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 126 მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რაზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და მისაგებელს“.

სამართლის თეორია იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით იძლევა. სუბიექტების ნების მომენტის მიხედვით იურიდიული ფაქტები იყოფა ხდომილებად და მოქმედებად. სამართლებრივ ურთიერთობების დინამიკაზე გავლენის მიხედვით კი იურიდიული ფაქტები იყოფა უფლებრივ ურთიერთობების წარმოშობ, შემცვლელ, შემწყვეტ, დამფარავ ფაქტებად, აგრეთვე ისეთ ფაქტებად, რომლებიც მოსარჩელეს აკავშირებენ მის მოთხოვნასთან, ხოლო მოპასუხეს შესაბამის პოვალეობასთან.

იურიდიული ფაქტების ყველა ჩამოთვლილი სახე მტკიცების საგანში შეიძლება შევიდეს იმდენად, რამდენადაც მათ შეიძლება ჰქონდეთ არსებითი მნიშვნელობა საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

საკითხი იმის შესახებ, არსებითია თუ არა ესა თუ ის ფაქტი, წყდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადასაწყვეტი დავის ხასიათის მიხედვით. თუ ერთ შემთხვევაში განსაზღვრული ფაქტის დადგენა აუცილებელია საქმის სწორი გადაწყვეტისათვის, სხვა შემთხვევაში იგივე ფაქტი შეიძლება ირელევანტური აღმოჩნდეს, ესე იგი მისმა დადგენამ გავლენა ვერ მოახდინოს საქმის გადაწყვეტაზე. ასე, მაგალითად, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა არსებითი მნიშვნელობის გარემოებაა სარჩელებში შრომის უნარმოკლებულ მშობლების შესანახად აღიშენებლის გადახდევინების შესახებ, მაშინ, როდესაც იმავე ფაქტს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სამემკვიდრეო საქმეებზე.

სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება ყოველ-

საქართველო
საბჭოთა

მხრივ, სრულყოფილად, ერთობლივად, არ დატოვოს მასში ბუნდოვანი, ჩრდილოვანი ადგილები, ვინაიდან ფაქტების ერთობლიობასა და მათ ურთიერთკავშირში მყლავნდება ჭეშმარიტება. ვ. ი. ლენინი შრომაში „II ინტერნაციონალის კრახი“ წერს: „მარქსის დიალექტიკა, რომელიც მეცნიერულ-ევოლუციური მეოთხდის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს, კრძალავს სწორედ საგნის განცალკევებულ, ესე იგი ცალმხრივსა და უმსგავსო დამახინჯებულ განხილვას“¹, ასე, მაგალითად, თუ აღძრულია სარჩელი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ, უნდა დადგინდეს შემდეგი იურიდიული ფაქტების ერთობლიობა:

ა) ვნების მიყენება (ჯანმრთელობისა ან სიცოცხლისათვის), რამაც ქონებრივი ზარალი გამოიწვია;

ბ) ვნების მიმყენებელი მოქმედების მართლწინააღმდეგობა;

გ) მიზეზობრივი კავშირი ვნების მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ მავნე შედეგს შორის;

დ) ვნების მიმყენებლის ბრალი (სამოქ. სამ. კოდექსის 403, 413 მუხ.), ან ვნების მიყენება დაუძლეველი ძალის ან თვით დაზარალებულის განზრახვისა თუ უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე (სამოქ. სამ. კოდ. 404 მუხ.).

აღნიშნულ ფაქტთაგან ერთ-ერთიც რომ არ იქნეს დადგენილი, საქსამართლოს უფლება არ აქვს გამოითანოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრება მიყენებული ვნების ანაზღაურება. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ თავის დადგენილებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება მის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგი მოტივით: „...არ არის დადგენილი არც უხეშური შემთხვევის ფაქტი მოქ. ა-სთან, არც მიზეზობრივი კავშირი ამ ფაქტსა (თუ ასეთს ადგილი ჰქონდა) და შემდგომში დამდგარ ა-ს სიკვდილს შორის“².

თუ აღძრულია სარჩელი სამემკვიდრეო ქონების გამოთხოვის შესახებ, აუცილებელია იმ ფაქტების დადგენა, რომელთა არსებობასაც კანონი უკავშირებს მოცემული მემკვიდრის უფლებას მიიღოს სამემკვიდრეო ქონება.


მემკვიდრეობის საფუძველზეა დამოკიდებული დასადგენი იურიდიული ფაქტების ხასიათი და მოცულობა. კანონით ქონების სამემკვიდრეობის შემთხვევაში აუცილებლად უნდა დამტკიცდეს: ა) სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტი, ბ) სამკვიდროს დამტოვებლისა და მემკვიდრის ნათესავობის ფაქტი, ან გარდაცვალებულის მიერ მემკვიდრის შვილად აყვანის ფაქტი, ან მემკვიდრის ქორწინებაში ყოფნა სამკვიდროს დამტოვებელთან უკანასკნელის გარდაცვალების მომენტისათვის და სხვა. თუ ადგილი აქვს ანდერძით სამემკვიდრეობას, ამ შემთხვევაში საჭიროა დამტკიცდეს კანონით გათვალისწინებული ფაქტები: ა) მოანდერძის გარდაცვალება; ბ) ანდერძის არსებობა; გ) რომ მემკვიდრეობის გახსნის მომენტში მოცემული პირი ეკუთვნოდა იმ პირთა წრეს, რომელთა სასარგებლოდაც შეიძლება შედგენილიყო ანდერძი და ასე შემდეგ³.

დასადგენი იურიდიული ფაქტი შეიძლება გამოიხატოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფორმით.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 21, გვ. 277.

² იხ. Судебная практика Верховного суда СССР, 1952 г. № 1, стр. 45-46.

³ В. И. Серебровский. Очерки Советского наследственного права. М., 1953, стр. 25.



შესაძლებელია თუ არა მტკიცება უარყოფითი ფაქტისა, რომელიც დადასტურებულია შინაარსით ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მოვლენის არარსებობას?

უარყოფითი ფაქტის მტკიცება არანაკლებ შესაძლებელი და დამაჯერებელია, ვიდრე დადებითი ფაქტისა.

საბჭოთა და ბურჟუაზიული საპროცესო სისტემები ურთიერთ დაპირისპირებულ შეხედულებებს ავითარებენ უარყოფითი ფაქტის მტკიცებადობის საკითხში. ბურჟუაზიული საპროცესო სამართლის გაბატონებული დოქტრინის თანახმად უარყოფითი ფაქტის მტკიცება მისი სპეციფიკის გამო შეუძლებელია;¹ მტკიცებას ექვემდებარება მხოლოდ დადებითი ფორმით გამოხატული ფაქტი. მხარე თავისუფლდება უარყოფითი ფაქტის მტკიცებასაგან, ხოლო ასეთი ფაქტის შინაარსის შესაბამისი დადებითი ფაქტის მტკიცების მოვალეობა მეორე მხარეს აწევს. ასეთი წესი გამომდინარეობს ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის ფორმალიზმიდან.

საბჭოთა სამოქალაქო პროცესისათვის უცხოა უსულგულო ფორმალიზმი და ამიტომ საბჭოთა სასამართლომ არ შეიძლება გაიზიაროს ხელოვნური და შინაგანად წინააღმდეგობრივი დებულება უარყოფითი ფაქტის მტკიცების შეუძლებლობის შესახებ.

ამრიგად, საბჭოთა საპროცესო სამართლის მიხედვით მტკიცების საგანი შეიძლება იყოს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი ფაქტიც, ფაქტთა ერთობლიობა (ტიტული).

სამოქალაქო სამართლის კოდექსში დასადგენად ხშირად არის მოხსენებული უარყოფითი ფაქტი (225, 226, 403, 404 და ა. შ. მუხლებში)

სასამართლო პრაქტიკაც ამ საკითხში თანმიმდევრულია. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავისი დადგენილებით საქმეზე ი. შასტინის სარჩელისა გამო მ. შასტინთან გააუქმა საქმეზე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება. ერთ-ერთ, და ამავე დროს გამომწყვეტ მომენტად კოლეგიამ დაასახელა იმ დამამტკიცებელ საბუთთა არ არსებობა, რომ მ. შასტინი და მისი ოჯახის წევრები თავიანთი ყოფაქცევით შეუძლებელს ხდიან მათთან ერთად ცხოვრებას².

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო კოლეგია მოითხოვს დადებითი ფორმით გამოხატული მტკიცებითი ფაქტების დადგენას, და მათი მეშვეობით უარყოფითი ფაქტის — ერთად ცხოვრების შეუძლებლობის დამტკიცებას.

ამგვარად, სათანადო უარყოფითი ფაქტების დაუმტკიცებლობა გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევს.

სამოქალაქო პროცესუალური სამართლის თეორია³ სარჩელის საფუძვლის

¹ იხ. В. М. Гордон. Устав гражданского судопроизводства с комментариями. СПб., 1914., стр. 368.

Мальшев. Курс гражданского судопроизводства., т. I стр. 274-275.

В. А. Исаченко. Комментарий к Уставу гражданского судопроизводства т. II, 1891., стр. 336.

² იხ. Сборник постановлений пленума и определений Коллегий Верховного суда Союза СССР, 1943., М. 1948 г., стр. 204.

³ Н. Б. Зейдер. Элементы иска в советском гражданском процессе, «Ученые записки Саратовского юридического института», 1956, стр. 141-145.

ფაქტიურ შემადგენლობას ჰყოფს სარჩელის აქტიური საფუძვლისა და მისი პასიური საფუძვლის ფაქტებად.

სარჩელის აქტიური საფუძვლის ფაქტები მიუთითებენ მხარეთა შორის მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაზე, განსაზღვრავენ სარჩელის საგნის მართლზომიერებას ან არამართლზომიერებას (მაგ. ხელშეკრულების კანონიერებას) და მის იურიდიულ კვალიფიკაციას, ასევე სათანადო ან არასათანადო მოსარჩელის საკითხს. ხოლო სარჩელის პასიური საფუძვლის ფაქტები კი მოწმობენ მხარეთა შორის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სადაო ხასიათს, მათ საფუძველზე წყდება სათანადო ან არასათანადო მოპასუხის საკითხი.

ამგვარად, სარჩელის საფუძვლის ფაქტები იყოფიან სპეციფიკურად მართლწარმომქმნელ ფაქტებად, ლეგიტიმაციის ფაქტებად, რომლებიც აკავშირებენ მოსარჩელეს მის მოთხოვნასთან და მოპასუხეს შესაბამის მოვალეობასთან, და, დასასრულ, სარჩელის საბაზის, ე. ი. სამართლის დარღვევის ფაქტებად.

სარჩელის საფუძვლის ასეთ დაყოფას, წინააღმდეგ ლ. პ. სმიშლიაევის შეხედულებისა¹, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი გამოძინარეობს პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან, რომელიც მოითხოვს საქმის შესწავლას და გადაწყვეტას სარჩელის მარტივი ნაწილიდან, ვინაიდან მასზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში იხსნება სხვა, უფრო რთული, საკითხის განხილვის საჭიროება.

პროცესუალისტთა შორის არ არსებობს აზრთა ერთიანობა იმ საკითხში, რომ ყველა ეს ფაქტი თუ მათი ნაწილი წარმოადგენს სარჩელის საფუძველს.

რევოლუციამდელ რუსულ საპროცესო ლიტერატურაში სარჩელის საკითხი დამუშავებული იყო ბურჟუაზიულ-დოგმატიკური იურისპრუდენციის თვალსაჩინო წარმომადგენელ ვ. ი. გორდონისა² და მის მიმდევართა მიერ.

პროფესორი ვ. მ. გორდონი სარჩელის საფუძველს განიხილავდა როგორც უფლების წარმომქმნელ ფაქტების შემადგენლობას. თავისი მხრივ სარჩელის საფუძველი — ეს არის მოსარჩელის მტკიცების საგანი, ხოლო მოპასუხის მტკიცების საგანს წარმოადგენს ის, რითაც იგი მოსარჩელის მტკიცების საგანს აბათილებს, ე. ი. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს უფლებრივი ურთიერთობის წარმომქმნელი ფაქტები, მოპასუხემ კი — ფაქტები, რომლებიც სპობენ უფლებრივ ურთიერთობას.

ეს მოძღვრება კრიტიკული თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან იგი შემოტანილ იქნა საბჭოთა საპროცესო სამართლის მეცნიერებაში. მაგალითად, დოცენტი ნ. აბრამოვი „სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელო“-ში წერს, რომ „მოსარჩელეს აწევს უფლებრივი ურთიერთობის წარმომქმნელი ფაქტების მტკიცების ტვირთი, ხოლო მოპასუხეს კი — ფაქტებისა, რომლებიც სპობენ ან აქარწყლებენ უფლებრივ ურთიერთობას“³.

საკმარისია ცხოვრების გამოცდილებას მივმართოთ, რომ ცხადყოფთ ამ

¹ Л. П. Смышляев, предмет доказывания в советском гражданском процессе, автореферат канд. диссертации., М. 1954., стр. 10.

² В. М. Гордон. Основание иска в составе изменения исковых требований, 1902., стр. 200, 263.

³ Гражданский процесс. Учебник. 1949 г., стр. 198-200, под ред. С. И. Абрамова.



კონსტრუქციის სრული უსაფუძვლობა. სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სარჩელის საფუძვლის ფაქტებია არა მარტო უფლებისწარმოქმნელი, არამედ უფლებისშემცვლელი, უფლებისშემწყვეტი და ა. შ. ფაქტები. ასე, მაგალითად, მოსარჩელეს შეუძლია თავისი სასარჩელო განცხადების საფუძვლად დაასახელოს კაბალურობის, მოტყუების და ა. შ. ფაქტები, ე. ი. ფაქტები, რომლებზეც მითითებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 30-34 მუხლებში და მოითხოვოს გარიგების ბათილად ცნობა, ანდა დაასახელოს ნოვაციის ფაქტები, საქმის მორიგებით დამთავრება, რაზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს. მოსარჩელეს აგრეთვე უფლება აქვს სარჩელის საფუძვლად წამოაყენოს ვალდებულების შესრულების ფაქტი, ჩათვლა და ა. შ. როგორც იურიდიული ფაქტები, რომლებიც სპობენ მოდავე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

რადგან პროფესორი ვ. მ. გორდონი სარჩელის საფუძველს განიხილავდა როგორც მხოლოდ უფლების წარმოქმნელი ფაქტების ერთობლიობას, ამიტომ, ბუნებრივია, მას ლეგიტიმაციის ფაქტები და სარჩელის საბაბის ფაქტები გამოჰქონდა სარჩელის საფუძვლის ფარგლებს გარეთ. ლეგიტიმაციის ფაქტები, პროფ. გორდონის აზრით, განაპირობებენ არა მოსარჩელის მოთხოვნებს, არამედ სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის წესს, ნიშნავენ მხოლოდ ცვლილებებს სარჩელის უფლების პირობებში, ხოლო სარჩელის საბაბის ფაქტები განაპირობებენ სასამართლო დაცვის დასაშვებლობას და იმყოფებიან სარჩელის არსის გარეთ¹.

ეს შეხედულება მცდარია და იგი სრულიად დასაბუთებულად იქნა ფაქრიტიკებული საბჭოთა პროცესუალისტების მიერ.

ლეგიტიმაციის ფაქტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სარჩელის საფუძვლის სხვა ფაქტებთან და მათთან ერთად უნდა იქნენ დამტკიცებული. ასე, მაგალითად, ბავშვის შენახვის გამო საალიმენტო საქმეებზე ბავშვის ფაქტიური ცხოვრება პირთან წარმოადგენს მოსარჩელის ლეგიტიმაციის ფაქტს ე. ი. ფაქტს, რომლის საფუძველზე წარმოიშობა მოცემული პირის უფლება სარჩელზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ.

მტკიცების ობიექტს წარმოადგენს აგრეთვე სარჩელის საბაბის ფაქტები. უდავოა ის გარემოება, რომ სწორედ მოვალის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის ფაქტი წარმოადგენს ძირითად სადავო საკითხს პროცესში. თუ არ არსებობს სამართლის დარღვევა, რაღა საჭიროა უფლების იძულებითი განხორციელება? ამრიგად, თუ არ არსებობს სარჩელის საბაბი, არც სასარჩელო წარმოება იქნება. ასეთი, თუნდაც ზოგადი ხასიათის მსჯელობა, ჩვენის აზრით, წარმოადგენს საფუძვლიან არგუმენტს შემოხსენებული შეხედულების წინააღმდეგ.

ამრიგად, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის საფუძვლის ფაქტების განსხვავების საფუძველზე, ცალ-ცალკე უნდა შეისწავლოს ისინი; ამავე დროს არ უნდა დაივიწყოს სარჩელის საფუძვლის ფაქტების განუყოფლობა და ერთიანობა; თუმცა მათი დანაწევრება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამართლებულია საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით.

¹ В. М. Гордон, Основание иска в составе изменения исковых требований, стр. 219 и 280.

საბჭოთა პროცესუალურ ლიტერატურაში სადავოა სამოქალაქო პროცესში სარჩელის საგნისა და საფუძვლის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები. ადრინდელი წლების სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართებით არ არის თანმიმდევრული. ამავე დროს, სარჩელის საგნისა და საფუძვლის შეცვლის პრობლემას მჭიდრო კავშირი აქვს საძიებელი ფაქტების წრის ზუსტი განსაზღვრის საკითხთან.

რამდენადაც სარჩელის საგანი და საფუძველი ისეთი ელემენტებია, რომლებიც სარჩელის ინდივიდუალიზაციას ახდენენ და სარჩელის სახეს განსაზღვრავენ, სარჩელის ამ ელემენტების ერთდროული შეცვლა პროცესში დაუშვებელია. სარჩელის საგნის შეცვლა დასაშვებია მისი პირვანდელი საფუძვლის უცვლელობის ფარგლებში, ისევე როგორც სარჩელის საფუძვლის შეცვლა შესაძლებელია სარჩელის უცვლელი საგნის ფარგლებში. უკანასკნელ შემთხვევაში ძველი სასარჩელო მოთხოვნა რჩება, იცვლება მხოლოდ მოთხოვნის საფუძველი. მოსარჩელის მიზანია მიიღოს კეთილსასურველი სასამართლო გადაწყვეტილება და, როგორც წესი, მისთვის სულერთია როგორი ფაქტები დაედება საფუძველად მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მტკიცების საგანი მოიცავს არა მარტო სარჩელის საფუძვლის ფაქტებს, არამედ მოპასუხის მისაგებლის ფაქტებსაც, რომლებიც მოსარჩელის მოთხოვნისაგან მოპასუხის სასამართლო დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა.

სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ ადასტურებს მისაგებლის ფაქტების გამოკვლევისა და დადგენისადმი უყურადღებობას.

მისაგებლის ფაქტების დატოვება გამოკვლევის გარეშე პროცესს ხდის არანორმალურს, არაობიექტურს და ასეთ პირობებში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება ეჭვმიტანილობა იწვევს. ზემდგომ სასამართლოს მიერ, როგორც სოციალისტური კანონიერებისა და სოციალისტური მართლმსაჯულების პრინციპების საწინააღმდეგო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ქ. თბილისის სტალინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს 1948 წ. 22 აპრილის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1948 წ. 24 მაისის დადგენილება¹, და საქმე ხელახლა განსახილველად გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველ ინსტანციას.

საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ მოპასუხე კულუმბეგაშვილს არ ქონდა ბინის ქირის დავალიანება. 1944 წლის და 1945 წლის დასაწყისის ბინის ქირა მის მიერ შეტანილია; ამის დასადასტურებლად მან წარადგინა ქვითრები, ხოლო დანარჩენი დროის ბინის ქირა არ შეუტანია, რადგან ბინის გამჭირავებელთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ბინის ქირის ანგარიშში თავისი სახსრებით მოახდინა ოთახის და სახურავის შეკეთება, გაიყვანა კანალიზაცია, რის დასადასტურებლადაც მან წარადგინა ხელწერილი და სთხოვა სასამართლოს ინჟინერ-ექსპერტის მეშვეობით მის მიერ ჩატარებული შეკეთების დათვალიერება.

სასამართლომ არ გამოიკვლია მოპასუხის მიერ საქმეზე წამოყენებული

¹ იხ. Судебная практика Верховного суда СССР. 1949., № 1, стр. 39-40.

საძიებელი ფაქტები და უკანონოდ დააკმაყოფილა სამკერვალო ფაბრიკის სარეზინო-ჩელი კულუპბეგაშვილთან ბინის ქირის გადახდევინებისა და ბინიდან გამოსახლების შესახებ, ბინის ქირის გადაუხდელობისა და ქარხანასთან შრომითი ურთიერთობის უქონლობის გამო.

საკასაციო ინსტანცია მხარეთა ახსნა-განმარტებებს, როგორც დამამტკიცებელ საბუთებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს საქმის განხილვის გამო მხარეთა დაუსწრებლად და მათი ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე.

ლ. პ. სმიშლიაევი უმართებულოდ აფართოებს მტკიცების საგნის შინაარსს. იგი წერს: „მტკიცების საგანს წარმოადგენენ იურიდიული ფაქტები, აგრეთვე გარემოებანი, რომლებიც კანონის შესაბამისად განაპირობებენ მათ მნიშვნელოვნებას და რომელთა ერთობლიობის გამორკვევა შეიძლება საფუძვლად დაედოს მხარეთა მოთხოვნისა თუ მისაგებლის დასაბუთებულად ცნობას სამართლის თვალსაზრისით, ჭარდა საყოველთაოდ ცნობილ და პრეიუდიციალურად დადგენილ გარემოებათა“¹.

ამ გარემოებებს ავტორი აკუთვნებს უფლება-უნარიანობას და სათანადო შემთხვევაში — ქმედუნარიანობას.

პროფ. კ. ს. იუდელსონი თავის მონოგრაფიაში „სასამართლო დამამტკიცებელი საბუთები სამოქალაქო პროცესში“ იძლევა ამ შეხედულების კრიტიკას², მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ამკლავებს მისი მკდარობის მიზეზს.

ამ არასწორი შეხედულების მიზეზს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს საბჭოთა სამოქალაქო სამართალსა და პროცესში იურიდიული ვარაუდების (პრეზუმპციების) არასწორი გაგება. ლ. პ. სმიშლიაევი იურიდიული ვარაუდების საკითხს უკავშირებს მტკიცების ტვირთის პრობლემას და უარყოფს ვარაუდების სხვა საპროცესო მნიშვნელობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მხარე თავისუფლდება ნაგვარაუდვეი ფაქტის არსებობის მტკიცებისაგან.

უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც წესი, ნაგვარაუდვეი ფაქტებია და მტკიცების საგნის შემადგენლობაში არ შედიან.

სხვა პროცესუალისტები თუმცა საძიებელი ფაქტების სწორ დახასიათებას იძლევიან, მაგრამ მტკიცებით ფაქტებს მტკიცების საგანს აკუთვნებენ. ასე, მაგალითად, მ. ს. სტროგოვიჩი წერს, რომ მტკიცების საგანს „შეადგენენ მტკიცებითი ფაქტები და მთავარი ფაქტი“³.

დოცენტი შტუტინი, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო აღრმავებს ამ არასწორ შეხედულებას, როდესაც იურიდიულ ფაქტებს ჰყოფს საძიებელ და მტკიცებით ფაქტებად და ორივეს მათ განიხილავს როგორც მტკიცების საგანს⁴.

პროფ. კ. ს. იუდელსონი იძლევა ამ შეხედულების საესებით სწორ კრიტიკას⁵. იგი აღნიშნავს, რომ თუმცა მტკიცებითი ფაქტებიც მოითხოვენ პროცესში

¹ Л. П. Смышляев. Предмет доказывания в советском гражданском процессе, автореферат канд. диссертации, М., 1954, стр. 9-10.

² К. С. Юдельсон. Судебные доказательства в гражданском процессе. Госюриздат, 1956, стр. 63.

³ Проф. М. С. Строгович, Уголовный процесс, 1946, стр. 151.

⁴ Доцент Я. Л. Штутин. О предмете доказывания в советском гражданском процессе. Журн. «Советское государство и право». 1954 г. № 7, стр. 91-92.

⁵ К. С. Юдельсон. перв. соч., стр. 63.

დაპტკიცებას, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი მაინც არ შედიან მტკიცების საგანში. საძიებელი ფაქტები წარმოადგენენ მტკიცებითი საქმიანობის მიზანს, მაშინ, როდესაც მტკიცებითი ფაქტები მხოლოდ მათი დადგენის საშუალებებია.

მტკიცების საგნის საკითხის გარკვევის შედეგად ბუნებრივად ისმის საკითხი: მტკიცების საგნის ყველა იურიდიული ფაქტი ექვემდებარება მტკიცებას? ამ საკითხზე საბჭოთა პროცესუალისტები უარყოფით პასუხს იძლევიან.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ არის მიჩნეული საკითხი იმ იურიდიული ფაქტების ხასიათისა და სახეების შესახებ, რომელთა მტკიცებაც საჭირო არ არის. პროფ. კ. ს. იუდელსონი ასეთ ფაქტებს მიაკუთვნებს: უდავო, საყოველთაოდ ცნობილ, პრეიუდიციალურად დადგენილ და ვარაუდების ფაქტებს¹. პროფ. ა. ფ. კლეინმანი კი ამ აზრისაა, რომ მტკიცებას არ საჭიროებენ საყოველთაოდ ცნობილი, პრეიუდიციალურად დადგენილი და ნაგარაუდები ფაქტები²; ლ. პ. სმიშლიაევი კი ასეთ ფაქტებად განიხილავს მხოლოდ პრეიუდიციალურად დადგენილ და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს³.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მტკიცების საგანს შეადგენენ სარჩელის საფუძვლისა და მისი საწინააღმდეგო მისაგებლის იურიდიული ფაქტები, იმ ფაქტების გამოკლებით, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ, აგრეთვე ის ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ სსსამართლოს შეხედულებით საქმისათვის მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

ასეთია მტკიცების საგნის ძირითადი ელემენტები საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში.

¹ К. С. Юдельсон. Проблема доказывания в советском гражданском процессе, М., 1951., стр. 190.

² Проф. А. Ф. Клейнман. Советский гражданский процесс М., 1954, стр. 186.

³ Л. П. Смышляев, назв. соч., М. 1954 г., стр. 6-7.

ნასამართლობის გაქარწყლება საბჭოთა სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით

თ. შავგულიძე

ნასამართლობის გაქარწყლება საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით არის სასამართლოს მიერ პირისათვის მსჯავრის დადების სამართლებრივი შედეგების მოსპობა.

ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტის არსებობას საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როდესაც საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეუდგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას.

კომუნისმისაკენ ჩვენს წინვლასთან დაკავშირებით მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის იძულების სფერო თანდათან იზღუდება და მის ადგილს იჭერს აღმზრდელობითი ღონისძიებანი.

ნასამართლობის სამართლებრივ შედეგებს აქვს ორგვარი მნიშვნელობა: ერთი — საერთო სამართლებრივი, რაც გამოიხატება პირის გარკვეულ უფლებებზე შეზღუდვაში, ხოლო მეორე — წინინდა სისხლის სამართლებრივი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ნასამართლობა წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ან პასუხისმგებლობის დამაპიძებელ გარემოებას.

„ჩვენს პირობებში ადამიანებს უნდა

მიუდგეთ გულისხმიერად, — მიუთითებს ნ. ს. ხრუშჩოვი, — გვეროდეს ადამიანისა, ვხედავდეთ მის საბოლოო მიზანს, ბრძოლას კომუნისმისათვის, უნდა ავღზარდოთ და გარდავქმნათ ადამიანები“ სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტი. მისი დანიშნულებაა იმ პირის, ვინც სასჯელის მოხდის შემდეგ თავისი უმწიკვლო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა, რომ სავსებით გამოსწორდა, აღუდგინოს წინანდელი უფლებრივი მდგომარეობა, დაუბრუნოს იგი საზოგადოებას, როგორც მისი ღირსეული წევრი.

ნასამართლობის გაქარწყლების წესები საბჭოთა სისხლის სამართალში პირველად დადგენილ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის და სახკომსაბჭოს 1925 წ. 9 თებერვლის დეკრეტით „სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის დამატების შესახებ“, რომელმაც გარკვეული რედაქციული ხასიათის ცვლილებებით თავისი ასახვა ჰპოვა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების“ მე-10 მუხლში. ამ მუხლის მიხედვით „ისეთ პირად, რომელიც სამართალში არ ყოფილა, ჩაითვლება:

ა) ის, ვინც სასამართლომ გაამართლა.

ბ) ის, ვისაც პირობითი მსჯავრი დაედო, უკეთუ სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლო-

1 ნ. ს. ხრუშჩოვი — სიტყვა მწერალთა III საკავშირო ყრილობაზე. ვაზეთი „კომუნისტი“ 1959 წ. 26 მაისი.

ბაში ახალი რამ დანაშაული არ ჩაუდენია.

გ) ის, ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს 6 თვისა ან სხვა უფრო მსუბუქი სოციალური დაცვის ღონისძიება, უკეთუ სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ახალი რამ დანაშაული არ ჩაუდენია, აგრეთვე ის, ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე მეტი ხნით, ხოლო არა უმეტეს 3 წლისა, უკეთუ 6 წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია“.

ნასამართლობის გაქარწყლების აღნიშნული წესი, რომელიც თავის დროზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, ვეღარ პასუხობდა საბჭოთა სისხლის სამართლის წინაშე დასმულ ამოცანებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ. ნასამართლობის გაქარწყლების ეს წესი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმკაცრით, რადგან მისი მიხედვით ნასამართლობის გაქარწყლება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს 3 წლისა. დანარჩენ შემთხვევაში მსჯავრდობდილ პირს ნასამართლობა რჩებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. თუკი ნასამართლობა არ გაუქარწყლებოდა პატიების ან ამნისტიის აქტით. ამით თითქოს აპრიორულად იყო დაშვებული მხიმიე დანაშაულის ჩამდენი პირის სრული გამოსწორების შეუძლებლობა, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა სახელმწიფოში სასჯელის ძირითად ამოცანას.

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კა-

ნონმდებლობის საფუძვლებზე მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანეს ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტში.

„საფუძვლები“, „ძირითადი საწყისებისაგან“ განსხვავებით, აწესებს როგორც ნასამართლობის გაქარწყლების ავტომატურ, ისე მისი სასამართლო გადაწყვეტილებით გაქარწყლების წესს. პირველს ადგილი აქვს ისეთი პირების მიმართ, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო მეორეს — ისეთი პირების მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით. პირველ შემთხვევაში, თუ პირი სასჯელის მოხდის შემდეგ კანონით დაწესებულ ვადაში არ ჩაიდენს რამე ახალ დანაშაულს, მას ნასამართლობა უქარწყლებს ავტომატურად ყოველგვარი სასამართლო ან სხვა რომელიმე ორგანოს დადგენილების გარეშე, ხოლო მეორე შემთხვევაში პირის ნასამართლობა გაქარწყლებს სასჯელის მოხდიდან 8 წლის გასვლის შემდეგ; თუ კი პირი ამ ხნის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და ამასთანავე თუ სასამართლო დაადგენს, რომ მსჯავრდებულთა გამოსწორდა დასაჭირო აღარ არის იგი მიჩნეულ იქნეს ნასამართლობის მქონედ.

„ძირითად საწყისებთან“ შედარებით „საფუძვლებმა“ მნიშვნელოვნად გააფართოვა სამართალში ნამყოფ პირთა წრე, რომელთა არა ნასამართლეად ცნობისათვის საჭირო არ არის რაიმე სპეციალურად დადგენილი ვადების გასვლა. „საფუძვლების“ 47-ე მუხლის მიხედვით ნასამართლობის არამქონედი თვლებიან:

1) ის პირნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს სადისციპლინო ბატალიონში ან ვადამდე არიან განთავისუფლებულნი იქიდან, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც სასჯელი მოიხა-

¹ ნასამართლობის გაქარწყლების აღნიშნული წესი შეტანილ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსშიც (მე-16 მუხლი).

² საბჭოთა სამართალი № 3.

დეს პაუპტეხისტში ყოფნით გამასწორებელი სამუშაოს ნაცვლად,

2) პირობით მსჯავრდადებული პირნი, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ისინი არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს¹.

კიდევ უფრო ფართოდ და სრულყოფილად არის გადაჭრილი ეს საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით. პროექტის 54-ე მუხლის 1, მე-2 და მე-4 პუნქტების მიხედვით არანასამართლევად, გარდა საფუძვლების 47-ე მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული პირობებისა, ითვლებიან:

1) ის პირნი, რომლებიც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლებულნი არიან პროექტის 50-ე მუხლის საფუძველზე იმის გამო, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის მათ მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ან თვითონ აღარ არიან საზოგადოებრივად საშიში. (1 პუნქტი).

2) არასრულწლოვანი, რომელნიც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლებულნი არიან პროექტის მე-12 მუხლის საფუძველზე იმის გამო, რომ სასამართლომ მათი გამოსწორებისათვის

მიზანშეწონილად არ მიიჩნია სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენება. (მე-2 პუნქტი).

3) ის მსჯავრდადებულნი, რომელთაც ომიანობის დროს განაჩენის აღსრულება გადავადებული ჰქონდათ ომის დამთავრებამდე და რომლებიც შემდეგ სასჯელისაგან განთავისუფლდნენ პროექტის 46-ე მუხლის საფუძველზე იმის გამო, რომ მოქმედ არმიაში თავი გამოიჩინეს, როგორც სოციალისტური სამშობლოს მედგარმა დამცველებმა. (მე-4 პუნქტი).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 54-ე მუხლში 1, მე-2 და მე-4 პუნქტების შეტანით, მოხდა იმ დასკვნების გაკეთება, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობენ „საფუძვლების“ საერთო შინაარსიდან, მაგრამ თვით „საფუძვლებში“ ვერ ჰპოვეს ასახვა.

სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულ პირთა ნასამართლევად ცნობისათვის, უმრავლეს შემთხვევაში, კანონმდებელი მოითხოვს ნასამართლობის გაქარწყლებისათვის მის მიერ სპეციალურად დადგენილ ვადების გასვლას. „საფუძვლების“ 47-ე მუხლის მიხედვით ნასამართლობის არამქონედ ითვლებიან:

ა) ის პირნი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ საზოგადოებრივი გაკიცხვა, ჯარიმა, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ან გამასწორებელი სამუშაო, სასჯელის მოხდის დღიდან თუ ერთი წლის განმავლობაში ისინი არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს (მე-3 პუნქტი).

ბ) ის პირნი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ვა-

¹ „საფუძვლები“ ზედმეტად სთვლის იმ პირთა შორის, რომლებიც არა ნასამართლებად ითვლებიან, მოიხსენიოს სასამართლოს მიერ მართლებული პირები. ეს საკვებით მიზანშეწონილია, რადგანაც ნასამართლობის საკითხი ისმება მხოლოდ სასამართლოს მიერ პირისათვის მსჯავრის დადების შემთხვევაში, ხოლო ბრალდებულის გამართლება, თავისთავად ცხადია, გამოირიცხავს მის ნასამართლობასაც.

დით არა უმეტეს 3 წლისა, გადასახლება ან გასახლება თუ ისინი სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის დღიდან 3 წლის განმავლობაში არ ჩაიდნენ ახალ დანაშაულს (მე-4 პუნქტი).

გ) ის პირნი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ექვსი წლისა, თუ ისინი სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში არ ჩაიდნენ ახალ დანაშაულს (მე-5 პუნქტი).

დ) ის პირნი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ექვს წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა, თუ ისინი სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის დღიდან რვა წლის განმავლობაში არ ჩაიდნენ ახალ დანაშაულს (მე-6 პუნქტი).¹

ნასამართლობის გაქარწყლება „საფუძვლების“ მიხედვით შეიძლება მოხდეს ამ ვადების გასვლაზე ადრეც. „საფუძვლების“ 47-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია: „თუ მსჯავრდადებულმა, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდის შემდეგ სამხგალითო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ამ მუხლში აღნიშნული ვადების გასვლამდე“.


ამგვარად, ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტში „საფუძვლების“ მიერ შეტანილ იქნა მეტად მნიშვნელოვანი სიასლე, რაც გამოიხატება ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭი-

რო ვადების შემცირებაში და რაც მთავარია, იმ წესის დადგენაში, რომელიც უფლებას აძლევს ნასამართლოს გაუქარწყლოს მსჯავრდებულ პირს ნასამართლობა კანონით დადგენილ ვადების გასვლამდე. მისასაღმებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ „საფუძვლები“, „ძირითადი საწყისებისაგან“ განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა ნასამართლობის გაქარწყლების საერთო წესი შეუფარდოთ ყველა მსჯავრდებულ პირს, იმის მიუხედავად, თუ რა სიმძიმის სასჯელი აქვს მას მოხდილი. „ძირითადი საწყისების“ მიხედვით ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადების დენა იწყებოდა პირის მიერ სასჯელის მოხდის დღიდან, მაგრამ ღიად იყო დატოვებული საკითხი, თუ რომელი სასაჯელი იყო აქ ნაგულისხმევი: ძირითადი, დამატებითი თუ ორივე ერთად.

საბჭოთა სასამართლოს პრაქტიკა ნასამართლობის გაქარწყლების ვადებს ანგარიშობდა ძირითადი სასჯელის მოხდის დღიდან დამატებითი სასჯელის მხედველობაში მიუღებლად. იგივე აზრი იყო გამოთქმული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში². მსჯავრდებულებზე სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების კომპლექსიდან დამატებითი სასჯელის ამოღება, მისი უგულვებელყოფა ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადების გამოთვლის დროს ეჭვის ქვეშ აყენებდა დამატებითი სასჯელის მიზანშეწონილობას. ამიტომ საესეებით სწორად მოიქცა „საფუძვლები“, რომელმაც ბოლო მოუღო ასეთ არასწორ პრაქტიკას და ნასამართლობის ვადის დენის დაწყებისათვის აუცილებლად სცნო ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის მოხდაც.

¹ იმ პირთა ნასამართლობის გაქარწყლების საკითხს, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით ჩვენ უკვე შევხებით სტატიის წინა ნაწილში.

² იხ. მაგალითად, В. Д. Филимонов, Судимость и ее погашение по советскому уголовному праву. «Труды Томского государственного университета», Т. 137, 1957 г. стр. 111.



დიდი მნიშვნელობა აქვს ნასამართლობის გაქარწყლების წესების შემუშავებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი შემცირებულია ან შეცვლილია უფრო რბილი სასჯელით.

ეს საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში წესრიგდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წ. 30 მაისის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 47-ე მუხლის შეფარდების შესახებ“. ბრძანებულების მე-8 პუნქტის თანახმად „უქვეთუ სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი შემცირებული ან შეცვლილია უფრო რბილი სასჯელით, ნასამართლობის მოხსნის ვადები იანგარიშება ახალი შემცირებული, ანდა უფრო რბილი სასჯელით, ამ სასჯელის ფაქტიურად მოხდის დღიდან“.

აღნიშნული საკითხის ასეთმა გადაჭრამ შესაძლოა პრაქტიკაში გარკვეული გაუგებრობა გამოიწვიოს. მაგალითად წარმოვიდგინოთ, რომ პირს მისჯილი ჰქონდა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა. 5 წლის შემდეგ მას სასჯელი გაუხანგებდა ე. ი. სასჯელის შემდეგი მოხდისაგან განთავისუფლდა. ბრძანებულების მიხედვით ნასამართლობის გაქარწყლების ვადები გამოითვლება 5 წლის თავისუფლების აღკვეთიდან, ხოლო „საფუძვლების“ 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის ძალით მას ნასამართლობა გაუქარწყლდება განთავისუფლებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. ვთქვათ იგივე მდგომარეობაში მყოფი პირი კი არ განთავისუფლდა სასჯელის შემდეგი მოხდისაგან, არამედ თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ვადა (5 წელი) შეეცვალა ერთი წლის გამასწორებელი

სამუშაოთი, ბრძანებულებების მიხედვით ნასამართლობის გაქარწყლების ვადები ამ შემთხვევაში ნაანგარიშევი იქნება 1 წლის შრომა გასწორებითი მუშაობიდან, ხოლო „საფუძვლების“ 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის ძალით ნასამართლობა გაქარწყლდება სასჯელის მოხდიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. ამგვარად გამოდის, რომ პირს, რომელიც განთავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ნასამართლობა გაუქარწყლდება 3 წლით უფრო გვიან, ვიდრე ისეთ პირს, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა გამასწორებელი სამუშაოთი.

საცხებით სწორად არის გადაჭრილი აღნიშნული საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის პროექტით¹. პროექტის 54-ე მუხლის მიხედვით „თუ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი შემცირებული ან შეცვლილია უფრო რბილი სასჯელით, ამნისტიის ან პატიების აქტის ძალით, აგრეთვე სასამართლოს განჩინებით პირობით ვადამდე ან ვადამდე განთავისუფლების შესახებ (კოდექსის 51 და 52 მუხლები), ნასამართლობის გაქარწყლების ვადები გამოითვლება ფაქტიურად მოხდილი სასჯელის ოდენობიდან გამომდინარე, მისი მოხდის დღიდან“. ამგვარად პროექტი სასჯელის შეცვლის ყველა შემთხვევაში გამოდის ერთი და იგივე პრინციპიდან და ნასამართლობის გაქარწყლებას ახდენს ფაქტიურად მოხდილი სასჯელის მხედველობაში მიღებით.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა დიდ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, რაც ბუნებრივია, დღის წესრიგში აყენებს არასრულწლოვანთა ნასამართლობის გაქარწყლების მოწესრიგებას.

„ძირითადი საწყისები“ არასრულწლოვანებს პრივილეგიურ მდგომარეობაში არ აყენებდა ნასამართლობის

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის პირველ ვარიანტში ეს საკითხი დასმული არ ყოფილა.

გაქარწყლების დროს. იგივე აზრს ადგა საბჭოთა სსსამართლო პრაქტიკაც.

„საფუძვლები“ არასრულწლოვანებას, როგორც საერთო წესი, თვლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად (33-ე მუხლი). არასრულწლოვანებს „საფუძვლები“ ხშირად პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს (45-ე მუხლი). მიუხედავად ამისა, „საფუძვლები“ არასრულწლოვანთა ნასამართლობის გაქარწყლების საკითხს ღიად სტოვებს. ამ ხარვეზს ავსებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომლის 54-ე მუხლის ძალით, „თუ დანაშაულებრივი ქმედობა ჩადენილია 18 წლის ასაკამდე, ნასამართლობის გაქარწყლების ვადები, რომელიც აღნიშნულია ამ მუხლში, სანახევროდ შემცირდება“. ეს დებულება უდაოდ წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მეტად მნიშვნელოვანია ნასამართლობის გაქარწყლების წესის შემუშავება ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი ახალ დანაშაულს სჩადის ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადების გასვლამდე. აღნიშნული საკითხი არ ყოფილა დასმული არც „ძირითადი საწყისების“ და არც „საფუძვლების“ მიერ. სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში, საჭიროდ არის მიჩნეული ამ საკითხის გაშუქება. პროექტის 1 ვარიანტის 56-ე მუხლის მიხედვით, თუ პირი სასჯელის მოხდის შემდეგ ახალ დანაშაულს ჩადენდა ნასამართლობის გაქარწყლებისათვის კანონით დადგენილი ვადების გასვლამდე პირველი დანაშაულით გამოწვეული ნასამართლობის გაქარწყლების ვადა გამოითვლებოდა იმ დღიდან, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდოდა განაჩენი ახალი დანაშაულის გამო. ამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ იყო

დამაკმაყოფილებელი. ნასამართლობის გაქარწყლებისათვის კანონმდებელი გარკვეულ ვადებს ადგენს იმ მიზნით, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ პიროვნებას საშუალება ჰქონდეს პატიოსანი შრომით დაამტკიცოს თავისი საბოლოო გამოსწორება, მაგრამ მსჯავრმონდილი პირი საწინააღმდეგოს ამტკიცებს, თუ ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადების გასვლამდე ახალ დანაშაულს ჩადენს. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რომ პირს, რომელსაც ახალი დანაშაულის ჩადენის გამო მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, სატუსალოში ყოფნის დროს გაუქარწყლდეს ნასამართლობა ადრე ჩადენილი დანაშაულის გამო. აღნიშნული საკითხი სავსებით სწორად არის გადაჭრილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მეორე ვარიანტში. პროექტის 54-ე მუხლის მიხედვით თუ მსჯავრმონდილი პირი ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადების გასვლამდე ჩადენს ახალ დანაშაულს, პირველი დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადები გამოითვლება ახალი დანაშაულის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის დღიდან.

ნასამართლო პრაქტიკაში შეიძლება წამოიჭრას ნასამართლობის გაქარწყლების საკითხი გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის არსებობის შემთხვევაში. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა რაიმე პირდაპირ მითითებას აღნიშნულ საკითხზე არ იძლევა. „საფუძვლების“ 42-ე მუხლის მიხედვით „გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება მოყვანილი იქნეს სისრულეში თუ იგი არ ყოფილა მოყვანილი სისრულეში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან კანონით დადგენილი ვადების განმავლობაში“. იბადება კითხვა: წარმოიშობა თუ არა ნასამართლობა მამინ, როდესაც ნასამართლომ გამოიტანა გა-

მამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ იგი არ აღსრულებულა? ჩვენის აზრით, რამდენადაც ნასამართლობა არის პირისათვის მსჯავრის დადების სამართლებრივი შედეგი, ხოლო ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სასამართლოს მიერ პირისათვის მსჯავრის გამოტანასთან, ამდენად ნასამართლობა ავტომატურად წარმოიშვება იმისდამიუხედავად, აღსრულდა თუ არა განაჩენი. თუ ჩვენ მივიღებთ ამ დებულებას, მაშინ წამოიჭრება საკითხი, ასეთ შემთხვევაში ნასამართლობის გაქარწყლების წესის შესახებ. იმისათვის, რომ ეს საკითხი გადავჭრათ, უნდა გავცეთ პასუხი კითხვას, თუ რატომ არ თვლის კანონმდებელი მიზანშეწონილად გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებას, თუ იგი არ აღსრულებულა კანონით დადგენილ ვადებში. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ თუ პირმა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან კანონით მითითებული ვადების განმავლობაში არ ჩაიდინა ახალი დანაშაული და არ დაარღვია ის მოთხოვნები, რასაც მას საფუძვლების 42-ე მუხლი უყენებს, მაშინ პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში და ამდენად მისი დასჯა მიზანშეუწონელი ხდება. ამასთანავე „საფუძვლების“ 43-ე მუხლი ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ისეთ პირს, რომელიც აღარაა საზოგადოებრივად საშიში, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 54-ე მუხლის 1 პუნქტი ასეთ პირს თვლის არანასამართლეად, გარდა ამისა, ამავე პროექტის 41-ე მუხლის 1 პა-

რაგრაფი არ თვლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ადრე ჩადენილ დანაშაულს. თუ კი პირს ამ დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი აქვს (54-ე მუხლი) ან თუ პირველი დანაშაულის გამო სასჯელის გამოტანის შემდეგ გავიდა ხანდაზმულობის ვადები (49-ე მუხლი) თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ამ მუხლების დედააზრს, შევძლებთ გამოვიტანოთ ლოგიკური დასკვნა, რომ თუ გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, მაშინ ერთდროულად მისი ნასამართლობაც უნდა გაქარწყლდეს, ასეთ შემთხვევაში ნასამართლობის გაქარწყლების ვადები დამატებითი გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადებს.

ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტში შეტანილია არსებითი და მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები. ნასამართლობის გაქარწყლების ახალი წესები, რომლებიც გამოირჩევიან თავისი ჰუმანურობით, ლოგიკურად გამომდინარეობენ საბჭოთა სისხლის სამართლის მოწინავე და კაცთმოყვარე ბუნებიდან. ნასამართლობის გაქარწყლების საკითხის ახლებურად გადაჭრა უდაოდ დაეხმარება სასამართლო, სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დამნაშავე პირთა საბოლოო გამოსწორებაში.

კავშირისგური საქობის კვლიშისი ბუჩუაზიული თობიშის შისახე

დოც. ს. ჯობინაძე.

ბუჩუაზიული ცივლისტიკა საკუთრების უფლებას თავიდანვე განიხილავდა როგორც კერძო სამართლის ინსტიტუტს, თუმცა მას იმთავითვე მოსვენებას არ აძლევდა ე. წ. საჯარო ქონების სამართლებრივი მდგომარეობა. ამ ქონების იურიდიული რეჟიმის განსაზღვრა გადანდობილი ჰქონდა სახელმწიფო-მცოდნეებს, რომლებიც თავის მხრივ არ დაინტერესებულან მისი შესწავლით.

საჯარო ქონება არ შედიოდა კერძო საკუთრების უფლების ერთიანი სისტემის შემადგენლობაში. ასეთი მდგომარეობა კიდევ მოსათმენი იყო მანამდე, ვიდრე საჯარო საკუთრება ნაკლებად იყო გავრცელებული.

სურათი მთლიანად იცვლება იმპერიალიზმის პერიოდში, როცა წარმოების არნახული კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია თხოვლობს ერთიან სამეურნეო ხელმძღვანელობას არა მარტო მნიშვნელოვან საწარმოებზე, არამედ მრეწველობის მთელ რიგ დარგებზე. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება და მოსახლეობის დიდი მასის ერთად ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს აბსოლუტური კერძო საკუთრების ფორმალურ-ტექნიკურად შეზღუდვის საკითხს. ეს არის საფუძველი ბუჩუაზიულ იურისტთა მტკიცებისა, რომ საჯარო სამართლებრივი შეზღუდვანი არსებითად ცვლიან კერძო საკუთრების შინაარსს.

ბუჩუაზიული იურისტები მხოლოდ კაპიტალისტური საკუთრების გარეგან, ფორმალურ-იურიდიულ შეზღუდვაზე მიუთითებენ, როგორც არსებითი ხასიათის ცვლილებებზე. კერძო საკუთრების პუბლიციზაციის თეორიები სრულიადაც არ არიან საშიში კაპიტალისტური წყობისათვის. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში დიდად იზრდება ბუჩუაზიისათვის უწყინარ ამ თეორიათა რაოდენობა. მის გავრცელებას განსაკუთრებით ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა მუშათა რევოლუციური მოძრაობის დასაშოშმინებლად პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩატარებულმა „სოციალიზაციამ“, რომელიც მსხვილი ბუჩუაზიის ხანმოკლე ტაქტიკური უკანდახევა იყო, ახალი ძალით იფეთქა პუბლიციზაციის ყალბი თეორიების ციებ-ცხელებამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ეს ბუნებრივად იყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის არანახულად გაღრმავების დროს, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პირობებში, ბუჩუაზია დროებით უკან იხევს. იგი თანახმაა ნაციონალიზაციის შედარებით ფართო მასშტაბით ჩატარებაზე, თუმცა იმთავითვე ახერხებს ნაციონალიზაციის გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის. მიუხედავად ნაციონალიზაციის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებისა, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის საკუთრების ხვედრითი წონა მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ამჟამადაც მნიშვნელოვანია.

ასე, მაგალითად, ინგლისში სახელმწიფო წილი კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ჯამში შეადგენს 20,1 პროცენტს; იტალიაში სახელმწიფოს წილი ქვეყ-



ნის საერთო სააქციონერო კაპიტალში უთანაბრდება 36,1 პროცენტს, დასავლეთ გერმანიაში — 14 პროცენტს; საფრანგეთში ყოველი მეზუთე მუშა და მოსამსახურე დაკავებულია იმ საწარმოებში, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებას შეადგენენ, ანდა რომლებშიც სახელმწიფო ფლობს კაპიტალის ძირითად ნაწილს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფოს ეკუთვნის ატომური მრეწველობის საწარმოები, სამხედრო საწარმოები, რკინიგზის ნაწილი, მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები და სხვ.

სახელმწიფო საკუთრება სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. ეს უკანასკნელი გულისხმობს მონოპოლიების მიერ ბურჟუაზიული სახელმწიფოს გამოყენების მთელ სისტემას, რაც ბურჟუაზიული სოციალოგების, განსაკუთრებით ცივილისტების წარმოდგენაში, ჰქმნის შეხედულებას კერძო საკუთრების პუბლიციზაციის შესახებ. თანამედროვე, მოლიბერალო ფრანგი ცივილისტი ყიულო დე ლა მორანდიერი პირდაპირ წერს: „ამჟამად კერძო სამართლის მოქმედების სფერო ვიწროვდება, მაშინ როცა საჯარო სამართლის მნიშვნელობა იზრდება. ეს არის მოწესრიგებული ეკონომიკისა და სახელმწიფო სოციალიზმის თეორიების განვითარების შედეგი“¹.

სახელმწიფო მონოპოლისტური ტენდენციების ზრდასთან ერთად ავტორს არ ავიწყდება, რომ „სახელმწიფო სოციალიზმისაკენ“ სწრაფვა უკურაქციასაც გულისხმობს. ამიტომაც შენიშნავს იქვე ყიულო დე ლა მორანდიერი, რომ „ახორციელებს რა საწარმოთა მართვას, სახელმწიფო თავის მხრივ ისწრაფვის შეუხამოს ამ მართვის საჭიროებას ის ნორმები, რომლებიც ნასესხებნი არიან კერძო სამართლიდან“.

სწორედ ეს გარემოება აყენებს მოჯადოებული წრის წინაშე ბურჟუაზიულ ცივილისტებს. მათ არ სურთ ეჭვი შეიტანონ კერძო საკუთრებაში, როგორც კაპიტალისტური წყობის საფუძველში, მაგრამ ამასთან ერთად არსებული წარმოდგენებიდან კავშირის საბოლოო გაწყვეტის გარეშე ძნელი ხდება სახელმწიფო საკუთრების დახასიათება. ამიტომაც სახელმწიფო ქონების დასახასიათებლად გამოყენებულია როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის ნორმები. შექმნილია შეხედულება, რომ ნაციონალიზებული საწარმო განხილულ უნდა იქნეს, როგორც „პიბრიდი, რომელიც ერთდროულად ეკუთვნის საჯარო და კერძო სამართალს“.

სახელმწიფო-მონოპოლისტური საკუთრება უსახლვროდ არ შეიძლება იზრდებოდეს, ამ საკუთრებამ, როგორც წესი, არ შეუძლია მოიცვას სახალხო მეურნეობის ყველა მბრძანებელი პოზიციები. კერძო სექტორი ყოველთვის ჭარბობს კაპიტალისტურ ქვეყანაში. რაც მთავარია, ნაციონალიზებული საწარმოების მართვა ხელში აქვთ ჩაგდებული მონოპოლიებს და ისინი ამ საწარმოებს წარმატებით იყენებენ მაქსიმალური მოგების მიღებისათვის. ნაციონალიზებული საწარმოები ამიტომაც ისწრაფვიან იმოქმედონ კერძო საწარმოთათვის დადგენილ ჩარჩოებში. საჯარო იურიდიულ პირებს სამოქალაქო ბრუნვაში გამოსვლისათვის კერძო იურიდიული პირის სამოსელი სჭირდებათ. ეს გარემოება ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ნაციონალიზაცია კაპიტალიზმის პირობებში კერძო საკუთრების ფარგლებში მომხდარი რეფორმა და

1. Жюллио де ла Морандьер, Граж. право Франции, 1958 г. стр. 48.

არა თვისობრივი ცვლილება. როგორც ცნობილია, ნაციონალიზებული საწარმოები ხშირად კერძო საწარმოების გარეგანი სამოსელის მიღებით კი არ კმაყოფილდებიან, ბურჟუაზიული ნაციონალიზაციის მეორე მხარეა მასობრივად ჩატარებული დენაციონალიზაცია, რეპრივატიზაცია. სახელმწიფო საკუთრების ამგვარი დინამიკა საეხებით კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან ნაციონალიზაციას მსხვილი ბურჟუაზია მხოლოდ მაშინ ეთანხმება, როცა ეს მისთვის სასარგებლოა. ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას თან ახლავს მესაკუთრეთა სასარგებლოდ უზარმაზარი კომპენსაციის გაცემა. ასე, რომ ნაციონალიზაციის შედეგად კაპიტალისტებს საშუალება ეძლევათ ახალ დარგებში დააბანდონ ეს სახსრები და თავიდან მოიშორონ არარენტაბელური საწარმოები, რომლებიც ზოგჯერ გაკოტრების პირასაც კი არიან მისული. მაშასადამე, ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია სრულიადაც არ არის მიმართული კერძო საკუთრების საფუძვლების წინააღმდეგ. მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებები, არსებითად, ნაციონალიზებული საწარმოების თანამესაკუთრენი არიან. მათთვის სახელმწიფო საწარმოები მეტად ხელგაშლილი და გულუხვი კლიენტებია. მრეწველობის გასახელმწიფოებრიობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა საზიანო მონოპოლიებისათვის, თუ კი მას თან ახლავს მონოპოლისტური გაერთიანებების მკაცრი შეზღუდვა, რაც არა მარტო არ ხდება, არამედ, პირიქით, ნაციონალიზაციის შემდეგ მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებების საქმიანობა სახელმწიფო საწარმოების თავიანთი ინტერესებისათვის გამოყენებით ყოველმხრივ ფართოვდება.

გასაგებია, ამგვარი ნაციონალიზაცია სრულიადაც არ არის სოციალისტური ღონისძიება, მით უფრო სოციალიზმის „ელემენტების“, „ნაწილაკების“, „კუნძულების“ შექმნა კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ძნელი მისახვედრი არ არის იმ ბურჟუაზიულ სოციოლოგთა შეხედულებათა მთელი სიყალბე და მლიქვნელობა, რომლებიც ამგვარ ნაციონალიზაციაში „სახელმწიფო სოციალიზმის“ შექმნას გულისხმობენ. მათ დიდი ხანია მიიღეს ფ. ენგელსის სარკაზმით მდიდარი, გამანადგურებელი პასუხი, რომელიც არავითარ ეჭვს არ ტოვებს. „სახელმწიფო საკუთრების შექმნის შემთხვევების მოხშირებასთან დაკავშირებით, — შენიშნავდა ფ. ენგელსი, — გაჩნდა ერთგვარი ყალბი სოციალიზმი, რომელიც ყოველ „გასახელმწიფოებრივებას“, თვით ბისმარკის მიერ მოხდენილსაც, პირდაპირ სოციალისტურ ღონისძიებად აცხადებს. თამბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლია რომ სოციალისტური ღონისძიება ყოფილიყო, ნაპოლეონსა და მეტერნიხს სოციალიზმის ფუძემდებელთა რიცხვში შეიტანდნენ.“¹

შეიძლება კითხვა დაიბადოს: რატომ არის კაპიტალიზმი პრინციპში ბურჟუაზიული ნაციონალიზაციის წინააღმდეგი? ყველა თანაბარ მომენტში ხომ იგი უპირატესობას დენაციონალიზაციას აძლევს.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაახლოებით 6-8 წლის მანძილზე სხვადასხვა ჯურის რეფორმისტები მხარს უჭერდნენ კერძო საკუთრების პუბლიციზაციას. ბურჟუაზიული ნაციონალიზაციის ლოზუნგისათვის მხარდაჭერა მათ სჭირდებოდათ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად და მუშათა რევოლუციური აღმავლობის მიძინებისათვის. შემდგომ ეკონომიურად მოძლიერებულ მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და მის დამცველებს აღარ სჭირდებოდათ სოციალიზაციის ლოზუნგებთან თამაში. მართალია, ბურჟუა-

¹ ფ. ენგელსი, ანტიდიუბინგი, 1952 წ., გვ. 330.

ზიული ნაციონალიზაცია არ არის სოციალიზმი, „საწარმოო ძალების სხელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ წარმოადგენს კონფლიქტის გადაჭრას, მაგრამ იგი შეიცავს მის ფორმალურ საშუალებას, მისი გადაჭრის შესაძლებლობას“.¹

სწორედ ამიტომ ეშინია ბურჟუაზიას, რომ მუშათა კლასმა არ მოითხოვოს და არ განახორციელოს ნამდვილი ნაციონალიზაცია. ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია „წმინდა ფიქციაა, ეს არის ნაციონალიზაციის კარიკატურა. თუმცაღა, ტრესტები თავს ესხმიან ამ ნაციონალიზაციას მხოლოდ იმის შიშით, რომ ხალხი ბოლოსდაბოლოს ნამდვილ ნაციონალიზაციას განახორციელებს“.²

მონოპოლისტურ გაერთიანებებს ეშინიათ ბურჟუაზიული ნაციონალიზაციისა თუნდაც იმიტომ, რომ ამით მშრომელი მასები რწმუნდებიან კერძო საკუთრების შეცვლის შესაძლებლობაში. მაშასადამე, კაპიტალიზმის ჩარჩოებში მომზდარი რეფორმაც ბურჟუაზიული ნაციონალიზაციის სახით არ აწყობს მონოპოლისტურ გაერთიანებებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას მიზნად აქვს დასახული კაპიტალიზმის გაჯანსაღება. მაგრამ, ამასთან ერთად, ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას ზოგიერთი დადებითი მხარეც აქვს, რის გამოც მუშათა კლასი გულგრილი არ არის ნაციონალიზაციისადმი. ნაციონალიზებული სახელმწიფო საწარმო ბევრად უფრო ადვილად ექვემდებარება საზოგადოებრივ კონტროლს, ვიდრე კერძო საწარმო, სადაც კაპიტალისტი განუყოფლად ახორციელებს თავის ბატონობას. ეს კი საშუალებას აძლევს მუშათა კლასს იბრძოდეს ნაციონალიზებულ საწარმოში ხელფასის გაზრდისათვის, უკეთესი საპენსიო უზრუნველყოფისათვის. ნაციონალიზაცია აძლიერებს მოცემული ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობას. ნაციონალიზაციის ამ მხარის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ყოფილ კოლონიურსა და დამოკიდებულ, ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ნაციონალიზაციას სხვა პროგრესული ნიშნებიც ახასიათებს.

სწორედ ამიტომ მუშათა კლასი ყველა ქვეყანაში აქტიურად იბრძვის დენაციონალიზაციის, რეპრევატიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც ახლა ფართოდ მიმართავს მონოპოლისტური კაპიტალი, ეკონომიურად მოძლიერებული, პირველ რიგში ამერიკის კაპიტალის მხარდაჭერით. ასეთ პირობებში ბრძოლა დენაციონალიზაციის წინააღმდეგ იმავდროულად არის ბრძოლა ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის. დამახასიათებელია ამ მხრივ ავსტრიის მუშათა კლასის მაგალითი.

ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ავსტრიაში ბევრი საწარმო მესაკუთრის გარეშე დარჩა, მათი აღდგენა და მწყობრში ჩაყენება შეუძლებელი იყო ნაციონალიზაციის გარეშე. ამან გამოიწვია ის, რომ მსხვილი საწარმოებისა და მრეწველობის მთელი დარგების ნაციონალიზაციამ ისეთი დიდი მასშტაბი მიიღო აქ, რასაც არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია ადგილი. მუშათა კლასმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ნაციონალიზაციის ჩატარებაში. შედეგად ნაციონალიზებული იქნა ენერგეტიკული მეურნეობა, სამთო-მეტალურგიული მრეწველობის დიდი ნაწილი, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის ნაწილი, ტრანსპორტის ნაწილი, აგრეთვე მსხვილი ბანკები, საემისიო ბანკს გარდა.

¹ ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, 1952 წ., გვ. 332.

² Морис Торез, Избранные произведения 1959 г., II, стр. 42.

ამჟამად ავსტრიის მსხვილი ბურჟუაზია მემარჯვენე სოციალისტების აქტიური მხარდაჭერით გააფთრებით იბრძვის აღდგენილი, გაფართოებული და მოდერნიზებული სახელმწიფო საწარმოთა დენაციონალიზაციისათვის. მართალია, ნაციონალიზებული საწარმოები ვერ გახდნენ დასაყრდენი პუნქტები მუშათა კლასისა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. მსხვილმა კაპიტალმა მოახერხა თავიდანვე გამოეყენებინა ისინი თავისი ინტერესებისათვის და დაემორჩილებინა ამ საწარმოთა ადმინისტრაცია. ახლა იგი ცდილობს თანდათანობით დააბრუნოს ნაციონალიზებული საწარმოები კერძო საკუთრებაში, მაგრამ მუშათა კლასის ენერგიული წინააღმდეგობის გამო ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებს. როგორც ეს აღნიშნულია ავსტრიის კომუნისტური პარტიის 1958 წლის 19 თებერვალს მიღებულ საპროგრამო თეზისებში, კომუნისტები კვლავაც გამოდიან „ნაციონალიზაციის მთლიანად შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის იმიტომ, რომ ნაციონალიზაციაში ისინი ხედავენ ამ ეტაპზე მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას და მომავლისათვის სოციალიზმზე გადასვლის საქმის გაადვილებას“.

ბურჟუაზიის ბრძოლას დენაციონალიზაციისათვის ყველა ქვეყანაში თან ახლავს, ერთის მხრივ, გააფთრებული თავდასხმა სოციალისტურ ნაციონალიზაციაზე, მეორეს მხრივ, თვით ბურჟუაზიული ნაციონალიზაციისათვის სახელის გატეხა, როგორც მოძველებული ღონისძიებისა, რომელმაც თითქოს მოსკამა თავისი დრო.

მსხვილმა ბურჟუაზიამ ყოველგვარი ჯურის რევიზიონისტთა და ოპორტუნისტთა მხარდაჭერით ყველაფერი გააკეთეს ნაციონალიზაციის ლოზუნგის გაყალბებისათვის. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაციონალიზაციამ ვერ გაამართლა თავისი თავი, ვერ მისცა მუშებს საწარმოების მართვაში მონაწილეობის უფლება, მათ დააკისრეს ბიუროკრატიის შენახვის ტვირთი და ა. შ. აქედან გამომდინარე, თითქოს ნაციონალიზაცია საერთოდ ზედმეტია, მით უფრო, რომ თანამედროვე ინდუსტრიის განვითარების პირობებში თითქოს მნიშვნელობა აღარ აქვს საკუთრების ფორმებს. ასეთ ვითარებაში ნაციონალიზაცია არ შეიძლება პრინციპული მნიშვნელობის საკითხი იყოს. თითქოს სახელმწიფო საკუთრება ჰქმნის ბიუროკრატიზმს, რომელიც განკარგავს მთელ ამ ქონებას, წარმოშობს ბიუროკრატიების ახალ კლასს. სახელმწიფო საკუთრება, ამტკიცებენ ნაციონალიზაციის კრიტიკოსები, „არაპირდაპირი საზოგადოებრივი“ საკუთრებაა, ვინაიდან ის ანონიმურია და ამიტომ „არავინ არ გრძნობს თავის თავს ნაციონალიზებული ქონების მესაკუთრედ“. გამოსავალი უშუალო საზოგადოებრივ საკუთრების შექმნაში მდგომარეობს, ამისათვის კი „ორთოდოქსალური ნაციონალიზაციის“ იდეა აღარ გამოდგება. ახლა სახალხო აქციების შემოღების გზით „ყველასთვის იქმნება საკუთრება“. დენაციონალიზაციასთან ერთად, ცალკეული მოქალაქეები ხდებიან ეროვნული სიმდიდრის თანამესაკუთრეები. სახალხო აქციები ანონიმური აღარ არის. ამგვარად „ხდება“ კაპიტალისტური საკუთრების დიფუზია, როცა თითოეული მოქალაქე აქციის მფლობელია, რაც „აერთებს უშუალო მწარმოებელს წარმოების საშუალებებთან“.

სხვადასხვა ყაიდის რეფორმისტთა მტკიცება თავს იყრის იმ ერთ პუნქტში, რომ ამჟამად სოციალიზმის გამარჯვებისათვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს ნაციონალიზაციის გზით წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი სა-


კუთრების შექმნა, მაშინ როცა თვით ბურჟუაზიული სახელმწიფო თანაობის გამოთნაბრებელ როლს, როცა იგი „იცავს პირებს ექსპლოატაციისაგან“ და აქტიური არბიტრის როლში გამოდის. ამ რევიზიონისტული თვალსაზრისით მეტად ტიპურია ნაციონალიზაციის ლოზუნგის მიმართ ინგლისის ლეიბორისტთა დამოკიდებულების ევოლუცია, როგორც ცნობილია, 1945 წელს ინგლისელმა ლეიბორისტებმა ნაციონალიზაციის ლოზუნგის გამოყენებით, რომელსაც აქტიურად თხოულობდა ქვეყნის მუშათა კლასი, მნიშვნელოვანწილად განაპირობეს თავიანთი გამარჯვება პარლამენტის არჩევნებში. დასაწყისში მათ უხალისოდ ჩაატარეს მსხვილი ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი ნაციონალიზაცია; მაგრამ შემდგომ თანდათანობით მიივიწყეს ნაციონალიზაციის ლოზუნგი, ხოლო 1957 წლიდან საჯაროდ გაემიჯნენ ნაციონალიზაციის ლოზუნგს და ამოიღეს იგი თავისი პროგრამიდან.

რას თავაზობენ ლეიბორისტები ინგლისის მუშათა კლასს ნაციონალიზაციის სანაცვლოდ? ისინი მუშათა კლასს თავაზობენ სახელმწიფოს მონაწილეობას აქციების გზით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების გამგებლობაში. ლეიბორისტები ამტკიცებენ, რომ ახლა კაპიტალიზმი შეიცვალა, რომ ამჟამად კონცერნების უმრავლესობას მსხვილი კაპიტალისტები აღარ მართავენ, რომ მართვას დირექტორები და მმართველები ახორციელებენ. სახელმწიფოს მონაწილეობამ ამ კონცერნების საქმიანობაში, პროფკავშირების გზით „დემოკრატიული კონტროლის“ განხორციელებამ, საშემოსავლო გადასახადების გადანაწილებამ უნდა უზრუნველყოს კერძო საკუთრების დამორჩილება საზოგადოებრივი ინტერესებისადმი. დამახასიათებელია, რომ ლეიბორისტები სრულიად არ ცდილობენ სახელმწიფოსათვის აქციების შექმნას გადამჭრელი ღონისძიებებით. სამემკვიდრეო ქონებაზე გადასახადის გადახდას ისინი ვარაუდობენ არა ფულით, არამედ აქციით. აქციებს სახელმწიფო ყიდულობს მისი სრული საბაზრო ღირებულების მიხედვით. ამასთან ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეს ოპერაცია კეთდება კაპიტალდამანდებათა საჭიროების შესაბამისად და არა თავისთავად კონტროლის დაწესების მიზნით. ყველაფერი ეს, ლეიბორისტთა აზრით, საკმარისია ქვეყნის „შერეული ეკონომიკის“ მხარდაჭერისათვის.

ასეთი გზით აპირებენ ლეიბორისტები „სოციალიზმის აშენებას“, ამასთან ერთად უარს ამბობენ რა „მოძველებულ“ ნაციონალიზაციის ლოზუნგზე. ინგლისის კომუნისტური პარტია სრულიად არ თვლის ჭეშმარიტი ნაციონალიზაციის ლოზუნგს მოძველებულად. იგი ნაციონალიზაციის შემდგომ გაფართოებისაკენ მოუწოდებს¹.

როგორც დავინახეთ, კერძო საკუთრების პუბლიციზაციის ყალბი თეორიები ემყარება იმ შეხედულებას, რომ ამჟამად ბურჟუაზიული სახელმწიფო ის აღარ არის, რაც მარქსის დროს იყო, რომ იგი არის „საყოველთაო კეთილდღეობის“ სახელმწიფო, კლასთა პარმონიული თანაცხოვრების ორგანო, რეგულატორი შემოსავლის თანაბრად გადანაწილებისათვის, ეკონომიური ჰუმანიზმისათვის. ამასთან დაკავშირებით მეტად პოპულარულია მითითება შვეციის გამოჩინების, რომელიც თითქოს ადასტურებს კაპიტალისტური სახელმწიფოს ანლებურ ბუნებას. ამ მიზნისათვის შვეციის მუშათა კლასის მიერ ხანგრძლივი

¹ Финлей Харт, Коммунистическая партия Великобритании и профсоюзы. 1959 г. стр. 24-25.



ბრძოლით მოპოვებულ სოციალურ უფლებებს. (მათ შორის სკოლებში მასწავლებელთა სახელმძღვანელოს უფასოდ გაცემას და უფასო საუზმეს) განიხილავენ, როგორც სოციალიზმის ელემენტებს, მაშინ როცა ეს რეფორმები არ სცილდებიან კაპიტალისტური საზოგადოების ფარგლებს¹.

ვერავითარი რეფორმები და თეორიები ვერ შეცვლიან კერძო საკუთრების ვიწრო ჩარჩოების რევოლუციური დამსხვრევის ისტორიულ აუცილებლობას. პუბლიციზაციის უწყინარი თეორიები სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მხრივ მშრომელთა აშკარა ექსპლოატაციის დაფარვის საშუალებაა. ამასთან ერთად კაპიტალისტური საკუთრების სოციალიზაციის თეორიათა სიმრავლე არაპირდაპირი დადასტურებაა სოციალისტური საკუთრების დიდი პოპულარობისა უცხოეთის მშრომელთა მასებში.

¹ Ф. Лагер, О социал-демократическом «социализме» в Швеции. журн. «Проблемы Мира и социализма», 1959 г. № 6, стр. 59.



**საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს მესამე სესიის მასალები**

მიმდინარე წლის 24 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეზუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესიამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი კანონები. ვაქვეყნებთ სესიის მიერ მიღებულ კანონებს:

1. კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ
2. კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ

დადგენილება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი
საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის
სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე**

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სახალხო მოსამართლეები და სახალხო მსახურეები, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მიღებამდე, მათზე დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებას განაგრძობენ მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.
2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ქოჭენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

წ. გელდიანაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

**„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის ბრძანება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ქოჭენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

წ. გელდიანაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.



კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ

თ ა ვ ი

ზოგადი დებულებანი

მუხლი I. სასამართლო სისტემა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 117 მუხლის შესაბამისად მართლმსაჯულებას საქართველოს სსრ-ში ახორციელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, საზღვრეთს ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

მუხლი 2. მართლმსაჯულების მიზნები

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში მოწოდებულია დაიცავს ყოველგვარი ხელყოფისაგან:

ა) სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებით განმტკიცებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება;

ბ) მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბანაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები, რომლებიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებით;

გ) სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და კანონით დაცული ინტერესები.

საქართველოს სსრ მართლმსაჯულების ამოცანა უზრუნველყოს ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრებლად შესრულება.

მუხლი 3. სასამართლოს ამოცანები

სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით ზრდის მოქალაქეებს სამშობლოსა და კომუნისტურ საქმისადმი ერთგულების სულსიკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრებლად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პა-

ტივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულსიკვეთებით.

სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებით სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოწვრთბას და ხელახლა აღზრდას.

მუხლი 4. მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გზით

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება:

ა) სასამართლო სსდომებზე სამოქალაქო სამართლის საქმეთა იმ დავის განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომელიც ეხება მოქალაქეების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და ინტერესებს;

ბ) სასამართლო სსდომებზე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და დამნაშავე პირთათვის კანონით დაწესებული სასჯელის ღონისძიებათა შეფარდების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

მუხლი 5. მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, დამოუკიდებლად მათი სოციალური, ქონებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობისა, ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა და სარწმუნოებისა.

მუხლი 6. მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

მუხლი 7. ყველა სასამართლოს შექმნა არჩევითობის საწყისებზე

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 120-123 მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ-ში ყველა სასამართლო იქმნება არჩევითობის საწყისებზე.

მუხლი 8. საქმეთა კოლეგიური განხილვა ყველა სასამართლოში



საქმეები სასამართლოებში განიხილება კოლექტიურად. საქმეების განხილვა პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში ხორციელდება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

საქმეები საკასაციო საჩივრებითა და პროტესტებით განიხილება შემდგომი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებში შესაბამისი სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით.

საქმეები პროტესტებით სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების გამო განიხილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ თუ მის ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ პრეზიდიუმის სამი წევრის შემადგენლობით, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებში — ამ სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში საქმეებს განიხილავს მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის დასწრებით.

მუხლნი 9. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება

მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლნი 10. ენა, რომელზეც სამართალწარმოება მიმდინარეობს

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 124 მუხლის შესაბამისად სამართალწარმოება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება ქართულ ენაზე, ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან ავტონომიური ოლქის ენაზე; იმ პირთათვის, რომლებმაც ეს ენები არ იციან, უზრუნველყოფილია საქმის მასალების სრული გაცნობა მთარგმნელის საშუალებით, აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლნი 11. საქმეთა ღია განხილვა ყველა სასამართლოში

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 125 მუხლის შესაბამისად საქმეთა განხილვა საქართველოს სსრ ყველა სასამართლოში ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებულ გამონაკლისისა.

მუხლნი 12. ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 125 მუხლის შესაბამისად ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

მუხლნი 13. ადვოკატთა კოლეგიები

წინასწარი გამოძიების დროს განსასაზღვრელად ში დაცვის განხორციელების მიზნით აკრებიან მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სხვა იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები.

ადვოკატთა კოლეგიები იმ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ეწევიან და მოქმედებენ დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

მუხლნი 14. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, საქართველოს სსრ პროკურორი და მათდამი დავუქმდებარებული პროკურორები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით მონაწილეობენ განწყესრავებულ სხდომებზე, სამსჯავრო სხდომებზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს; მხარს უჭერენ სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში. წარადგენენ და მხარს უჭერენ საჩივრებს სასამართლოში. ზედამხედველობას უწევენ სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, აგრეთვე სასამართლო განაჩენის აღსრულებას.

მუხლნი 15. საზოგადოებრივი ბრალმდებელნი და დამცველნი.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილია წესით საზოგადოებრივი ბრალდება და დაცვა სასამართლოში შეტყობილით განახორციელონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრალდებას შეიძლება მხარი დაუჭიროონ აგრეთვე დანაშაულისაგან დახარალებულმა პირებმა.

საზოგადოებრივ ბრალმდებლებს და საზოგადოებრივ დამცველებს მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ენახებათ ხელფასი.

საზოგადოებრივი ბრალმდებლებისათვის და საზოგადოებრივი დამცველებისათვის, რომლებიც არ არიან მუშები და მოსამსახურეები, ხარჯების ანაზღაურების წესს სასამართლოში მათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლნი 16. მოთხოვნები, რომლებიც წარედგინებათ მოსამართლეობის და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებს

მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეი

რედაქციის
გამოცემის

ლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდა.

მუხლი 17. სახალხო მსაჯულთა და მოსამართლეთა თანაწიური უფლებები მართლმსაჯულების განხორციელების დროს

სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს სახალხო მსაჯულები სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

მუხლი 18. ვადა, რომლითაც სახალხო მსაჯულები მოიწვევიან მოვალეობის შესასრულებლად სასამართლოში

სახალხო მსაჯულები მოიწვევიან სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მორიგეობის წესით, ვადით არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის ვაგვრებულება საქირთა მათი მონაწილეობით დაწყებული საქმის დასამთავრებლად.

მუხლი 19. სახალხო მსაჯულებისათვის ხელფასის შენარჩუნება სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს.

სახალხო მსაჯულებს მუშათა და მოსამსახურეთა რიგებიდან სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს ენახებათ ხელფასი.

სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ არიან მუშები და მოსამსახურეები, სასამართლოში მათ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით აღნაღაურდებათ ხარკები.

აღნაღაურების წესსა და ოდენობას დაადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 20. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადაზე ადრე გაწვევა

მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს შეიძლება ვადაზე ადრე ჩამოერთვათ რწმუნებანი მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა ან იმ ორგანოს გაწვევით, რომლებმაც ისინი აირჩიეს ან მათ მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე.

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის წესს ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

მუხლი 21. მოსამართლეთა ვადაზე ადრე განთავისუფლება თანამდებობისაგან

მოსამართლეები შეიძლება ვადაზე ადრე განთავისუფლდნენ თანამდებობისაგან თავიანთი თხოვნით ხანგრძლივი ავადმყოფობის, ოჯახური მფლობარეობის, სხვა სამუშაოზე გადასვლისა და სხვა საბატიო მიზეზების გამო.

სახალხო მოსამართლეების ვადაზე ადრე განთავისუფლება ხდება შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, 3. საბჭოთა სამართალი № 3.

და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების ვადაზე ადრე განთავისუფლება ხდება შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომლებიც შემდგომში შეტანილ უნდა იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ასსრ უმაღლესი საბჭოს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხლი 22. უფლებამოსილების ვადაზე ადრე გაწვეულ ან განთავისუფლებულ მოსამართლეთა ნაცვლად მოსამართლის არჩევის წესი


უფლებამოსილების ვადაზე ადრე სახალხო მოსამართლის გაწვევის ან განთავისუფლების შემთხვევაში სახალხო მოსამართლის არჩევენებს აწყობს შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, არა უგვიანეს ერთი თვისა გაწვევის ან განთავისუფლების დღიდან.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების ვადაზე ადრე გაწვევისა ან განთავისუფლების შემთხვევაში ზემოაღნიშნულთა სასამართლოების ახალ თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს და წევრებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

თ ა ვ ი ი I.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო

მუხლი 23. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნა



ყველა რაიონში ან ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა შეიქმნება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

მუხლი 24. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევის წესი

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის (ქალაქის) მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საქმიანობის ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე სამხედრო ნაწილებში ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით.

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული „დებულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“.

რაიონებში (ქალაქებში), სადაც არჩეულია რამდენიმე სახალხო მოსამართლე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო, ხოლო ქალაქად, — სადაც არ არის რაიონული დაყოფა — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო, შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით, არჩეულ მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 25. სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების რაოდენობა

თვითეული რაიონისათვის (ქალაქისათვის) სახალხო მოსამართლეთა რიცხვს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო მოსამართლეთა რიცხვს აწესებს შესაბამისად ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი; წინადადებას მოსამართლეთა რიცხვის შესახებ წარადგენენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე.

თვითეული რაიონისათვის (ქალაქისათვის) სახალხო მსაჯულთა რიცხვს აწესებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი.

მუხლი 26. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს უფლებამოსილება

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო განიხილავს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონით მიეკუთვნება ზემდგომი სასამართლოს და სამხედრო ტრიბუნალის გამგებლობას.

მუხლი 27. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება


რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე:

1. თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას;
2. ანაწილებს საქმეებს სახალხო მოსამართლეებს შორის;
3. ხელმძღვანელობს:
 - ა) სასამართლო პრაქტიკის შესწავლას;
 - ბ) სასამართლოს კანცლარიის მუშაობას;
 - გ) სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობას.
4. აწყობს და აწესრიგებს:
 - ა) ამხანაგური სასამართლოებისადმი დახმარებას;
 - ბ) მთხოვნელთა მიღებას და მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას;
 - გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ანგარიშგებას ამომჩიველების წინაშე;
 - დ) მოსამართლეთა მუშაობას მოსახლეობაში საბჭოთა კანონების განმარტების დარგში;
 - ე) სახალხო მსაჯულებთან მეცადინეობის ჩატარებას;
 - ვ) სტატისტიკური ანგარიშების წარმოებას.

მუხლი 28. სახალხო მოსამართლის შეცვლა მისი სამუშაოზე დროებით არყოფნის შემთხვევაში

რაიონებში (ქალაქებში), სადაც არის ერთი სახალხო მოსამართლე, მისი სამუშაოზე დროებით არყოფნის (ავადმყოფობა, შვებულება და სხვ.) შემთხვევაში სახალხო მოსამართლის მოვალეობის აღსრულებას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აკისრებს სხვა (უახლოესი) რაიონის სახალხო მოსამართლეს.

შორეულ რაიონებში (ქალაქებში), სადაც არის ერთი სახალხო მოსამართლე, მისი სამუშაოზე დროებით არყოფნის შემთხვევაში სახალხო მოსამართლის მოვალეობის აღსრულება



შესაბამისი რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ეკისრება ერთ-ერთ სახალხო მსაჯულს ამ რაიონში (ქალაქში) არჩეულთა რიცხვიდან.

მუხლი 29. სახალხო მოსამართლეების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე

სახალხო მოსამართლეები ჰისტორიულად აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს თავიანთი მუშაობის და სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ.

თ ა ვ ი III.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო

მუხლი 30. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს არჩევის წესი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 122 მუხლის შესაბამისად, ირჩევს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ხუთი წლის ვადით.

ოლქის სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას სასამართლოს არჩევას განსაზღვრავს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

მუხლი 31. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს შემადგენლობა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო შედგება თავმჯდომარის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

- ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,
- ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და
- გ) სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მუხლი 32. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო:

- 1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება.
- 2. ახორციელებს ზედამხედველობას ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე.
- ა) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე-

თა სასამართლო კოლეგიებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) სასამართლოს პრეზიდიუმში პროტესტების განხილვის გზით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე, აგრეთვე სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

3. ატარებს ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების რევიზიის და ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს მთელ მათ საქმიანობაზე.

მუხლი 33. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება


სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს მისი გამგებლობისათვის კანონით მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — საჩივრებსა და პროტესტებს რაიონული (საქალაქო) და სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 34. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს მისი გამგებლობისათვის კანონით მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — საჩივრებს და პროტესტებს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ განაჩენებზე და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 35. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრთა შემადგენლობით, ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღ-



მასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით. სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ავტონომიური ოლქის პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 36. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე საოლქო სასამართლოს განჩინებებზე.

თუ საქმის განხილვის დროს მონაწილეობდა სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე სხვა სასამართლოში გადაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად, საქმეს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

ბ) განიხილავს სახალხო სასამართლოს რევიზიის შედეგებს.

მუხლი 37. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომაზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს ოლქის სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე ავტონომიური ოლქის სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

დ) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ე) ხელმძღვანელობს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მათ რევიზიებს.

მუხლი 38. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს ანგარიშვალდებულება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო ანგარიშს აბარებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

თავი IV ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო

მუხლი 39. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოა.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო არის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ენიჭება საქონონდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 40. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 121 მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები ხუთი წლის ვადით.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავენ შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები უმაღლესი სასამართლოს არჩევის დროს.

მუხლი 41. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და

გ) სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მუხლი 42. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება;

2. ახორციელებს ზედამხედველობას რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების საქმიანობაზე;

ა) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებების მიხედვით, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება;

ვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე —საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე პროტესტების განხილვის გზით.

3. ატარებს ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების რევიზიას და ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს მთელ მათ საქმიანობაზე.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით მისი ვამგებლობისათვის მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შესულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით მისი ვამგებლობისათვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ განაჩენებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მო-

ადგლის და წევრების შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ შიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე.

თუ საქმის განხილვის დროს მონაწილეობდა სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, სხვა სასამართლოში გადასვლის საკითხის გადასაწყვეტად, საქმის წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

ბ) განიხილავს სახალხო სასამართლოს რევიზიის შედეგებს.

მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება


ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომებზე თავმჯდომარეობის გასაწყვეად ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

დ) ანაწილებს ავტონომიური რესპუბლიკის



უმაღლესი სასამართლოს წევრებს სასამართლო კოლეგიების მიხედვით;

ე) ახორციელებს სასამართლო კოლეგიების მუშაობისადმი საერთო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას;

ვ) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ზ) ხელმძღვანელობს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მათ რევიზიებს.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ანგარიშვალდებულება

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები ანგარიშს აბარებენ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შესაბამისად.

თავი V.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო

მუხლი 49. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო არის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანო. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ეკისრება ზედამხედველობა გაუწიოს რესპუბლიკის ყველა სასამართლო ორგანოს სასამართლო საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ენიჭება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 50. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 120 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის დროს.

მუხლი 51. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

გ) სასამართლოს პრეზიდიუმისა და (დ) სასამართლოს პლენუმის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

მუხლი 52. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება.

2. ახორციელებს ზედამხედველობას რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობაზე:


ა) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და სახალხო მოსამართლეთა და დგენილებებზე — საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს დადგენილებებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე პროტესტების განხილვის გზით;

3. ატარებს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს რევიზიას და ახორციელებს მთელი მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მუხლი 53. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს:



ა) პირველი ინსტანციით კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს;

ბ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლობისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, და აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) პროტესტებს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე.

მუხლი 54. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს;

ა) პირველი ინსტანციით კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს;

ბ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ განჩინებებზე და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, და აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) პროტესტებს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განჩინებებსა და განჩინებებზე, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლობის და ავტონომიური ოლქის სასამართლოს განჩინებებსა და განჩინებებზე.

მუხლი 55. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს

პრეზიდიუმი შედგება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და სასამართლოს წევრებისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრულ რაოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

პრეზიდიუმის სხდომებზე საქართველოს სსრ პროკურორის ან მისი მოადგილეს მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 56. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებებსა, განჩინებებსა და განჩინებებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების დადგენილებებზე, აგრეთვე პროტესტებს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

ბ) განიხილავს ქვემდგომი სასამართლოების რევიზიის შედეგებს.

მუხლი 57. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და ყველა წევრისაგან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისაგან, რომელნიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წევრები არიან თანამდებობის მიხედვით.


პლენუმის სხდომებზე საქართველოს სსრ პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

პლენუმის სხდომები მოიწვევა არანაკლებ ერთისა სამ თვეში. პლენუმის დადგენილება მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე მონაწილე წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 58. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი:

ა) აძლევს სასამართლოებს სახელმძღვანელო ხასიათის განმარტებებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს



რესპუბლიკური კანონმდებლობის შეფარდების საკითხებზე, სასამართლო პრაქტიკის, სასამართლო სტატისტიკისა და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინებათა საფუძველზე;

ბ) შედის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საქონმდებლო წესით ვადასაწყვეტი საკითხებისა და საქართველოს სსრ კანონების განმარტების შესახებ;

გ) განიხილავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მისი მოადგილეების, საქართველოს სსრ პროკურორის და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

დ) ისმენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების ანგარიშს კოლეგიების მუშაობის შესახებ;

ე) ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან სასამართლო კოლეგიების შემადგენლობებს;

ვ) ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას;

ზ) განიხილავს საჩივრებს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიების გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 59. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სსდომებს ან სასამართლოს სსდომებზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიებში, პრეზიდიუმში და პლენუმში შესაბამისად რესპუბლიკის ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე და დადგენილებებზე, სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე და განჩინებებზე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე, აგრეთვე მოსამართლეთა დადგენილებებზე.

გ) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმისა და პლენუმის სსდომებს და თავმჯდომარეობს ამ სსდომებს;

დ) შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად ისეთი

საკითხები, რომლებიც მოითხოვს პლენუმის მიერ გადაწყვეტას;

ე) ახორციელებს საერთო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების მუშაობაზე;

ვ) ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ზ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ქვემდგომი სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მთრევიზიებს.

მუხლი 60. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურის დამტკიცების წესი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 61. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ანგარიშვალდებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს.

თ ა ვ ი V I

მოსამართლეთა პასუხისმგებლობა

მუხლი 62. მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემის წესი


არ შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში იქნან მიცემული და ამასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გადაყენებული ან დაპატიმრებული:

ა) სახალხო მოსამართლენი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები, აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

მუხლი 63. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი

სამსახურებრივი დაუდევრობისა და უღირსი მოქმედებისათვის, რაც სახელს უტეხს მართლმსაჯულების ავტორიტეტს, მოსამართლეებს ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა



შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიების წინაშე.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული „დებულება საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“.

თ ა ვ ი VII

სასამართლოს აღმასრულებლები

მუხლი 64. სასამართლოების გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას ქონებრივი გადახდვიენების ნაწილში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. კოჭინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

წ. გელდიუშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატების განვევის წესის შესახებ

დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაწესდა, გამოხატავს მშრომელთა სრულფასობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას მშრომელთა წინაშე.

ითვალისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 155-ე მუხლის შესაბამისად ადგენს:

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნას ყო-

ველ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 65. სასამართლოს აღმასრულებლების დანიშვნისა და განთავისუფლების წესი

სასამართლოს აღმასრულებლები იმყოფებიან რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებთან. სასამართლოს აღმასრულებლები ინიშნებიან და თავისუფლებიან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის მიერ. რასაც შემდგომში ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 66. სასამართლოს აღმასრულებლების მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა

მოთხოვნები სასამართლოს გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულების შესახებ, რომლებსაც სასამართლოს აღმასრულებლები წარადგენენ, სავალდებულოა ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. კოჭინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

წ. გელდიუშვილი

ველ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და კულტურული საზოგადოებებისათვის — მათი ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო ორგანოების სახით, ასევე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებისათვის — სწარმოებსა, საამქროებსა და დაწესებულებებ-

ში, გლეხებისათვის — სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში, სამხედრო მოსამსახურეებისათვის — ჯარის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში.

დებუტატის გაწვევის საკითხი ამომრჩეველთა კრებებზე შეიძლება აღიძვრას იმ პირობით, თუ მასში მონაწილეობა შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედისა.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კრებები, რომლებიც აღძრავენ დებუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დებუტატს, ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს. დებუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო მისი გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებებისა, რომლებმაც დებუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგზავნება მშრომელთა დებუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და, თუ დებუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას დებუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. მშრომელთა დებუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დებუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, სააქქრობებში, დაწესებულებებში, სოფლებში, კოლმეურნეობებში, ბრიგადებში, ჯარის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს დებუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. მას შემდეგ, რაც მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი

კომიტეტი დანიშნავს კენჭისყრას დებუტატის გაწვევის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციის 138-ე მუხლის თანახმად ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება დებუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამისი საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების წარმომადგენელთაგან, აგრეთვე მშრომელთა საერთო კრებების წარმომადგენელთაგან. საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოს დებუტატის გაწვევისას — კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2-6 წევრის შემადგენლობით, ხოლო სასოფლო და სადაბო საბჭოს დებუტატის გაწვევისას თავმჯდომარის, მდივნის და ერთი წევრის შემადგენლობით.

მშრომელთა დებუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას ატკიცებს მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი; კრების დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დებუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი სამი დღის ვადაში წარედგინება დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დებუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და არცვებს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს მშრომელთა დებუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 10. მშრომელთა დებუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დებუტატი გაწვეულად ითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს, მისი განსაზღვრის შემდეგ არაუგვიანეს ხუთი დღისა, აქვეყნებს დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. მშრომელთა დებუტატების სა-

ოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ქოჯენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. გელდიანვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.


ქართული იურიდიული ზეპირნოლოგიის მასალები

(გაგრძელება)*


0

· обвес	წონაში დაკლება, წონაში მოტყუება
· обвинение	1. ბრალდება; 2. დაბრალება, ბრალის დადება; 3. ბრალმდებელი მხარე
· обвинение встречное	შეგებებული ბრალდება
· обвинение: дело по обвинению	ბრალდება: საქმე სისხლის კოდექსის 142 მუხ-
· гражданина X по ст. 142 уго-	ლით მოქალაქე X-ის ბრალდების გამო
· ловного кодекса	
· обвинение заведомо ложное	შეგნებულად ცრუ, ტყუილი ბრალდება
· обвинительное заключение	საბრალდებო დასკვნა
· обвинительный, ая, ое	ბრალდებისა, საბრალდებო, გამამტყუნებელი
· обвинительный приговор	გამამტყუნებელი განაჩენი
· обвинить	დაბრალება (დააბრალებს), ბრალის დადება (ბრალს დასდებს), გამტყუნება (გამტყუნებს)
· обвиняемый, ая, ое	ბრალდებული
· обезвредить	უვნებელყოფა (უვნებელყოფს)
· обезвреженный, ая, ое	უვნებელყოფილი
· обезвреживающий, ая, ое	უვნებელყოფი
· обезопасить	უშიშარყოფა (უშიშარყოფს)
· обездорожить	განიარალება (განაიარალებს), იარაღის აყრა (იარაღს აჰყრის)
· обеспечение иска	სარჩელის უზრუნველყოფა
· обеспеченность	უზრუნველყოფილობა
· обеспечительная передача	უზრუნველყოფილი გადაცემა
· обеспечительный вексель	უზრუნველყოფის თამასუქი
· обеспеченные	პატივის ახდა, სახელის გატეხა
· обжалование	გასაჩივრება
· обида	წყენა, წყენინება
· облава	აღუა
· обладание	პყრობა, მპყრობელობა, ქონა
· обладатель	მპყრობელი, მქონებელი
· облечение властью	ხელისუფლებით აღჭურვა
· облеченный правом	უფლებით აღჭურვილი, უფლებამოსილი
· обличение	მხილება

* იხ. ქურნ. „საბჭოთა სამართალი“ 1959 წლის №№ 5, 6; 1960 წლის №№1, 2.



обличенный, ая, ое	მხილებული
обличитель	მამხილებელი
обложение	დაბეგვრა
обложение налоговое	დაბეგვრა, გადასახადის შეწერა
обложение податное	საგამოსაღებო დაბეგვრა
обмен нотами	ნოტების გაცვლა
обмеривание	ზომაში მოტყუება
обнародование закона	კანონის გამოქვეყნება
обобществление ✓	განსაზოგადოება
обольститель	შემცდენი, მაცთუნებელი
оборона своевременная	თანაჟამიერი მოგერიება
оборонительный, ая, ое ✓	თავდაცვითი, მოგერიებითი
основание	დასაბუთება
основанность отвода	აცილების დასაბუთებულობა
обоюдное согласие	ურთიერთთანხმობა, ორმხრივი შეთანხმება
обоюдность	ორმხრივობა
образование государственное	სახელმწიფო წარმონაქმნი
обратимость	შექცევადობა
обратимый, ая, ое	შექცევადი
обратная отсылка ✓	უკუმიითება ✓
обратная сила закона	კანონის უკუქცევითი ძალა
обратное взыскание ✓	უკუგადახდევინება
обратное требование	უკუმოთხოვნა
обратный вексель	შებრუნებითი თამასუქი
обращение взыскания ✓	გადახდევინების მიქცევა
обращение денежное	ფულის მიმოქცევა
обращение жестокое	ულმობელი მოპურობა
обременение вещное	სანივთო დატვირთულობა
обременительная сделка	სამძიმო გარიგება
обременительный, ая, ое	სამძიმო, დამამძიმებელი
обременяющее обязательство	დამტვირთავი ვალდებულება
оброк денежный	სახდური
оброк натуральный	ღალა
обряд	წესჩვეულება
обстоятельство, вновь открыв- шеяся	ახლად აღმოჩენილი გარემოება
обход закона	კანონის გვერდის ავლა
общая авария	საერთო ავარია
общая оговорка	ზოგადი დათქმა
общая превенция	ზოგადი პრევენცია
общее владение	საერთო მფლობელობა
общежитие	1. საერთო ცხოვრება; 2. საერთო საცხოვრებელი
общенародное достояние	საერთო-სახალხო ავლა-დიდება
общеопасный опособ	საყოველთაოდ საშიში ხერხი
общесоюзное законодательство	საერთო-საკავშირო კანონმდებლობა



общественная опасность	საზოგადოებრივი საშიშროება
общественно-вредное действие	საზოგადოებრივად მავნე მოქმედება
общественное устройство	საზოგადოებრივი წყობილება
общественно-опасный поступок	საზოგადოებრივად საშიში საქციელი
общественный строй	საზოგადოებრივი წესწყობილება
общность умысла	განზრახვის ერთობა
объективное вменение	ობიექტური შერაცხვა
объявление вне закона	კანონგარეშედ გამოცხადება
объяснение	ახსნა, ახსნა-განმარტება
объяснение сторон	მხარეთა ახსნა-განმარტება
обыкновение	ჩვეულება
обычай	ადათი
обычное право	1. ადათური სამართალი; 2. ადათური უფლება
✓ обязанность доказывания	მტკიცების მოვალეობა
обязательный, ая, ое	ვალდებული
обязательность решения	გადაწყვეტილების სავალდებულობა
обязательный, ая, ое	სავალდებულო
обязательственное право	1. ვალდებულებითი სამართალი; 2. ვალდებულებითი უფლება
обязательственный, ая, ое	ვალდებულებითი, ვალდებულებისა
обязательство	ვალდებულება
обязательство из причинения	ვნების მიყენებიდან წარმოქმნილი ვალდებულება
вреда	მოვალეობის დაკისრება (მოვალეობას დააკისრებს), დავალდებულება (დაავალდებულებს)
обязать	ვალდებულების აღება, კისრობა (ვალდებულებას აიღებს, იკისრებს)
обязаться ✓	მავალდებელი ნორმა
обязывающая норма	1. გამოცხადება, (საჯაროდ) წაკითხვა, გამოქვეყნება; 2. გამუღავნება
оглашение	გამუღავნება: გამუღავნება არ შეიძლება
оглашение: не подлежит оглашению	ნატყვიარი ჭრილობა
огнестрельная рана	ცეცხლსასროლი იარაღი
огнестрельное оружие	გატყმა, ხელის დაღება
оговор	1. ხელის დაღება (ხელს დაადებს), გატყმა (გასტყვამს); 2. დატყმა (დატყვამს)
оговорить	დატყმა
оговорка	გამტყმელი, დამწამებელი, შემწამებელი, დამბრალებელი, ხელის დამღები
оговорщик	უფლებაშეზღუდული
ограниченный в правах	შეზღუდვითი განმარტება
ограничительное толкование	მარტოხელა დედა
одинокая мать	1. მარტოხელა; 2. განმარტოებული ტუსაღობის საკანი
одиночка	

одиночное заключение	განმარტოებული ტუსალობა
однородные преступления	ერთგვაროვანი დანაშაულნი
односторонняя сделка	ცალმხრივი გარიგება
озеро внутреннее	შიდა ტბა
озорное действие	1. თავაშვებული მოქმედება; 2. ანცი მოქმედება
оказание невинности	ურჩობა, გაძლიანება
оказание помощи	დახმარების აღმოჩენა, გაწევა
оказание содействия	ხელის შეწყობა
окупирующая держава	მაოკუპირებელი სახელმწიფო
оклад	განაკვეთი
окладной лист	შეწერილობის ფურცელი
окладной сбор	საგანაკვეთო მოსაკრეფელი
опасность	ხიფათი, საშიშროება, საფრთხე
опасный, ая, ое	სახიფათო, საშიში
опасный преступник	საშიში დამნაშავე
опека законная	1. კანონიერი მეურვეობა; 2. კანონის მიერ მეურვეობა
опекунское право	1. სამეურვეო სამართალი; 2. მეურვის, სამეურვეო უფლება
опечатание	დაბეჭდვა, დალუქვა
опись	აწერა, აღწერა, აღწერა, ნუსხა
опись имущества	1. ქონების აწერა; 2. ქონების ნუსხა
оплата	1. გადახდა, განაღდება, ანაზღაურება, გასტუმრება; 2. საზღაური
оповещение	უწყება, ცნობება, შეტყობინება
опознание	ცნობა, გამოცნობა
опозорение	სახელის გატეხა, შერცხვენა
оправдательный	გამამართლებელი, გასამართლებელი
оправдательный приговор	გამამართლებელი განაჩენი
оправдывающий, ая, ое	გამამართლებელი
определение	1. განჩინება; 2. განსაზღვრა; 3. განწყება, დანიშვნა
определение наказания	სასჯელის განსაზღვრა
определение на службу	სამსახურში განწყება, დანიშვნა
определение суда	სასამართლოს განჩინება
определить	1. განსაზღვრა (განსაზღვრავს); 2. განჩინება, განჩინების გამოტანა (განჩინებას გამოიტანს) 3. განწყება (განაწყებს), დანიშვნა (დანიშნავს)
опровержение клеветы	ცილისწამების უარყოფა
опровержение обвинения	ბრალდების დარღვევა
опровержимая презумпция	საცილობელი პრეზუმპცია
опрос	გამოკითხვა
опротестовать	გაპროტესტება (გააპროტესტებს)



опрошенный, ая, ое
оптировать

опущение
опущение действия
опущение преступное ✓
ордер на арест
орудие преступления
осада
осведомитель
осведомить

освидетельствование
оседлость: черта оседлости

осквернение
оскопление
оскорбительный, ая, ое
оскорбление действием ✓
оскорбление заочное
ослушание
осмотр
осмотр в воспроизведенной
обстановке

осмотр врачебный
осмотрительность
особое мнение
особо-опасное последствие
осознание

осознанная неосторожность ✓
оспаривание
оспаривание доказательства
оспоримая сделка ✓

оставление в подозрении
оставление без поддержки
острог
осудить

осуждение

осужденный, ая, ое

отбытие наказания

გამოკითხული

ოპტირება, ოპტაციის მოხდენა (ოპტაციის მოახდენს)

1. გამოშვება, გამოტოვება; 2. უმოქმედობა მოქმედების შეუხსრულებლობა დანაშაულებრივი უმოქმედობა დაპატიმრების ორდერი დანაშაულის იარაღი ალყა

მცნევარი, ცნობების მიმწოდებელი უწყება (აუწყებს), ცნობება (აცნობებს), შეტყობინება (შეტყობინებს), ცნობის მიწოდება (ცნობას მიაწვდის)

შემოწმება

ბინადრობა: ბინადრობის საზღვარი, მიჯნა, ფარგალი

წაბილწვა, შეგინება

დასაჭურისება

შეურაცხყოფელი

მოქმედებით შეურაცხყოფა

ზურგს უკან შეურაცხყოფა

ურჩობა, გაუგონრობა

დათვალიერება, გასინჯვა

დათვალიერება აღდგენილ ვითარებაში

საექიმო გასინჯვა

წინდახედულობა

განსაკუთრებული აზრი

განსაკუთრებით საშიში შედეგი

შეცნობა, შეგნება

შეცნობილი გაუფრთხილებლობა

შეცილება, შედავება, გამოდავება

შედავება დამამტკიცებელ საბუთზე

საცილობელი გარიგება

ექვქვეშ დატოვება

უშემწეობოდ მიტოვება

საპურობილე

1. მსჯავრის დადება (მსჯავრს დასდებს),

მისჯა (მიუსჯის), გამტყუნება (გამტყუნებს),

2. დაგმობა (დაგმობს), გაკიცხვა (გაკიცხავს)

1. მსჯავრის დადება, მსჯავრდება, მისჯა;

2. დაგმობა, გაკიცხვა

1. მსჯავრდებული, მისჯილი; 2. გაკიცხული,

დაგმობილი

სასჯელის მოხდა

отвести	1. აცილება (ააცილებს); 2. მიკუთვნება (მიკუთვნებს), მიჩენა (მიუჩენს); 3. აცილების მიცემა (აცილებას მისცემს)
ответить	1. პასუხი (უპასუხებს), პასუხის გაცემა (პასუხს ვასცემს), მიგება (მიუგებს); 2. პასუხისგება (პასუხს აგებს)
ответственность	პასუხისმგებლობა
ответчик	მობასუხე
отвод	1. აცილება; 2. წაყვანა; 3. მიკუთვნება, მინაკუთვნი, მიჩენა, მინაჩენი
отвод свидетеля	მოწმის აცილება
отвод участка	ნაკვეთის მიჩენა
отвращение опасности	საფრთხის აცდენა, არიდება
отгул	ნაცვალუქმე
отдать на поруки	თავდებობაში მიცემა
отдать отчет	1. ანგარიშის მიცემა; 2. ანგარიშის ჩაბარება
отдача на попечение родных	მშობლების მზუნველობაში მიცემა
отдача под надзор	სამეთვალყურეოდ მიცემა
отдача под опеку	მეურვეობაში მიცემა
отделенные дети	გაყრილი შვილები
отзыв	1. გამოსმობა, გაწვევა, უკუგამოთხოვა; 2. შეფასება, აზრის გამოთქმა
отзывная грамота	გაწვევის სიგელი
отказ	1. უარი, უარის თქმა; 2. ანდერძით ნაბოძები
отказополучатель	ანდერძით ნაბოძების მიმღები
отказоприиматель	ანდერძით ნაბოძების მიმღები
отклонение	1. აცდენა, გადახვევა; 2. უარყოფა, უარის თქმა
отклонение действия	მოქმედების აცდენა
отклонение жалобы	საჩივრის უარყოფა
отклонение от закона	კანონის გადახვევა
открывшееся наследство	გახსნილი სამკვიდრო
открытое море	ღია ზღვა
открытое нападение	აშკარა თავდასხმა
открытое разбирательство	ღიად გარჩევა
открытый договор	ღია ხელშეკრულება
откуп	იჯარა
откупиться	თავის გამოსყიდვა (თავს გამოისყიდის), თავის დახსნა (თავს დაიხსნის)
откупной, ая, ое	საიჯარო, იჯარისა
откупщик	მოიჯარე, იჯარადარი
отлагательное veto	გადადების ვეტო
отлучение от церкви	ეკლესიისაგან განკვეთა
отлучка	წასვლა
отмена	გაუქმება, მოხსნა



отмена меры пресечения	აღკვეთის ღონისძიებების მოხსნა
отмена приказа	ბრძანების გაუქმება
отменительное условие	გამაუქმებელი პირობა
отмычка	1. გაღება, გახსნა; 2. საღები
относительная невменяемость	მიმართებითი შეურაცხადლობა
относительное вето	პირობითი ვეტო
относительно-определенная санкция	შედარებით ვანსაზღვრული სანქცია
отношение	1. ურთიერთობა, მიმართება; 2. მიმართვა, მიწერილობა; 3. დამოკიდებულება, მოპყრობა, მოქცევა
отображение ✓	ჩამორთმევა
отозвание	გაწვევა, გამოწვევა, უკანწაღება, უკუგამოთხოვნა
отпирательство	გაუტეხლობა, უარზე დგომა
отплата	მიზღვა, სამაგიეროს გადახდა, სამაგიერო, მისაგებელი
отправление груза	ტვირთის გაგზავნა
отправление обязанностей ✓	მოვალეობათა შესრულება
отправление почтовое	საფოსტო გზავნილი
отправление правосудия ✓	მართლმსაჯულების აღსრულება
отпускная грамота	ვანთავისუფლების, სააჯატო სიგელი
отпущенник	გააჯატებული
отражение нападения	თავდასხმის მოგერიება
отречение ✓	უარის თქმა, გადადგომა
отставка	გადაყენება
отсрочка	გადაღება, გადავადება, ვადის გადაღება
отрешение	გადაყენება, გადადგომა
отстранение ✓	გადაყენება, ჩამოშორება
отступление	1. გადახვევა, გადაცდენა; 2. უკან დახვევა
отступное	გასამცლელო, პირგასამცლელო
отеуответствующее лицо ✓	არდამსწრე, ადგილას არმყოფი პირი
отеуответствующие: договор	არათანამყოფნი: ხელშეკრულება არათანამყოფთა შორის
между отеуответствующими	მესამე კანონზე მითითება
отсылка к третьему закону	მითითებითი ნორმა
отсылочная норма	საშოვარზე სიარული
отхожий промысел	თვითმხილველი
очевидец	პირისპირ წაყენება.
очная ставка	



სასამართლო და პროკურატურის

ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

საბჭოთა მართლმსაჯულება ახალი ამოცანების წინაშე

მ. გეგეჭავაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო

თ ა გ მ ჯ დ მ ა რ ე

სკკ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმა.

უკანასკნელ ხანებში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ვატარდა სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ გამოსისათვის, მოქალაქეთა კანონით გაწინააღმდეგებულ უფლებათა და ინტერესების დაცვისათვის.

მრავალი ფუნქცია, რომელსაც ადრე სახელმწიფო ორგანოები განაგებდნენ, თანდათანობით უკვე გადადის საზოგადოებრივი ორგანოების გამგებლობაში.

მნიშვნელოვნად ამაღლდა საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების აქტიური მონაწილეობით გაჩაღებულია საყოველთაო ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ.

თუ წარსულში დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადად ადმინისტრაციული ზომებით ხორციელდებოდა, მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის გარეშე, ამჟამად, განვითარების ახალ ეტაპზე, თვით ცხოვრებამ წამოაყენა კანონიერებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ეფექტური ფორმები და საშუალებები.


ახალ ვითარებაში, კომუნისმის გამლილი მშენებლობის პირობებში ყოველი საბჭოთა მოქალაქე მოვალეა თვით

შეასრულოს კანონების მოთხოვნა, დაიცვას შრომის დისციპლინა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, გაუფრთხილდეს და გახამტიცოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საკუთრება, აქტიურად იბრძოდეს ანტი-საზოგადოებრივი საქციელის გამოვლენათა წინააღმდეგ.

ამ მხრივ მეტად დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს და ამხანაგურ სასამართლოებს, რომლებიც მოწოდებული არიან ამხანაგურ ზეგავლენასთან ერთად ცხოვრებაში გაატარონ კოლექტიური აღზრდის ფორმები, გახდნენ მასებში კეთილშობილი შრომისა და დისციპლინის დამწერგველი ორგანოები.

საბჭოთა კანონიერების ცხოვრებაში გატარებისათვის საჭიროა, ერთის მხრივ, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკებმა და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების წევრებმა სწორად გაიგონ და აითვისონ სამოქმედო კანონებისა და დებულებების შინაარსი და გაერთიანებული ძალებით იბრძოდონ მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი მხარის გაძლიერებას, საქმის განხილვა წარმოებდეს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით, აუცილებელია ხშირად მოეწყოს გამსვლელი პროცესები საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა



მეურნეობებსა და დაწესებულებებში, დროულად ეცნობოს გამოტანილი განაჩენი იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამ კოლექტივებში მუშაობდნენ.

კარგად დასაბუთებული განაჩენი მაკეში ნერჯავს პატივისცემას საბჭოთა კანონებისადმი, იწვევს კმაყოფილებას და პატივისცემას იმ ორგანოებისადმი, რომლებიც იბრძვიან დამნაშავეთა მხილებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურად განხორციელებისათვის. მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც სახალხო სასამართლოები არჩევენ ამხანაგური სასამართლოების ქვემდებარე საქმეებს, არ აკმაყოფილებენ ორგანიზაციების შუამდგომლობებს პირობითი თავისუფლების გამოტანის შესახებ, უსჯიან სახელისუფლებო ალკვეთას პირებს მაშინ, როდესაც ასეთი აუცილებლობით არ არის გამოწვეული. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

ქ. თბილისის № 1 ფენსაცმელების ფაბრიკის საგამომკრელო საამქროს მუშას ჯ. მეხატიშვილს 1959 წლის 12 ივნისს სამუშაოს დამთავრების შემდეგ ფაბრიკიდან გაქონდა 91 მანეთად ღირებული მოპარული ტყავის ნაჭრები. ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციის კრებამ იშუამდგომლა დირექციის წინაშე, რომ ვინაიდან ჯ. მეხატიშვილი მოწინავე მუშაა და ამავე დროს ეს გადაცდენა იყო პირველი შემთხვევა, მისი საქმე განსახილველად გადასცემოდა ამხანაგურ სასამართლოს, მაგრამ შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მილიციის განყოფილებამ ნარკვევი მასალები გადასცა პროკურატურას, რომელმაც საბრალდებო დასკვნით საქმე გადაუზავნა სახალხო სასამართლოს. ამ უკანასკნელმა კი (მოსამართლე ს. ბეგლაროვი) 1959 წლის 25 ივლისს განაჩენით ჯ. მეხატიშვილს სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმან დატაცებისათვის მიუსჯა 6 თვით შრომაგასწორებითი მუშაობა, ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვით, რაც შეუტყვალა ერთი წლის პირობითი საგამოცდო ვადით და აღსაზრდელად გადასცა ფაბრიკის კომკავშირის პირველად ორგანიზაციას. უფრო სწორი კი იქნებოდა თავი-

დანვე ეს საქმე გადასცემოდა ფაბრიკის ამხანაგურ სასამართლოს.

მუშა ა. კასატკინმა 1959 წლის 15 აგვისტოს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ავტობუსის გაჩერებასთან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიიყენა ნაცნობს ჩაენკოს.

მილიციის თანამშრომელმა მოსთხოვა ა. კასატკინს გაყოლოდა მას მილიციაში. კინო „ისანთან“ ა. კასატკინი ჩასვეს მოტოციკლში. ა. კასატკინმა როცა გაიგო, რომ იგი იძულებით მიყავდათ მილიციის ორგანოებში, მოტოციკლიდან გადმოხტა, მაგრამ იგი იძულებით იქნა წარდგენილი მილიციის განყოფილებაში.

ა. კასატკინი სამართალში მისცეს სსკ 75 მუხ. 11-ნაწილით, 75 მუხ. 1-ნაწ. და 155 მუხლით. მის მხრივ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშო დარღვევის გამო იმსჯელა იმ ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა, სადაც ა. კასატკინი მუშაობდა, მათ დაემეს ნისი მოქმედება, მაგრამ მიიღეს მხედველობაში, რომ ა. კასატკინს არასდროს არ დაურღვევია დისციპლინა წარმოებაში, საწარმოო გეგმებს ასრულებს გადაჭარბებით და გამოიტანა დადგენილება, რომ ა. კასატკინის საქმე გადასცემოდა განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს.

26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე დ. ყაჭიური) კასატკინს მიუსჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ა. კასატკინი პირველად არის სამართალში მიცემული, კმაყოფიზე ყავს მეუღლე, მშობლები, ეწვევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შემცირა 2 წლით და საბოლოოდ დაუტოვა ერთი წელი და იმავე დღესვე აიყვანა პატიმრობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გასული წლის სექტემბრის დადგენილებით განაჩენი დატოვა ძალაში.

სახალხო სასამართლო, აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს საკანადაციო კოლეგია არ მოიქცა სწორად. როდესაც ა. კასატკინი 1 წლით საპატიმროში გაგზავნა სასამართლომ ანგარიში არ გაუწია კოლექტივის შუამდგომლობას, რომელიც

სერიოზულად გამოეხმაურა მათი კოლექტივის წევრის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტს.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო სამსახურად ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნისას ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავეს პიროვნებასა და საქმის გარემოებებს, რომლებიც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას.

სასამართლოები ზოგჯერ მთელი პასუხისმგებლობით, ყურადღებითა და დაკვირვებით არ უდევებიან საკითხს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, სასჯელის დანიშვნისას არ ითვალისწინებენ იმას, რომ იგი ხელს უწყობდეს მსაჯურდადებულის აღზრდასა და გამოსწორებას. სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ იღებენ შემამსუბუქებელ გარემოებებს, როგორცაა, ბრალდებულის წარსული საქმიანობა, ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენამდე და სხვა. ამის გამო ჯერ კიდევ აქვს ადგილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიცემის ფაქტებს. დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს. 1959 წლის 6 ივლისს ღამით ზუგდიდში მ. გიგანის ოთახის ფანჯრის მინა ვიღაცამ ამოიღო და როდესაც თავი შიგ შეჰყო მძინარე მ. გიგანს გამოეღვიძა და ქურდს მიაძახა, გიგანს ვინცა ხარო. უცნობი გაიქცა, ხმაურზე თავი მოიყარა მეზობლებმა. შეკითხვაზე მ. გიგანმა განაცხადა, რომ ფანჯარაში თავშემოყოფილ მოქალაქეს ეცვა ისეთი ფერის ხალათი, როგორიც აცვია აქ მდგომ ზაური ალექსანდრეს ძე წურწუმიას. მ. გიგანის ასეთი განცხადების გამო ახალგაზრდა მუშა, კომკავშირელი ა. წურწუშია გაფითრდა და სთქვა: „ჩემზე ხომ არა გაქვთ ეჭვიო“. ეს საკმარისი ვახდა იმისათვის, რომ ა. წურწუშია დაეპატიმრებინათ და პასუხისგებაში მიეცათ მ. გიგანის ოჯახის გაქურდვის განზრახვისათვის.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 10 სექტემბრის განაჩენით ა. წურწუშიას მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუძლია ორ წლამდე პატიმრობით. საქართვე-

ლოს სსრ უმაღლესი სასამართლომ გასული წლის 24 სექტემბრის დადგენილებით განაჩენი ვაუქმა და საქმე წურწუმიას მიმართ წარმოებით მოისპო, როგორც უსაფუძვლო.

1959 წლის 1 აგვისტოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურამ დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა პლასტმასის ქარხნის მწენხავი მუშა ა. მეტრეველი იმ ბრალდებით, რომ გასული წლის 20 აგვისტოს ტროლეიბუსში მგზავრობის დროს მოქ. გ. მაჭავარიანს ხელი ჩაუყო ყაყეტის გარეთა ჯიბეში და სურდა ამოეცალა სათვალეები და ცხვირსახოცი, რა დროსაც იგი დაკავებულ იქნა ადგილზე. დაზარალებულად ცნობილმა გ. მაჭავარიანმა განმარტა, რომ მას ჯიბეში ფული არ ქონდა, ხოლო მეტრეველის ხელი მოხვდა მისი ყაყეტის გარეთა ჯიბეს და ალბათ სურდა სათვალეებისა და ცხვირსახოცის ამოცლაო. ა. მეტრეველი კი განმარტავდა, რომ სახელურისათვის სურდა მოეკიდა ხელი და შემთხვევით მოხვდა გ. მაჭავარიანის ჯიბეში.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ აღნიშნული საქმე მიიღო თავის წარმოებაში და თვენახევრის განმავლობაში საქმის მოსმენა 6-ჯერ გადადო მოწმეების გამოუცხადებლობის გამო. ბოლოს, გასული წლის 27 ოქტომბერს გამოტანილი განაჩენით (მოსამართლე რ. ჭოლოშვილი) ა. მეტრეველს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ განაჩენი გააუქმა და საქმე წარმოებით მოისპო, რადგან საქმეში არ იყო ბრალდების მტკიცებისათვის საკმარისი მასალები.

თეთრიწყაროს რაიონის პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა და იმავე რაიონის სახალხო სასამართლომ სსკ 156 მუხლის მეორე ნაწილით ერთი წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის ტრაქტორისტ ვ. ზაგოროდნევს იმისათვის, რომ ალგეთის სარემონტო სადგურის საერთო საცხოვრებლის ავიანზე აფციურთან ჭიდაობის დროს გაუფრთხილებ-

ლობის შედეგად ორთავე გადმოვარდნენ აივნიდან, რის გამო აფციაურმა მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება.

საკასაციო კოლეგიამ ვ. ზავგორდნეცს შეფარდებული სასჯელი შეუცვალა ერთი წლით შრომაგასწორებითი მუშაობით, ხელფასიდან 20%-ის დაკავებით, სამუშაო ადგილზე მოხდით.

არც სახალხო სასამართლოს განაჩენი და არც უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება სწორი არ არის, რადგან აქ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას.

თელავის რაიონის პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა ახმეტის რაიკოოპკავშირის მალაზიის გამყიდველი დ. ხუბეჯაშვილი 8.225 მანეთად ღირებული საქონლის მითვისების კვალის დაფარვის მიზნით მალაზიის გაქურდვის სიმულაციის მოწყობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დ. ხუბეჯაშვილი უარყოფდა, აღნიშნული თანხა მაინც დააფარვიეს. გამოძიების პროცესში ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წ. 31 მარტის განაჩენით სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის დ. ხუბეჯაშვილს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუმცირდა და მოსახდელად დაეტოვა 2 წლით პატიმრობა და ქონების კონფისკაცია.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილებით აღნიშნული განაჩენი დატოვებული იქნა ძალაში.

1959 წლის 4 ივნისს ხელმოწერედ იქნა გაქურდული იგივე მალაზია. დაპატიმრებულ იქნენ ნ. ლანიშაშვილი, ე. სამხარაძე და შ. არაშული, რომლებმაც აღიარეს, რომ როგორც ადრე ასევე 1958 წლის 20 ოქტომბერს მალაზია მათ მიერ იქნა გაქურდული. ჩხრეკის დროს მათ აღმოაჩინდათ მალაზიიდან ნაქურდული ნივთები, რისთვისაც ისინი თელავის რაიონის პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა და ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 27 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდადებულნი იქნენ. არც თელავის რაიონის პროკურატურამ, არც ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლომ და არც უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ამ საქმეზე უკანონოდ იყო მსჯავრდადებული დ. ხუბეჯაშვილი და ახლო

გარემოების გახსნასთან დაკავშირებულ ამ უკანასკნელის მიმართ განაჩენის გაუქმებაზე საკითხი არ დააყენეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით უდანაშაულო დ. ხუბეჯაშვილის მიმართ განაჩენი, აგრეთვე კოლეგიის დადგენილება გაუქმდა და საქმე წარმოებით მოისპო.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1955 წლის 8 სექტემბრის განაჩენით ნ. ვიბლიანს მოქ. ი. ვაბისონიას ოჯახს გაძარცვისათვის 15 წლით პატიმრობა მიესაჯა ქონების კონფისკაციით. საკასაციო კოლეგიის დადგენილებით განაჩენი დატოვებული იქნა ძალაში, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდადებული ნ. ვიბლიანი წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა და დაზარალებულ ი. ვაბისონიამაც სასამართლოს სწდომაზე განმარტა, რომ მას სინამდვილეში მისი ოჯახის არცერთი მძარცველთაგანი არ უცნია, რომ ნ. ვიბლიანს მან ხელი დაადო მილიციის გამოძიებლის წინადადებით. ასეთ არსებით გარემოებას კი ყურადღება არ მიაქცია არც სახალხო სასამართლომ და არც საკასაციო კოლეგიამ.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით განაჩენი და კოლეგიის დადგენილება გააუქმა და საქმე წარმოებით მოსპო. ნ. ვიბლიანი მხოლოდ ოთხი წლის პატიმრობის შემდეგ განთავისუფლდა.

მსგავსი მაგალითები, სამწუხაროდ, ერთეულები როდია. ცუდია, რომ ჯერ არავინ დასჯილა უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემისა და დასჯისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილება №3 „სასამართლოებს მიერ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა პრაქტიკის შესახებ“ და სსრ კავშირის ვენერალური პროკურორის 1959 წლის 20 ივლისის ბრძანება №43 „პროკურატურის პრაქტიკის შესახებ სისხლის სამართლის პასუხისგება-

ში მიცემისა და სისხლის სამართლის სასჯელის ზომების სწორად შეფარდებაზე ზედამხედველობის განხორციელების დარღვევაზე“ ჩვენგან მოითხოვს მთელი საქმიანობის ძირფესვიანად გარდაქმნას, მეტად კვალიფიცირებულ განაჩენებისა და დადგენილებების გამოტანას, პრინციპულობასა და პარტიულობას მუშაობაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა რა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის საქმეში საზოგადოებრიობის როლის მნიშვნელობა, ამასთან ერთად მიუთითა, რომ „სასამართლოს, მილიციის და პროკურატურის ორგანოებს უნდა დაუტოვოთ გარკვეული მოვალეობანი. ეს ორგანოები განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას, რათა ზეგავლენა მოახდინონ იმ პირებზე, რომლებიც ბოროტად არ ემორჩილებიან სოციალისტური საზოგადოების ნორმებს და რომელთა აღზრდა არ ხერხდება“.

საჭიროა გაძლიერდეს სასჯელი საშიშრეციდივისტთა მიმართ.

ასეთი კატეგორიის ადამიანებს პირველ რიგში მიეკუთვნებიან გამფლანგვლები, მექრთამეები, სპეკულანტები, და სხვა. ეს ის ადამიანებია, რომლებიც უხეშად არღვევენ ხალხის, საბჭოთა კანონების მოთხოვნებს და სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვის მავნე და საზარალო საქმიანობას ეწევიან, ცდილობენ სახელმწიფოს რაც შეიძლება ნაკლები მისცენ, ხოლო სახელმწიფო დოვლათიდან რაც შეიძლება მეტი მიითვისონ.

სწორად ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისა და გაფლანგვის ხელშემწყობ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, არასაკმარისად არის გაშლილი ბრძოლა უყაირათობისა და უკონტროლობის წინააღმდეგ, არ არის

მოწყობილი მატერიალურ ფასეულობათა მკაცრი აღრიცხვა, გამოყენებული არ არის საზოგადოებრივი აქტივი მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა კონტროლისათვის, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების დატაცებას. მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს:

ქურდობისათვის, საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვისათვის, სამსახურის ბოროტად გამოყენებისათვის, სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის ვ. წითლიძე ოთხჯერ იყო გასამართლებული. მან 20 წელზე მეტი გაატარა შრომა-გასწორების კოლონიებში.

სასჯელის მოხდის შემდეგ იგი კვლავ მატერიალურ პასუხისმგებელ პირად იქნა დანიშნული არა თუ ერთ, არამედ ორ თანამდებობაზე — ხობის რაიონის მუშათა და რაიკოოპერაციის ექსპედიტორად, სადაც უფაქტურო საქონლის კომბინაციური გზით გაფორმების შედეგად დამნაშავეთა ჯგუფს ხელი შეუწყო 1-299-125 მანეთის ქონების დატაცებაში, თვითონაც უშუალოდ მოასწრო 123.000 მანეთის დატაცება. უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 8 იანვრის განაჩენით ვ. წითლიძეს მისჯილი აქვს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით.

რ. ძიძიშვილი რამდენიმეჯერ იყო გასამართლებული ყაჩაღობისათვის, ქურდობისათვის, სამსახურის ბოროტად გამოყენებისათვის, ყალბი დოკუმენტების შედგენისათვის, მიუხედავად ამისა, სასჯელის მოხდის შემდეგ დანიშნული იქნა თერჯოლის რაიონში მაღაზიის გამგედ, სადაც მან დაპატიმრებამდე მოასწრო 21.000 მანეთის ქონების დატაცება.

ჭიათურის მარგანტრესტის მომარაგების № 12 მაღაზიის გამგემ ა. ცოციაშვილმა იმავე მაღაზიის გამყიდველ ა. კაკიაშვილთან ერთად, ისარგებლა სარევიზო კომისიის გულგრილობით და

თვითონ მოახდინა მალაზიის საქონლის აღწერა. გამყიდველ ა. კაკიაშვილის მოტყუების მიზნით 3-736 მანეთად ღირებული ფესხაცმელი ორჯერ შეიტანა აღწერაში, რათა შემდეგში აღნიშნული თანხა მიეთვისებინა. როდესაც ის ამხილა ა. კაკიაშვილმა, 1959 წლის 7 მაისს დღის 1 საათზე, ა. ცოციაშვილმა შურისძიების ნიადაგზე, ბლავგი იარაღით თავის ქალა ჩაუმტვრია ა. კაკიაშვილს, მოკლულის გვამი დატოვა მალაზიაში და მიიმალა.

უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 11 ივლისის განაჩენით ა. ცოციაშვილს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ამ მაგალითებით ნათლად ჩანს, რომ მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა შერჩევისა და მათ მიმართ უკონტროლობის შედეგად ხდება არა მარტო მატერიალური დოვლათის დატაცება, არამედ ბოროტმოქმედთა მხრივ კეთილსინდისიერი მუშაკების სიცოცხლეც კი ისპობა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საპატიმრო აღვილებში დღემდე მსჯავრდადებულთა ხელახლად აღზრდისა და გამოსწორების ღონისძიებები არ იყო დამაკმაყოფილებელი, ცალკე შემთხვევაში არ იყო დაცული დამნაშავეს გამოსწორებისათვის საჭირო წესები, რის შედეგად საზოგადოებას უბრუნდებოდნენ არა თუ გამოსწორებული, არამედ კიდევ უფრო მომზადებული დანაშაულობისათვის და იდენდნენ უფრო კვალიფიციურ დანაშაულს.

ი. კობალი აზარტული თამაშისა და ქურდობისათვის ხუთჯერ იყო გასამართლებული. ასევე ი. მხითარაიანი ადრე გასამართლებული იყო ქურდობისათვის, 1959 წლის 13 აპრილს ქ. თბილისში რესტორან „ყაზბეგთან“ თავის ამხანაგებთან ერთად ისინი გამოვიდნენ მთვრალ მდგომარეობაში და ქუჩაში დაიწყეს ხულიგნობა, რაც შემდეგ გა-

დაზარდა ერთმანეთის მიმართ. ი. მხითარაიანი დროსაც ი. კობალმა დაიწყო რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და მოკლა მისივე ამხანაგი ი. ბიჭიაშვილი, ხოლო სხვებს ი. მხითარაიანის დახმარებით მიაყენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 20 ივლისის განაჩენით ი. მხითარაიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ხოლო ი. კობალს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

მძიმე დანაშაული ჩაიდინეს ვ. ვასილცევმა და კ. ბილიხოძემ. მიმდინარე წლის 27 მარტს საღამოს 9 საათზე ი. სტალინის სახელობის სანაპიროს ბაღში მჯდომ შ. მაისურაძესა და მასთან მყოფ ე. ა-ს წინადადება მისცეს მოეხსნათ საათები. შ. მაისურაძემ არ შეასრულა მძარცველთა წინადადება. მაშინ ვ. ვასილცევმა მას დანა ჩაართყა, ხოლო კ. ბილიხოძემ შ. მაისურაძეს, რომელიც ძირს იყო წაქცეული და სისხლში ცურავდა, სასპორტო პისტოლეტით თავიპირი დაუსისხლიანა. შემდეგ ორთავეს ხელიდან საათები წააძვრეს და მიიმალნენ.

ამავე საღამოს, სულ რაღაც ერთ საათში შ. ვასილცევმა და კ. ბილიხოძემ გაძარცვეს და დასჭრეს ტ. ბასარია, ვ. ბერაძე, კ. ჟღენტი, პ. სუხარავი. შ. მაისურაძე მიყენებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დ. ბაღათურიას თავმჯდომარეობით განიხილა ვ. ვასილცევისა და კ. ბილიხოძის საქმე და მიუსაჯა: ვ. ვასილცევს — დახვრეტა, რაც მოყვანილია სისრულეში, ხოლო კ. ბილიხოძეს, როგორც მცირეწლოვანს, 10 წლით პატიმრობა.

მ. გრიგორიანი იგივე აკობოვი, იგივე ტნოკანიანი ხუთჯერ იყო გასამართლე-

ბული. 1959 წლის 2 მაისს თავის ამხანაგ ზ. ბუჯიაშვილთან ერთად მთვრალ მდგომარეობაში რესტორნიდან გამოვიდა, მივიდა გორის რკინიგზის კლუბში, სადაც ხულიგნური ქვენავარძობით ჩხუბი დაუწყო ზ. ბუჯიაშვილს, შემდეგ კი ამოიღო დანა და გულმკერდის არევი ჩართყვით იქვე მოკლა ზ. ბუჯიაშვილი.

უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 1 აგვისტოს განაჩენით მ. გრიგორიანს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის ფილიალის სამთო - სააღმშენებლო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ვ. მელქაძემ, წინათ სასჯელმოსდილმა გაუპატიურებისათვის, 1959 წლის 28 აპრილს საკუთარი ავტომანქანით საღამოს 11 საათზე ლექციების დამთავრების შემდეგ თავისი სახლის მიმართულებით წაიყვანა იმავე ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ნ. დადიანი და გზაზე მოუხდომა გაუპატიურება. წინააღმდეგობის გაწევის გამო და დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით მან მოკლა ნ. დადიანი და გვამი 16 მეტრის ციკაბო კლდიდან გადაადგო ხრამში.

უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 7 ივლისის განაჩენით მელქაძეს მიესაჯა დახვრეტა.

ჩვენს წინაშეა ამოცანა — უმოკლეს ვადაში მკვეთრად შემცირდეს ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობანი და შემდგომ კი მთლიანად აღმოიფხვრას მისი განმეორების შესაძლებლობა. ეს გვავალებს მიღებული იქნეს ღონისძიება არა მარტო დანაშაულის ჩადენის აცილებისათვის, არამედ დამნაშავეებს მიესაჯოთ ღირსეული სასჯელი.

მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობა ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობაში ხელს შეუწყობს დანაშაულებრიობის აღმოფხვრას, შექმნის დანაშაულისადმი, კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვა დარღვევებისადმი შეუწყნარებელ დამოკიდებულების ვითარებას.

დანაშაულობათა და სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით განხორციელება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების და ფართო საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობაზე.


პირველი შედეგები

სანიმუშო წესრიგის დაცვა, დამნაშავეობასთან ბრძოლა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთერთი მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა.

წყალტუბოს რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ადგილობრივმა საბჭოებმა, პროკურატურამ, სასამართლო და მილიციის ორგანოებმა განახორციელეს სერიოზული ღონისძიებანი დანაშაულობათა წინააღმდეგ საზოგადოებრიობის როლის ამაღლებსათვის.

1960 წლის 20 იანვარს რაიონის პრო-

კურატურის ინიციატივით მოეწყო თათბირი-სემინარი, სადაც მოწვეულ იქნენ ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, პროფორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილკომების თავმჯდომარეები და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სულ 74 ამხანაგი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს სამი მოხსენება: 1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. 2. ამხანაგური სასამართლოების მუშაობის



ორგანიზაცია და 3. წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეთა შორის წარმოშობილი დავების განხილვის წესის შესახებ. მომხსენებლად გამოყოფილ იქნენ რაიონის პროკურატურის და სასამართლოს მუშაკები.

თათბირის შემდეგ ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარეებს დაურიგდათ სხდომის ოქმისა და გადაწყვეტილების სანიმუშო ტექსტები. თათბირსემინარმა კარგი შედეგი გამოიღო. მისი მონაწილეები მანამდე კარგად ვერ ერკვეოდნენ თავიანთ უფლება-მოვალეობაში, უჭირდათ საქმეთა გაფორმება. ამის შემდეგ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მიმდინარე წლის თებერვალში პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შტაბის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრო 290 ამხანაგი. თათბირზე წაკითხული იქნა სამი მოხსენება: 1. საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 მარტის დადგენილების მნიშვნელობა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“. 2. „პროფილაქტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის განხორციელება ერთერთი ძირითადი საშუალებაა დანაშაულის ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად“ და 3. „პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს მოვალეობანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და მათი ერთობა სახალხო რაზმეულებთან“.

მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის რაიონის, რაიპროკურატურისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების მუშაკები.

პროკურატურის მუშაკები გამოდიან წერილებით ადგილობრივი პრესის ფურცლებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, ხშირად იმყოფებიან წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში, ადგილზე აწყობენ მომჩივანთა მიღებას და იურიდიულ კონსულტაციებს.

ზემოდჩამოთვლილ ღონისძიებებს შემთხვევითი ხასიათი როდი აქვს, იგი სისტემატურად ტარდება. ამის შედეგად რაიონში მიღწეულია დანაშაულის მკვეთრი შემცირება. მაგალითად, საქართველოს გუმბრინის წარმოების დასახლებულ უბანში 6 თვეზე მეტი არ ყოფილა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, წარსულში კი აქ დანაშაულობებს ხშირად ჰქონდა ადგილი. 1959 წელს 1958 წელთან შედარებით 39 კაცით ნაკლები იქნა მიცემული პასუხისგებაში, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პასუხისგებაში 25-ით ნაკლები პირია მიცემული. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის აღებული გეზი სავსებით სწორია.

მომავალში ამ მუშაობას კიდევ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

6. ინოვაციები

წყალტუბოს რაიპროკურორი იუსტიციის მრჩეველი:



შრომის ნაყოფიერების მუდმივი და მზარდი ამაღლება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების შემდგომი განვითარებისა და აყვავების ქვაკუთხეა. მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღწევასათვის კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოშრომელთა შრომითი პირობების გაუმჯობესებასა და უსაშიშროების წესების დაცვას.

წარმოების ტექნოლოგია, კერძოდ კი საზღვაო ნავსადგურებში დატვირთვა-განტვირთვის ტექნოლოგია, აიგება სწორედ შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდის, შრომის შემსუბუქების, უსაშიშროების დადგენილი წესების დაცვისა და მისი შესრულების მკაცრი კონტროლის გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ ფოთი და ბათუმი შავი ზღვის აუზის უდიდეს ნავსადგურებს წარმოადგენენ. აქ ყოველდღიური ტვირთბრუნვა ათეულათასობით ტონას აღწევს. მიმდინარე შეიღწილიანი გეგმით გათვალისწინებულია უახლოეს წლებში კიდევ უფრო გაიზარდოს ამ ნავსადგურების ტვირთბრუნვა და გაუმჯობესდეს დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია. ბუნებრივია, ასეთ ღონისძიებათა გატარებისას კიდევ უფრო აუცილებელი გახდება მკაცრი კონტროლი უსაშიშროების ტექნიკის წესების შესრულებაზე.

ნავსადგურებში დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების შესრულების დროს ტრავმატიზმის შემთხვევების უმრავლესობა

სობა სწორედ უსაშიშროების წესების არასაკმარისი ცოდნის ან დარღვევის შედეგად ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოთა ხელმძღვანელებს ევალებათ სისტემატურად ჩაუტარონ მუშებს, განსაკუთრებით კი სამუშაოზე ახალმოსულ თვითუფლები პირს უსაშიშროების ტექნიკის საერთო წესების დაცვის ინსტრუქტაჟი, ზოგჯერ მაინც ადგილი აქვს ამ აუცილებელი პირობის უგულვებელყოფას, რაც თავის მხრივ მძიმე შედეგებს იწვევს.

უკანასკნელ პერიოდში ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში მნიშვნელოვნად შემცირდა ტრავმატიზმის შემთხვევები, მაგრამ უსაშიშროების წესების დარღვევის გამო იგი სავსებით ლიკვიდირებული მაინც არ არის. 1958 წელს და 1959 წლის პირველ კვარტალში ტრავმატიზმის გამო შრომისუუნარობის დღეების ოდენობა შეადგენდა ფოთის ნავსადგურში 690 სამუშაო დღეს, ხოლო ბათუმის ნავსადგურში — 377 დღეს.

იმის გამო, რომ 1959 წლის იანვარში ბათუმის ნავსადგურში მივლინებულ მტვირთავთა ბრიგადას, რომელშიც პრაქტიკულად გამოუცდელი ახალგაზრდა მტვირთავები ირიცხებოდნენ არ ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი ზამთრის პერიოდში უსაშიშროების ტექნიკის დაცვის შესახებ, მოხდა უბედური შემთხვევა: გემ „ლვოვის“ ცემენტით დატვირთვის დროს მტვირთავმა ნ. ვ. ტიმოფეევმა მოძრაობაში მყოფ ამწის

ქვეშ გაიზინა, მის ქვეშ მოექცა და მძიმე დასახიჩრება მიიღო.

1958 წლის 15 ნოემბერს ფოთის ნავსადგურში გემ „მალაია ზემლიას“ განტვირთვის დროს, მართალია მომუშავე ბრიგადის ყველა წევრს ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი საგრეიფერო მუშაობის დროს გემის ტრიუმში ადამიანთა ყოფნის დაუშვებლობის შესახებ, მეამწე ვ. ი. გუჯაბიძემ ბრიგადირ ტურძელაძის ნებართვით, ტრიუმში მუშაკთა ყოფნისას არ შეაჩერა საგრეიფერო მუშაობა და ნახშირის ამოღებისას გრეიფერმა დარტყმა მიაყენა მტვირთავ ვ. ი. ბუკავას, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

მოცემული ფაქტის გამოკვლევით დადგინდა, რომ ტრიუმში ადამიანთა ყოფნისას საგრეიფერო მუშაობის გაგრძელება გამოიწვია გემის ჩქარი განტვირთვისა და ამით გემის გადაჭარბებით შესრულების სურვილმა. ადამიანებისადმი ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და გამოწვეული შედეგის გამო დამნაშავენი სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიეცნენ.

1958 წლის 1 დეკემბერს ფოთის ნავსადგურში გემის ბამბის ნაკრაულებით დატვირთვის დროს მტვირთავმა ო. პ. ბუკიამ არ გაითვალისწინა უსაშიშრობის ტექნიკისა და შრომის დაცვის მოქმედი წესები, ბამბის წყობილს არჩევდა საყრდენი რიგიდან დაცული ტაფებისა და მანქანების გარეშე და ნაკრაულებს ფეხით აგდებდა ძირს. ეს დარღვევა დაუშვა აგრეთვე იქვე მყოფმა მიმღებ-ჩამბარებელმა ვ. ა. კირცხალიამ, რომლის უშუალო მოვა-

ლეობას შეადგენდა უსაშიშროების ტექნიკის ნორმების შესრულების მეთვალყურეობა. ამის შედეგად ბამბის ნაკრაულების წყობილი დაიშალა და მტვირთავი ა. დ. ადამია სასიკვდილოდ დაშავდა. ო. პ. ბუკია და ვ. ი. კირცხალია მიცემული იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. გამოძიებით დადგინდა, რომ ფოთის ნავსადგურის საწარმოო რაიონის ხელმძღვანელობამ არამცთუ ყურადღება არ მიაქცია აღნიშნული ტექნიკური ნორმების დარღვევას, არამედ ამგვარი მდგომარეობა ნორმალურადაც კი ჩათვალა.

არსებობს იმის ფაქტები, როცა ნავსადგურებში ექსპლოატაციას უწევენ ტექნიკურად უწესიერო მექანიზმებს, რაც უბედურ შემთხვევებს იწვევს. 1958 წლის 22 დეკემბერს ფოთის ნავსადგურის მეამწე ა. ს. ჩულკოვმა, რომელიც ტექნიკურად უწესიერო ამწის მართავდა, მკვეთრად ჩართო კონტროლიორი იმ დროს, როდესაც გრეიფერზე ადამიანები იმყოფებოდნენ და ამწე ქვევით ჩაშვების ნაცვლად საწინააღმდეგო მიმართულებით დაიძრა, გრეიფერზე მყოფი ზეინკალი გ. ს. ჩაჩავა ჩამოვარდა გრეიფერიდან და მძიმე ტრავმა მიიღო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ფოთის ნავსადგურის სამმართველო და საწარმოო რაიონის მექანიზაციის განყოფილებები გულდასმით არ ამოწმებდნენ ამწის ტექნიკურ მდგომარეობას და არ ღებულობდნენ ზომებს მექანიზმების შესაკეთებლად. უფრო მეტიც, ეს ტექნიკურად უწესიერო ამწე პრემიაზე იყო წარდგენილი. ამ შემთხვევაშიც დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი.

შავი ზღვის აუზის ბათუმის უბნის სატრანსპორტო პროკურატურის მიერ

შეტანილი იქნა წარდგინებები ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების უფროსებთან შრომის დაცვის და უსაშიშრობის ტექნიკის შესახებ კანონების დარღვევებთან ბრძოლის საკითხებზე. ნავსადგურების ხელმძღვანელობამ განიხილა წარდგინებები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები შრომისა და უსაშიშრობის ტექნიკის წესების ზუსტი დაცვისათვის.

ნავსადგურების საწარმოო რაიონებისა და მექანიზაციის განყოფილებების

ხელმძღვანელებმა იმგვარად უნდა წარმართონ მუშაობა, რომ ექსპლოატაცია ეწეოდეს მხოლოდ შემოწმებულ, ვარგის მექანიზმებს. უსაშიშრობის ტექნიკისა და შრომის დაცვის წესები ზუსტად უნდა სრულდებოდეს ნავსადგურის თვითეული მუშაკის მიერ; ამით უზრუნველყოფილი იქნება ნავსადგურის მუშაკთა მაღალნაყოფიერი და სასარგებლო შრომა.

ბ. ცხვარაძემ

ბათუმის შავი ზღვის აუზის ტრანსპორტის პროკურორი.



ერთი მკვლევარის განხილვის ისტორია

რკინიგზის ხაზზე მომუშავე მუშებმა დიდუბის სადგურის ვასწვრივ ბოვირქვეშ იპოვეს მოწული კალათი, რომელშიც აღმოჩნდა ქონძებში გახვეული ადამიანის კიდურები. ამ უცნაურმა სურათმა მსახველები შეაძრწუნა. შემთხვევის შესახებ ეცნობა მილიციას, რომელიც მაშინვე ადგილზე გაჩნდა. მოხდა ადგილის დაწვრილებითი დათვალიერება, მისი ზუსტი ასახვა, გაისინჯა კალათში არსებული ადამიანის სხეულის ნაწილები, სადაც აღმოჩნდა ადამიანის მარჯვენა მკლავი მხარზე მოკვეთილი და ორივე ქვედა კიდური. გადაკვეთილი მუხლებს ზევით ბარძაყებში. კიდურები ქალისა იყო. მას ფეხებზე წინდები ეცვა.

გამოძიება მეტად სერიოზული ამოცანის წინაშე იდგა, დასადგენი იყო მკვლელობის ფაქტი, მოკლულის ვინაობა, და პირველყოვლისა, მოსაძებნი იყო ადამიანის სხეულის ძირითადი ნაწილი.

ნახული კიდურები შესამოწმებლად პროზექტურას გადაეგზავნა. საქმეზე გამოძიება დაიწყო ქ. თბილისის მილიციის სამმართველომ. სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი, მაგრამ გავიდა ერთი თვე და შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანდა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ფიზკულტურის ქუჩაზე ნახული იქნა საბანში გახვეული, გახრწნილი პროცესში მყოფი ქალის გვამი, რომელსაც არ ჰქონდა მარჯვენა ხელი და ორივე ფეხი.

დანაშაულის კვლის ერთი ნაწილის აღმოჩენა უკვე სახეზე იყო, მაგრამ ეს კიდევ ბევრს არაფერს არ ნიშნავდა, რამდენადაც გვამის ვინაობა კვლავ გაურკვეველი იყო. გვამი პროზექტურას გადაეცა. პროზექტურაში მოხდა შედარება იქ არსებული ადამიანის სხეულის იმ ნაწილებთან, რომლებიც ადრე იყო გადაცემული. ნაწილები შეაერთეს და სხეულმა ადამიანის ერთიანი, მთლიანი სახე მიიღო. გვამის ვინაობა კვლავ გაურკვეველი რჩებოდა. ჩანდა, რომ იგი უპატრონო იყო, თორემ ამდენხანს ვინმე ახლობელი მოიკითხავდა და ძებნა იქნებოდა გამოცხადებული.

გვამი იმდენად გახრწნილი იყო, რომ მისმა ვაკვეთამ ექიმ-ექსპერტებს ვერ მისცა საკმარისი საფუძველი ზუსტად გაერკვიათ სიკვდილის გა-

მომწვევი მიზეზი. ერთი საგულისხმო კვალი მაინც აჩნდა გვამს. მას პირის ღრუდან ხორხში ღრმად ჰქონდა ჩაქვდილი 300-400 გრამამდე ბამბა, რაც იძლეოდა საფუძველს გვეფიქრა, რომ იგი ამ გზით იყო მომხრჩვალი.

ქალაქის მილიციის ყველა განყოფილებას დაევალება მიეცა დაედგინათ მოკლულის ვინაობა.

ერთი ასეთი დაევალება მიენდო სტალინის სახელობის რაიონის მილიციის განყოფილებებს უფროს ოპერაწმენებულს ნ. ბიდიშელს. ამ საქმით სხვა ოპერატიული მუშაკებიც დაინტერესდნენ. მილიციის რაიგანყოფილებაში შესულ განცხადებების შემოწმებისას ისინი წააწყდნენ საგულისხმო მასალებს, სახელდობრ, ნახული იქნა მოქ. მართა დემენტიევას (მცხ. დიდუბის მე-1-თე შესახვევი № 1) განცხადება 1000 მანეთის მობარვის შესახებ, რაზედაც ექვდებულად ასახელებდა თავის ქვემდგმურს რუიზან ალექსანდრეს ასულ ტურაშვილს. ამასთან ნახული იქნა ამ უკანასკნელის ორი განცხადება. პირველ განცხადებაში ტურაშვილი წერდა, რომ მისი სახლის მფლობელი მართა დემენტიევა წავიდა სახლიდან გაურკვეველი მისამართით და თან წაიღო მისი ორი საათი და სხვა ნივთები და მოითხოვდა ზომების მიღებას დემენტიევას დაქვებისა და ნივთების დაბრუნებისათვის.

მეორე განცხადებაში კი, რომელიც შეტანილი იყო რ. ტურაშვილის მიერ ორი კვირის შემდეგ მოითხოვდა, რომ პირვანდელ საჩივარს არ მისცემოდა მსგელობა და შეეწყვიტათ წარმოების იმ მიზეზით, რომ თითქოს დემენტიევას დაქვანა დიდხანს გავრძელებოდა და ამასთან, როგორც მოხუცებულ, უპატრონო ქალისათვის არ უნდოდა რაიმე ზიანი მიეყენებინა.

ამის შემდეგ მართლაც არაერთი მსგელობა არ მისცემია არც დემენტიევას საჩივარს და არც ტურაშვილის საჩივრებს, რაც დემენტიევას წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომაც იყო რომ მართა დემენტიევას ბედით არავინ დაინტერესებულა.

ეს საჩივრები და დემენტიევას ბედიც სწორედ იმის შემდეგ შეიქმნა საინტერესო, როცა აღმოჩენილი იქნა უცნობი ქალის გვამი, რომლის ვინაობის დასადგენად ტარდებოდა საჭირო ლისტიკებიანი.

შემოწმებით დადგინდა, რომ უცნობი ქალ-



გვამი ეკუთვნოდა მართა დემენტიევას. ახლა უფრო საგულისხმო ვახდა დემენტიევას და ტურაშვილის განცხადებები, რომლებიც ერთიმეორის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, ამიტომაც ოპერაწმუნებულმა ნ. ხიდიშელმა მიამუშრა მართა დემენტიევას საცხოვრებელ ბინას, სადაც დახვდა ახალგაზრდა ქალი რუიზან ტურაშვილი, რომელიც სულ ახალი შებინძურებული იყო ქვემდგომრის სახით დემენტიევასთან.

რ. ტურაშვილმა ჩვეულებრივად განუცხადა ნ. ხიდიშელს, რომ დემენტიევა ერთი თვეა წასულია სახლიდან გაურკვეველი მიმართულებით და დღემდე მის შესახებ არაფერი იცის.

ხიდიშელი დაინტერესდა ბინის დათვალიერებით, კედლის ღუმელში მან აღმოაჩინა ტანისამოსის ნაშვები, აგრეთვე დაწვისაგან გადაჩენილი იმ პალტოს დაუწველი ნაწილები, რომელიც დემენტიევას ეკუთვნოდა. ამ ოპერაციის მსვლელობის დროს რ. ტურაშვილს აღელვება ემჩნეოდა.

ოთახის ქვეშ იყო მეტრზე ცოტა მეტო სიმაღლის სარდაფი, რომელსაც ჩასასვლელი ქონდა ოთახის იატაკზე დატანებულ ასახედელ კარებიდან.

სარდაფში ჩასვლისას აღმოჩნდა დემენტიევის ტანისამოსის ნახევები. იქვე ეგდო ნაჯახი, რომლითაც იყო გადაკეთილი დემენტიევას ხელი და ფეხები. ყოველივე ამ მონაცემებმა ნათელი გახადა რ. ტურაშვილის დანაშაულებრივი მოქმედება. იგი მაშინვე წაყვანილ იქნა მილიციის სამმართველოში.

პირველ დაკითხვისას ტურაშვილმა უარყო დემენტიევას მკვლელობის ფაქტი, ხოლო მეორე დღეს განცხადება დაწერა მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამკებრო განყოფილების უფროსის ს. მამულაივის სახელზე და მოითხოვა დაკითხვა, თან პირობას იძლეოდა ყოველივე სიმართლეს იტყოდა. ტურაშვილი დაუყოვნებლივ დაიკითხა პროკურორის თანდასწრებით (გამომჩიებელი ო. ჯაფარიძე). დაკითხვისას რ. ტურაშვილმა აჩვენა, რომ იმის შემდეგ, რაც დემენტიევამ მას უჩივლა მილიციამ და დაბრალდა ფულის მიპარვა, მათ შორის შეიქმნა აღბრუნების უსამოვნება, რასაც მოყვა ჩხუბი, რა დროსაც დემენტიევა დეგარდა ძირს და თავი დაარტყა საწოლს, ამის შემდეგ იგი შეიქმნა მძიმედ და უგრძნობ მდგომარეობაში. მეორე დღეს იგი გარდაიცვალა, და ვინაიდან გვამს პირიდან ამოსდიოდა ცუდი სუნნი, თითქოს ამის გამო ტურაშვილმა ხორხში ჩაატენა ბაბა და შემდეგ სარდაფში ჩაიტანა გვამი.

ამ ამბის გამჟღავნება ძნელი შეიქმნა და ამიტომ მოინდომა ტურაშვილმა გვამის მალულად დაკარგვა. ამ მიზნით გადაკეთა კიდურები

და იგი კალათით წაიღო დიდუბის სადგურის იქით და დააკლო რკინიგზის ლინდავკვეშ წყალგამტარ მილში. გვამის ძირითადი ნაწილის გადაადგება კი იმავე ხანებში ვერ მოახერხა.

ამავე დროს ტურაშვილს თვალის ახვევის მიზნით მილიციის რაი-განყოფილებაში შეაქვს საჩივარი, თითქოს დემენტიევამ მას მოპარა ორი საათი და სხვა ნივთები და მიიძალა, რის გამოც მოითხოვდა ზომების მიღებას. ორი კვირის შემდეგ კი შეიტანა ახალი განცხადება დემენტიევას მიმართ გამოძიების შეწყვეტის შესახებ იმ მიზნით, რომ გამოძიების შედეგად არ გამოვლინებულყო დანაშაულის კვალი.

მილიციის მუშაკებმაც უსიტყვოდ დაუჯერეს მას და საქმეს აღარ მისცეს მსვლელობა.

ამ მომენტიდან განვლო კიდევ გარკვეულმა დრომ (მკვლელობიდან ერთმა თვემ) და გახრწინის გამო გვამს სუნი აუფიდა, ვინაიდან ეს გამოიწვევდა დანაშაულის გამოძიებებს, ტურაშვილმა გადაწყვიტა დროზე გადაეკლო გვამის ეს ნაწილიც.

ერთ ღამეს გვამი გაახვია საბანში და ღამის ორ საათზე გამოიტანა გარეთ (იგი არ იყო დიდი მოცულობის) და დაადგა გზას. იქვე ახლოს გზაში შეხვდა თავისუფალი „ზომ“-ის მარკის ავტომანქანა ტაქსი, რომელიც ვარაუდისკენ მიდიოდა. ტურაშვილი თავისი „პარგით“ ჩაჯდა მანქანაში და გზას გაუღდა.

ტაქსის მძღოლმა გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, არასასიამოვნო სუნი იგრძნო და მგზავრს შეეკითხა თუ რა მიქონდა და როცა მიიღო პასუხი, რომ საქონლის ხორცი ქონდა ნაყიდი, რომელსაც ცოტა სუნი დასცემიო, დაუჯერა მას და განაგრძო გზა.

მანქანა გავიდა ფიზკულტურის ქუჩაზე და ცოტაოდენი მანძილის გავლის შემდეგ, მყუდრო ადგილას, მგზავრმა მანქანა გააჩერებინა, ფული გადაუხადა და თავისი „ხელბარგით“ მანქანიდან გადმოვიდა. მანქანა წავიდა, ტურაშვილმა გვამი დაადგო გზის ნაპირზე ჩახველებულ ადგილას და სახლში დაბრუნდა. ეს გვამი მეორე დღესვე იქნა აღმოჩენილი.

ტურაშვილმა გამოძიებას მისცა აღნიშნული შინაარსის ჩვენება, რაც დაემთხვა წინასწარი მასალებით არსებულ მონაცემებსაც, მაგრამ ჩვენების ის ნაწილი, რომელიც შეიხება იმ ფაქტს თუ კონკრეტულად რა პირობებში მოხდა მკვლელობა და მკვლელობის კვალის დაფარვის ორგანიზაცია, გამოძიებისათვის მაინც საეჭვოდ დარჩა და გამოძიებამ კურსი აიღო იქითკენ, რომ ემხილებინა ამ საქმეში თანამონაწილენიც, რომელთა არსებობაც გამოირიცხული არ იყო, რადგან საქმე ეხებოდა მეტად რთულ და ორგანიზებულ მკვლელობას.

დადგინდა თუ არა ფაქტი მკვლელობისა და ამ საქმეში დამნაშავე პირი, საქმე შემდგომი გამოძიებისათვის გადაეცა სტალინის სახ. რაიონის პროკურატურას. გამოძიება დაეწყო ვაჟიმოძიებელ ო. ლომიძეს. გამოძიებით ვერ დადგინდა ამ დანაშაულში სხვა მონაწილე პირები და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა მხოლოდ რ. ტურაშვილი.

გამოძიებით დადგინდა, რომ რ. ტურაშვილმა მოქ. მ. დემენტიევა მოკლა წინასწარი განზრახვით იმ მოტივით, რომ თავიდან აეცილებინა ბრალდება დემენტიევას ფულის მოპარვის შესახებ და დემენტიევას თავიდან მოცილებით ბინას დაუფლებოდა. მკვლელობის შემდეგ კვლის დაფარვის მიზნით კი გამოიყენა ის აღმასფროთბეღელი ხერხი, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

რ. ტურაშვილის დანაშაული დაკვალიფიცირებული იქნა სსკ 144 მუხ. „ა“ პუნქტით, შესაბამისად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

1954 წ. 30 აპრილის ბრძანებულებისა „განზრახ მკვლელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ და საქმე განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს გადაეცა.

სასამართლო პროცესზე რ. ტურაშვილმა უარყო მის მიერ ჩადენილი დანაშაული და მიცემული ჩვენებებიც, რითაც დანაშაული იყო აღიარებული, მაგრამ ეს უარყოფა ვერაფრით ვერ დასაბუთა, ვერც სხვა დამამტკიცებელ მასალებს ვერ აუარა გვერდი. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ი. გოგაშვილის თავმჯდომარეობით ტურაშვილის მიმართ დანაშაული დადასტურებულად ჩასთვალა და მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

3. ხმალბამ

ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე

სსსრ-ის ლიბრთა

კომბინაზორები მელიის ქარხით

— აბა როგორ გინდათ ძებნო, ხომ იცით, თუ ხელი არ გავანძრით, ისე არაფერი გამოვა. ნდეთ ჩემს გამოცდილებას, ნუ გეშინიათ, ხომ გავიგონიათ ანდაზა: „დავემილი ჩიტი მახეში არ გაებმებაო“, ტყუილად ხომ არ მაქვს მოხდილი 10 წლის პატიმრობა. ჩვენი წარმოების ყველა ხერხი და გზები ათი თითოეტი ვიცი. ოღონდ ერთსულოვნება იყოს და დანარჩენი ჩემზე იყოს. — ეუბნებოდა თბილისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის უფროსი ბუღალტერი ნოე ივანეს-ძე თუთბერიძე ამავე ქარხნის საწყობის გამგეს რობერტ მიხეილის ძე როსტომოვს, რეზინის ფესხაცმელების სააქროს გამგეს რაფიელ მნაცაკანის ძე სტეფანის და მომარაგების უფროსს გიორგი სტეფანეს ძე საფაროვს.

— ნ. თუთბერიძეს არც ჩვენ ჩამოვრჩებით ჩვენი მარიფათითა და საქმიანობით, მაგრამ შეთანხმებულად მოქმედება სულ სხვა საქმეა, მით უმეტეს, რომ ყველა ანგარიშების და საბუთების გატარების საქმე ნ. თუთბერიძის ხელშია. შეთანხმება სჯობს, მით უმეტეს ასე დაქსაქსულად და ერთმანეთის ფარულად როდემდის უნდა ვიმოქმედოთ. — უთხრა ამხანაგებს რ. როსტომოვმა.

„შეთანხმება“ მალე მოხდა და ქარხანაში მოკალათებულმა კომბინატორებმა ერთობლივად დაიწყეს მოქმედება. საქმე აიწყო.

— ხელი ხელსა ბანს და ორივე კი პირსო, — ამბობდნენ კომბინატორები და ქარხანაში შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მათ ფუნქციებიც კი გაინაწილეს. ქარხანაში შემოღებული არ იყო საშვები სისტემა, რაც ხელს უწყობდა ქარხნიდან პროდუქციის დატაცებას. ქარხნის ტექნიკური განყოფილების მოღვაწეობა იმით ამოიწურებოდა, რომ არ აწარმოებდნენ სააქროებიდან გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვას. სარეზინო სააქროში კონტროლი არ ეწეოდა

რეზინის ნაწარმისა და რეზინის ჩექმების დამზადებას.

კომბინატორებს ქარხნიდან გამოქონლად „მარცხენა“ საქონელი. სავაჭრო ორგანიზაციებში მათ თავიანთი ხალხი ყავდათ და მათი მეშვეობით მალაზიებს უხვად ამარაგებდნენ. ახერხებდნენ საქონლის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანასაც.

კომბინატორებთან კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდა ზურაბ არტემის ძე ჯაჯავა, რომელიც ა/კავკასიის რეინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს შემსყიდველი ბაზის უფროს საქონელმცოდნეთ მუშაობდა.

1957 წლის ივნისის ერთ თბილ მზიან დღეს ზ. ჯაჯავასთან სამსახურში ერთი კაცი გამოცხადდა.

— ზურაბ არტემიჩ ჯაჯავას ნახვა სად შეიძლება? — იკითხა მან. — მე ვახლავართ. რა გინებათ? — უპასუხა ნ. ჯაჯავამ.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — უპასუხა უცნობმა, — მე ვახლავართ ქ. კრასნოდარის № 389 მალაზიის გამგე ფეოდორ პეტრეს ძე კოსნიცი. თქვენთან სარეკომენდაციო ბარათი გამომატანა ჩვენი სავაჭრო განყოფილების უფროსის მოადგილე კავტანოვიმა.

ზ. ჯაჯავამ კონვერტი გახსნა და კითხვას შეუდგა. მას სახეზე თანდათან კმაყოფილების ღიმილი ეხატებოდა, — გაება ღლავი ბადეში, — გაიფიქრა მან და გონებაში მომავალი კომბინაციის გეგმები შეუშუშავდა. მან მეგობრულად გაუღიმა კოსნიციის და გამოწვილ მარჯვენას მარჯვენა შეაგება.

დატრიალდა ზ. ჯაჯავა. მან გამოიყენა სამსახურეობრივი მდგომარეობა და ა/კავკასიის რეინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს სავაჭრო შემსყიდველი ბაზის უფროსის მათევის სიანის სახელით თვითონ დაწერა მიმართვა რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის დირექტორის სახელზე — კრასნოდარის № 389 მალა-

ზიისათვის 5.000 წყვილი რეზინის ჩექმის გაგზავნის შესახებ.

„გამოგონებამ“ გასჭრა. ვითომდა მიმართვის საფუძველზე კრასნოდარის № 389 მაღაზიას გადაეგზავნა 5.650 წყვილი რეზინის ჩექმა, ღირებული 482.305 მანეთად. აქედან 3.650 წყვილ რეზინის ჩექმაზე საწყობის გამგემ როსტომოვმა სწორად ვაფორმა ზედნადები და არტიკულები ხარისხის მიხედვით და გასაგზავნად მოათავსა კონტეინერებში, 2.000 ცალი „მარცხენა“ საქონელი კი ყოველგვარი ზედნადებისა და ვაფორმების გარეშე დაიტვირთა.

იმისათვის, რომ მიეჩქმალათ დატაცებული 2.000 წყვილი რეზინის ჩექმის მითვისება, მომარაგების უფროსს საფაროვს უფროსმა ბულაღტერმა თუთბერიძემ ურჩია გაგზავნილი საქონელის ანგარიში საწყობიდან მიღებულად არ წარმოედგინა ბულაღტერიაში, აგრეთვე არ წარედგინა, თუ რომელი კონტეინერებით იყო საქონელი გაგზავნილი და არც კონტეინერების სალიმიტო წიგნაკის ანგარიში.

თუთბერიძე ამასაც არ დასჯერდა და, რომ მთლიანად დაეფარა 2.000 წყვილი რეზინის ჩექმის დატაცება, მან საფაროვს ჩამოართვა ზედნადების ეგზემპლარები, რითაც საფაროვმა გასცა საწყობიდან 3.650 წყვილი რეზინის ჩექმა, ხოლო 2.000 წყვილ რეზინის ჩექმაზე ფორმალურად გაცემის საბუთები გაანადგურა. საწყ-

ობის გამგემ როსტომოვმა კი საწყობის ანგარიშში სრულიად არ აჩვენა 2.000 წყვილი რეზინის ჩექმის გაგზავნა.

ამრიგად, კომბინატორებმა შესძლეს საბუთებში ეჩვენებინათ კრასნოდარში გაგზავნილად მხოლოდ 3.650 წყვილი რეზინის ჩექმა. დატაცებული საქონელი კონსიციკიმ და მისმა დამქაშებმა მშვიდობიანად მიიღეს. კონსიციკიმ რეზინის ჩექმები გაუნაწილა კრასნოდარის № 406 და № 448 მაღაზიის გამგეებს მარტიროსოვსა და სტრასნიცკაის. მათ საქონელს სწრაფად უქნეს რეალიზაცია და ფული ურთიერთ შორის განაწილეს.

მაგრამ მელიის ქუჩაში გახვეულ კომბინატორებს მალე კოვა წყალზე გაუტყდათ. ისინი მხილებულნი იქნენ და სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ. მათი საქმე ვაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დ. ბალათურის თავმჯდომარეობით. კომბინატორებს ღირსეული სასჯელი მიეზღოთ: ნ. თუთბერიძეს, რ. სტეფანიანს, ფ. კონსიციკის და რ. როსტომოვ თვითუღლ მათგანს მიესჯათ 10 წლით პატიმრობა შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით. ზ. ჯაჯავას, გ. საფაროვს, გ. მარტიროსოვს შეეფარდათ სასჯელის სხვადასხვა ზომი.

ზ. მენენგისერი

საქართველოს ადვოკატთა საერთო კრების ანგარიში

მკვლელობის აღმოჩენის შემდეგ

საქართველოს ადვოკატთა საერთო კრების ანგარიში

მიმდინარე წლის 17 და 18 ივნისს გაიმართა საქართველოს ადვოკატთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ჭელიძე. მოხსენებელმა ილაპარაკა იმ დიდ საკანონმდებლო მუშაობაზე, რომელიც წარმოებს ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით კი პარტიის XX და XXI ყრილობების შემდეგ, ვრცლად შეჩერდა საბჭოთა მართლმსაჯულებისა და ადვოკატთა წინაშე მდგომ ახალ ამოცანებზე.

— ჯერ კიდევ 1958 წლის 22-25 დეკემბერს საბჭოთა კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ, — აღნიშნავს აშხ. ს. ჭელიძე, — მიიღო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები; სისხლის სამართალწარმოების საფუძვლები; სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლები და სხვა მნიშვნელოვანი კანონები.

დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად მომზადებულია ახალი საპროცესო, სისხლის სამართლის კოდექსებისა და სასამართლო წყობილების კანონის პროექტები, რომლებითაც საგრძნობლად გაფართოებულია ადვოკატის უფლებები, გადიდებულია მათი მრავალმხრივობა. ეს ახალი მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე აყენებს საბჭოთა ადვოკატებს.


შემდეგ მოხსენებელი შეეხო იმ ღონისძიებებს, რაც საქართველოს ადვოკატთა კოლე-

გიის პრეზიდიუმმა განახორციელა ადვოკატთა ახალი დებულების პროექტის შესამუშავებლად. სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ს. ჭელიძე, ა. გელოვანი, ვ. სიღამონიძე, გ. უგრეხელიძე და ა. სავინაშვილი სერიოზული მუშაობა გასწია, გაითვალისწინა არა მარტო შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, არამედ იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის მოსაზრებანი, საბჭოთა ადვოკატების საქმიანობის ორმოცი წლის გამოცდილება და შეადგინა ახალი დებულების პროექტი, რომელიც ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ მიიწონა 1959 წლის აგვისტოში. შემდეგ იგი ძირითადად მიიწონა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ.

მოხსენებელი შეეხო ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობის საკითხს და აღნიშნა, რომ საქართველოში ადვოკატთა რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს იურიდიული მომსახურებისათვის საჭირო ნორმას. ასეთი მდგომარეობა სერიოზულად უშლის ხელს ადვოკატურის მუშაობას, იწვევს ადვოკატთა ნაკლებ დატვირთვას, და ბუნებრივია, რომ ბევრს ნაკლები გამოუმუშავებია აქვს. დღეისათვის კოლეგიაში ირიცხება 519 იურისტი, რომელთა 92 პროცენტზე მეტი უმაღლესი განათლებითაა. კოლეგიაშია 97 ქალი. რაც 20,5 პროცენტს შეადგენს.

სასამართლო პროცესზე ჭეშმარიტების დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადვოკატის სინდისიერ მიდგომას საქმისადმი, მისი მუშაობის ხარისხს. ადვოკატების მოფიქრებულმა, პრინციპულმა და კანონშესაბამისმა ჩოქმედებამ განაპირობა მრავალი სისხლისა და სამოქალაქო საქმის სწორად გადაწყვეტა. მონდომებული და ენერგიული მუშაობით არაერთი სასამართლო შეცდომა გამოსწორდა.

1960 წლის თებერვალში თბილისის კიროვის რაიონის პროკურორმა იურიდიულ კონსულ-



ტიციას სთხოვა არასრულწლოვანი ბრალდებულის ილზა სუნას ინტერესების დაცვისათვის გამოეყო ადვოკატი. ამ საქმის წარმოება ზიენდო კლ. კალანდაძეს. ილზა სუნა მხილებული იყო ქურდობაში, მაგრამ ბრალდებული ადრე მოკლებული ყოფილა მზრუნველობას. ომის პერიოდში ჯერ კიდევ ბავშვს მშობლები დაეკარგა. იგი ქუჩაში აღმოჩნდა და ბევრი ხეტიალის შემდეგ თბილისში ჩაშვიდა, სადაც ქურდობისათვის დააპატიმრეს. კლ. კალანდაძემ შეძლო დაედგინა, რომ ილზას დედა ცოცხალია და მუშაობს ყაზახეთის რესპუბლიკაში, მასთან კავშირ-ურთიერთობა დაამყარა და სასამართლო პროცესის დროს თავის 14 წლის წინათ დაკარგულ შვილთან ჩამოიყვანა. ადვოკატის შუამდგომლობისა და დედის მუდარის მიუხედავად სახალხო სასამართლომ ჩხედველობაში არ მიიღო ბრალდებულის მცირეწლოვანება და მის გარშემო შექმნილი მდგომარეობა და ილზა სუნას ერთნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ადვოკატმა კლ. კალანდაძემ ამის პასუხად საკასაციო საჩივარი შეიტანა რესპუბლიკის პროკურატურაში, რის შედეგად ილზა სუნა გაათავისუფლეს და დედას გადასცეს.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ადვოკატები გ. უგრეხელიძე, ვ. ყურაშვილი, დ. დიდებულიძე, ალ. საგინაშვილი, ა. გელოვანი, ვ. ურატაძე, ბ. ხომერიკი, ვ. ნინუა, ბ. ბარათაშვილი, ზ. ამირალოვი, მ. ალხაზაშვილი, ალ. ქიქინაძე, არ. ფხაკაძე, გ. ჯაფარიძე და სხვ.

სამწუხაროდ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ადვოკატთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

მომხსენებელმა გააკრიტიკა ზოგიერთი ადვოკატი, რომლებიც იმის მაგიერად რომ ხელს უწყობდნენ სასამართლო პროცესზე ჭეშმარიტების დადგენას, ცდილობენ დაუსაბუთებლად მიიღწიონ კლიენტის გამართლებას, ხელს უშლიან სასამართლო შემადგენლობას საქმიანობაში. მაგალითად, მომხსენებელმა აღნიშნა ადვოკატ გ. ქლენტის მოქცევა სასამართლო პროცესზე. იგი, 29 აპრილსა და 10 მაისს ბრალდებულ გურასპაშვილის დაცვისას, შეგნებულად უშლიდა ხელს სასამართლოს შემადგენ-

ლობას, პროკურორს. დაზარალებულს დასაცველს, მოწმეთა დაცობისას ჭირვეულობდა, იძლეოდა ერთდაგივე კითხვებს, დასცინოდა პროკურატურის მუშაკებს, უცნაურ დახასიათებას აძლევდა თავისთავს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადვოკატურის ავტორიტეტს. ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ შექმნევებს, როდესაც ადვოკატი არღვევს სოციალისტურ კანონიერებას, სჩადის ამორალურ საქციელს, ეწევა გამოძალგას, შუამავლობას, რითაც იგი ტალახში სვრის ადვოკატურის ავტორიტეტს. პრეზიდენტი მკაცრად იბრძვის ასეთი ადვოკატების წინააღმდეგ. არაკეთილსინდისიერი მოქმედებისათვის ადვოკატურიდან გაირიცხა ვ. ჩიქოვანი, პ. მაგლაძე, ვლ. თენიშვილი და სხვ. შემჩნეულია, რომ ზოგჯერ იურიდიული კონსულტაციების ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ იბრძვიან ცალკეული გადაცდენების, უსაქციელობის დონსხვათა გამოაშკარავებისა და დაგმობისათვისა.

ამხ. ს. ჭელიძე შეეხო პრეზიდენტის მუშაობას და აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა პრეზიდენტის პასუხისმგებლობა. იგი დაამკაყოფილებლად ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს ადვოკატთა კოლეგიის მუშაობაზე, აწყობს იურიდიულ კონსულტაციებს, შემოწმებებს, ამხელს ნაყოლოვანებებს და იბრძვის მათი აღმოფხვრისათვის.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა ფოთის, სამტრედიის, ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის, მარნეულის, ყვარლის, თელავის, ტყაბულის, ჭიათურის, ხაშურის და სხვა რაიონების იურიდიულმა კონსულტაციებმა.

ადვოკატთა მიერ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობაში ჩატარებულია 2500 ლექცია-მოსხენება საბჭოთა სამართლისა და სოციალისტური კანონიერების საკითხებზე.

გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ პროცესებზე წარმოთქმულ ადვოკატთა სიტყვების გამოქვეყნებას. სამწუხაროდ ეს საქმე სათანადო სიმალღზე არ დგას. მიუხედავად ამისა არის ცალკეული კარგი წამოწყება: მაგალითად

ადვოკატ ალ. საგინაშვილის სიტყვა დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ გასული წლის მეოთხე ნომერში. გაზეთებსა და ჟურნალებში ნაყოფიერად თანამშრომლობენ ა. გელოვანი, ჯ. ბაქრაძე და სხვა. ცალკე წიგნად გამოვიდა ადვოკატ ა. გელოვანის შრომა — „დაუსჯელი დამნაშავენი“.

კრებაზე მოხსენებით — „ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ“ გამოვიდა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი ა. ფხაკაძე. მომხსენებელმა ილაპარაკა ადვოკატურის წინაშე მდგომ ახალ ამოცანებზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება ადვოკატთა საშუალო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ამ მიზნით მოსკოვში, კიევში, ვლადიმირში, როსტოვსა და სხვა ქალაქებში მიავლინა წარმომადგენლები, ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ახლად დანერგული სისტემების გასაცნობათ. მომხსენებელმა კრებას გააცნო რსფსრ-ს და უკრაინის სსრ-ს ზოგიერთ ოლქში არსებული ანაზღაურების ახალი სისტემის არსი, აღნიშნა, რომ ამ ოლქებში ასეთი სისტემის დანერგვას ხელი შეუწყო ადვოკატთა საერთო რიცხვის შედარებით მცირე რაოდენობამ, აგრეთვე იმ მდგომარეობამ, რომ განატირებული მინიმუმი ბევრად ნაკლებია ადვოკატთა საშუალო თვიურ გამომუშავებასთან. ასეთი პირობების უქონლობა აძნელებს საქართველოში და კერძოდ თბილისში ანაზღაურების ახალი სისტემის დანერგვას.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვში ერთ ადვოკატზე მოდის 4.450 მცხოვრები, ლენინგრადში 6.612, კიევში 4.321, ხოლო თბილისში 2.282 მცხოვრები. ბუნებრივია, რომ თბილისში ადვოკატთა საქმით დატვირთვა გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, თბილისში ადვოკატთა დატვირთვა 3-4 ჯერ ნაკლებია ვიდრე იმ ოლქებში სადაც ანაზღაურების ახალი სისტემა შემოღებული. გაცილებით დაბალია თბილისში და საერთოდ საქართველოში ადვოკატთა საშუალო გამომუშავებაც, რაც აგრეთვე სერიოზულად აძნელებს ანაზღაურების ახალი სისტემის დანერგვას. ამ სიძნელების გათვალისწინებით

მომხსენებელმა გამოთქვა აზრი, რომ საქართველოში ჯერჯერობით მიზანშეწონილია დარჩეს ანაზღაურების ძველი სისტემა.


კრებაზე მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხ. ალ. მიქაძე) და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საფინანსო ანგარიში (მომხ. გ. მირზაშვილი).

მომხსენებელმა ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ივ. სანთელაძემ, სტალინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ კ. პიჭაძემ, ადვოკატმა ჯ. ბაქრაძემ და სხვებმა ძირითადად დადებითად შეაფასეს პრეზიდიუმის მუშაობა და შეეხენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი ადვოკატურის მუშაობაში, გააკრიტიკეს სასამართლოების მუშაობა, მათი დამოკიდებულება ადვოკატთა მიმართ.

ადვოკატებმა ალ. დოლიძემ და ჩაკვეტაძემ გააკრიტიკეს პრეზიდიუმის მუშაობა, მოითხოვეს ადვოკატთა გამომუშავების გადიდება ადვოკატების რიცხვისა და პრეზიდიუმის შტატის შემცირების ხარჯზე. წამოაყენეს წინადადება, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს იურიდიული კონსულტაციების რიცხვი, მაგალითად თბილისში 6 იურიდიული კონსულტაციის ნაცვლად დარჩეს მხოლოდ 2.

ამხ. ვ. გრძელიძემ თავის სიტყვაში დააყენა საკითხი, რომ პრეზიდიუმის მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელთა ნაწილი არ სწავლობს განსახილველ საქმეებს და არ ემზადება დაცვითი სიტყვისათვის.

ამასთან ადვოკატურაში მიღების მოწესრიგების მიზნით პრეზიდიუმთან უნდა შეიქმნეს მიმღები საკვალიფიკაციო კომისია, უნდა დაჩქარდეს ახალი ნიხრის დამტკიცება და მოწესრიგდეს კონსულტაციებში საქმეთა განაწილება. ამხ. გრძელიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ადვოკატთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას იმ საშუალებებით, რაც პრეზიდიუმს გააჩნია და ადვოკატურის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით გაძლიერდეს პრეზიდიუმის მიერ საზოგადოებრივი მუშაობა, გამოჩინილ მოღვაწეებთან შეხვედრის



სალამოების მოწყობით, იურიდიული კაზუსების განხილვით და სხვა.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პროკურორმა მ. თოფურიძემ, რომელმაც აღნიშნა თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადვოკატები მართლმსაჯულების განხორციელებაში. ბევრმა შესანიშნავმა ადვოკატმა ძვირფასი წვლილი შეიტანა ახალი კოდექსის შექმნის საქმეში. რესპუბლიკის პროკურორმა მკაცრად გააკრიტიკა ადვოკატები, რომლებიც ივიწყებენ საპატიო მოვალეობას — ეთილსინდისიერად მიუღწევენ საქმეს, დაეხმარონ სასამართლო ორგანოებს ჭეშმარიტების დადგენაში, ცდილობენ მალა დააყენონ

ნონ პირადი ინტერესები სამართლიანობასა და საბჭოთა ადვოკატის საპატიო მოვალეობაზე.

ადვოკატებმა კ. კუხალეიშვილმა, დოლიძემ და შ. გვათუამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა პრეზიდენტმა მეტი ყურადღება მიაქციოს ადვოკატთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კ. კუხალეიშვილმა მოითხოვა, რომ დაწესდეს პენსიონარიდან დაქვეითვა 20 პროცენტის რაოდენობით ე. ი. ისე, როგორც ეს დაადგინა წინა საარჩევნო-საანგარიშო კრებამ.

კრებამ განხილულ საკითხებზე მიიღო სათანადო ღონისძიებანი და აირჩია ახალი პრეზიდენტი.

შ.ახიბაშვილი

კრიმინალისტური ლაბორატორიის შრომების სუკარო განხილვა

ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მოაწყო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის შრომების საჯარო განხილვა. სხდომებს დაესწრნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მუშაკები, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილების მეცნიერთანამშრომლები და სხვ.

ფაკულტეტის დეკანის დოც. გ. ინწკირველის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა დოც. ბ. ხარაზიშვილი.

მოხსენებელმა ვრცლად განიხილა კრიმინალისტური ლაბორატორიის მიერ გამოშვებული შრომები. მან აღნიშნა, რომ კრებულეებში მოთავსებული სტატიები, შეიცავენ ისეთ მასალებს და ცნობებს, რომლებიც საკმაოდ დამუშავებულია და ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში. ისინი არაფერს ახალს, ორიგინალურს არ წყვეტენ.

— სამწუხაროა, — განაცხადებს ორატორი, — რომ იმ შრომებში, სადაც ავტორები ცდილობენ გადმოგვეცენ ორიგინალური აზრი, უხეშ

შეცდომებს უშვებენ. ეს განსაკუთრებით ითქმის ლაბორატორიის გამგის გ. ციმაკურიძის სტატიებზე. მაგალითად № 2 კრებულში მოთავსებულია გ. ციმაკურიძის — „დაქტილოსკოპიის ზოგიერთი საკითხი“. 72-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ დაქტილოსკოპიის ისტორია, ე. ი. ადამიანის თითების ანაბეჭდის იდენტიფიკაციის მიზნით პაპილარული დარგების გამოყენების ისტორია დაიწყო კლასიური საზოგადოების გაჩენასთან და პირადი საკუთრების დაცვის მიზნით პიროვნების ზუსტი დამოწმების აუცილებლობის აღმოცენებასთან ერთად. ამის დადასტურების ერთერთ ფაქტად ავტორს მოჰყავს ცნობა სვეტიცხოვლის და სხვ. ტაძრების კედლებზე ხელის გამოსახულების ფაქტი, ასევე IX საუკუნის თითების ანაბეჭდები ქართულ ლავგარდინებზე, ჭურჭელზე და სხვ.

ამ გამოსახულებებს არავითარი კავშირი არა აქვთ დაქტილოსკოპიასთან. საერთოდ კი მომხსენებლის აზრით, დაქტილოსკოპია, როგორც სპეციფიკური დარგი, წარმოიშვა საზოგადოებრივი განვითარების გაცილებით უფრო გვიან საფეხურზე.

მიმდინარე წელს გამოვიდა ამავე ავტორის ბროშურა „კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნა და მისი შეფასება სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მიერ“, დოცენტ ვ. შანი-

ძის რედაქციით. წინასიტყვაობაში აღნიშნულია თითქოს დასახელებული ბროშურა „წარმოადგენს კრიმინალისტური ექსპერტიზის თეორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქების პირველ ცდას ქართულ ენაზე“.

ბ. ხარაზიშვილი კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განიხილავს აღნიშნული ბროშურის ნაკლოვანებებს. — ავტორი არასახარბიელო მდგომარეობაში იგდებს თავს, როდესაც წერს: „კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში წარმოადგენს კატეგორიული დასკვნა პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს და რა შემთხვევაში არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს ე. ი. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელონ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებმა ამ საკითხის გადაჭრის დროს, ჩვენ სამჭოთა კრიმინალისტურ და პროცესუალურ ლიტერატურაში პასუხი ვერ ვიპოვეთ“.

როგორც სისხლის სამართლის პროცესში, ისე კრიმინალისტიკაში, — ამბობს მომხსენებელი, — ექსპერტიზის შესახებ მიძღვნილ შრომებში ყველგან გასაგებად არის გაშუქებული ეს საკითხი.

გარდა იმისა, რომ გ. ციმაკურიძის აღნიშნული ბროშურა თავიდან ბოლომდე შეცდომებს შეიცავს, მასში ზუსდებით აგრეთვე მთელ რიგ უსწორო გამოთქმებს, როგორცაა: „იდენტიფიკაციის ნიშნები“ (მე-10 გვ.), „სუბიექტური აზროვნებით“ (17 გვ.) და სხვ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ო. მგელაძის სტატიას „გავაუმჯობესოთ კრიმინალისტური ექსპერტიზაზე გაგზავნილი მასალების შეგროვება და გაფორმება“. ორატორის აზრით მისი გამოქვეყნება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან ამ საკითხზე ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გამოცემულია ინსტრუქცია. მომხსენებელი არ ეთანხმება ამავე ავტორის მიერ სტატიაში — „ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხისათვის საქართველოში“, — განვითარებულ აზრს, თითქოს პ. ვ. სტრუვეს მიერ 1876 წელს თბილისში დაარსებული ქიმიური ლაბორატორია იყოს პირველი და უძველესი კრიმინალისტური ლაბორატორია საქართველოში.

შემდეგ ბ. ხარაზიშვილი შეჩერდა კრებულში გამოქვეყნებულ სხვა სტატიებზე: გ. ვაჩიშვი-

ლის — „ტყვიებსა და მასრებზე ცეცხლმსროლელი იარაღის კვანძები და მათი ფიქსირების მეთოდები“, ა. ჩითაევის — „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დამამტკიცებელ გარემოებით ჩადენილ მკვლელობისათვის“, კ. ვაჩიშვილის — „მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია“ და სხვ.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ფალაშვილმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კამათში, აღნიშნა, რომ № 2 კრებულში მოთავსებული მასალების ორი მესამედი სრულიად არ ეხება კრიმინალისტიკის საკითხებს. მან მკაცრად გააკრიტიკა გ. ციმაკურიძის შრომები.

სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსმა ექსპერტმა ო. მგელაძემ, აღნიშნა, რომ მომხსენებელი სწორი იყო, როდესაც გამოთქვა აზრი ლაბორატორიის შრომების ნაკლოვანებათა შესახებ, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ორატორს, თითქოს არცერთ შრომას არა აქვს რაიმე სასარგებლო ღირებულება. ამის დასადასტურებლად მან მოიყვანა მთელი რიგი დამაჯერებელი არგუმენტები. ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი გ. ვაჩიშვილი მომხსენებელს შეედავა პრინციპულ საკითხებში. კვრიად მან თქვა, რომ კრებულებში მოთავსებულ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვთ კრიმინალისტიკაში ქართულ ტერმინოლოგიის დადგენისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კრიმინალისტური ლაბორატორიის მიერ გამოცემული შრომების ავტორებმა: თ. ლილუაშვილმა, ა. ჩითაევმა, აგრეთვე ადვოკატებმა მ. ნანიკიშვილმა, ჯ. ბაქრაძემ და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-მედიკური ლაბორატორიის გამგემ მ. თვალჭრელიძემ.

სხდომის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა კრიმინალისტური ლაბორატორიის გამგის გ. ციმაკურიძის გამოსვლამ, რომელმაც გვერდი აუარა შრომების საჯარო განხილვის დროს წამოჭრილ მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებს.

შრომების საჯარო განხილვის შედეგები შეაჯამა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა გ. ინწყირველმა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ეს ღონისძიება დადებით როლს შეასრულებს კრიმინალისტური ლაბორატორიის შემდგომ მუშაობაში.

გაითხველთა კონფერენციები

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში ამას წინად მოეწყო სსრ კავშირის პროკურატურის ყოველთვიური ორგანოს — ყურნალ „სოციალისტიკესკაია ზაკონოსტის“ მკითხველთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ პროკურატურის, სასამართლოს, ადვოკატურის, მილიციის სამმართველოს, ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის მუშაკები, იურისკონსულტები, ი. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თანამშრომლები.

მკითხველთა კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ მ. ვეფხვაძემ. მოხსენებით გამოვიდა ყურნალ „სოციალისტიკესკაია ზაკონოსტის“-ის განყოფილების გამგე ი. შეველიოვი.

— არსებობის 37 წლის მანძილზე, — ამბობს ი. შეველიოვი, — „სოციალისტიკესკაია ზაკონოსტის“ იურიდიული დარგის მუშაკთა და მკითხველთა შორის ფართო პოპულარობა მოიპოვა. ყურნალის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება მასალები საბჭოთა სამართლის აქტუალურ პრობლემებზე, პროკურატურის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ. ყურნალი ზრუნავს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადობისათვის. უკანასკნელ ხანებში ყურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის გაშუქებას. ამ მიზნით რედაქციამ ყურნალში შემოიღო განყოფილებანი: „სახალხო რაზმეულები საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე“, „ამხანაგური სასამართლო იცავს მოქალაქეთა უფლებებს, და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ი. როსტომაშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა იმაზე,

თუ როგორ აშუქებს ყურნალი სისხლის საპართლის კანონმდებლობის საკითხებს. — საჭიროა, — ამბობს აშხ. ი. როსტომაშვილი, რომ ყურნალმა თავის ფურცლებზე მეტი ადგილი დაუთმოს პროკურატურის ორგანოების როლს დანაშაულის გახსნის საქმეში.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე ვ. ყვანია თავის გამოსვლაში შეჩერდა ყურნალის უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულ მასალებზე, მისი აზრით, „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების“ განხილვასთან დაკავშირებით. საჭირო იყო ყურნალს უფრო მეტი მასალები მოთავსებინა. ვ. ყვანია შეეხო აგრეთვე ყურნალში მოთავსებული მხატვრული ნარკვევების აკარგვანობას.

ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსმა მასწავლებელმა ა. კარანაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია ყურნალში უფრო მეტი რაოდენობით იბეჭდებოდეს საინტერესო მასალები სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობის შესახებ. მანვე დააყენა საკითხი, რომ ყურნალში ხშირად ქვეყნდებოდეს მასალები პერიფერიებიდან.

ქ. თბილისის რაიონის სახალხო მოსამართლემ თ. გერსამიამ ყურნალის მუშაობის ნაკლად მიიჩნია ის, რომ მის ფურცლებზე ჯერ კიდევ საკმაოდ არ შუქდება სახალხო მოსამართლის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, თუ როგორ უნდა წარმართოს მოსამართლემ სახალხო მსაჯულებთან მუშაობა. — კარგი იქნება, — ამბობს აშხ. თ. გერსამია, — თუ ყურნალი მოთავსებს ისეთი სახის მასალებს, სადაც განალიზებული იქნება სახალხო სასამართლოს მიერ განხილული სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კანონიერება.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების

პროკურორი მ. მირზოევი და ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო პროკურორის უფროსი თანაშემწე ე. კისელევი.

მკითხველთა კონფერენციის შედეგები შესაჯავამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ მ. ვეფხვაძემ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, რომელმაც უკანასკნელ წლებში გამოსცა სერიები იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე. გამომცემლობის პროდუქციამ მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასახული გამომცემლობის წინაშე მომავალში. შედგენილია იურიდიული ლიტერატურის გამოცემის პერსპექტული გეგმა 1960-65 წლებისათვის, რომელსაც ინტერესით იხილავენ იურისტთა — მკითხველთა კონფერენციებზე.

იურიდიული ლიტერატურის გამომცემლობის ზუთწლიანი პერსპექტიული გეგმის განხილვას მიეძღვნა თბილისში ახლახან ჩატარებული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილების, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მუშაკებმა.

შოხსენებით გამოვიდა იურიდიული ლიტერატურის გამომცემლობის მთავარი რედაქტორის მოადგილე ან. ვლასოვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პერსპექტიული გეგმა ძირითადად შეადგინეს იურიდიული ლიტერატურის გამომცემლობის რედაქციის მუშაკებმა. ამ საქმეში ფართო მონაწილეობა ვერ მიიღეს მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა, განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების იურიდიული დარგის მუშაკებმა. რედაქციამ გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და მოსალოდნელი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში მოეწყო კონფერენციები. ამ ღონისძიებამ იმედები გააძარცვა. მართო საქართველოს სსრ-ში წინასწარი განხილვის შედეგად ოცმა მეცნიერ მუშაკმა ივალდებულა წიგნების გამოქვეყნება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გამომცემლობამ ბევრი საინტერესო ნაშრომი გამოსცა. მაგრამ „საქმეების“ მიხედვით ეს წიგნები რესპუბლიკის იურიდიული დარგის მუშაკებამდე ვერ დადის. ახალი პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს უხლოეს ხუთ წელიწადში იურიდიული ლიტერატურის გაცილებით მეტი რაოდენობით გამოცემას წინა წლებთან შედარებით. გეგმის თანახმად გამოცემული უნდა იქნეს სახელმძღვანელოები როგორც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, ისე ისტორიის საკითხებზე. ამ თემებზე გამოიცემა 308 შრომა, საბჭოთა მშენებლობაზე 299, ბევრი ნაშრომის გამოცემაა გათვალისწინებული აგრეთვე საკოლმეურნეო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე. სულ გამოცემული იქნება 1847 წიგნი და ბროშურა 20.457 თაბახის რაოდენობით. აუცილებელია „საქმეების“ აქედანვე გაითვალისწინოს ამ ლიტერატურის გავრცელების ორგანიზაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასეთი კონფერენციები შესაძლებლობას იძლევა, ახლო კონტაქტი დამყარდეს იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობასა და ქართველ იურისტებს შორის, უკეთესად იქნეს გათვალისწინებული იურიდიული მუშაკების მოთხოვნები.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა გამოთქვეს საყურადღებო შენიშვნები გამომცემლობის მუშაობისა და ახალი პერსპექტიული გეგმის შესახებ.

ე. სუმბათაშვილმა აღნიშნა, რომ ადრე გამოცემული იურიდიული ლიტერატურა საკმაოდ მოქველებულია, რის გამოც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზუთწლიანი პერსპექტიულ გეგმით გათვალისწინებული ნაშრომების გამოქვეყნებას. მან აღნიშნა, რომ 1949 წელს გამოცემული იურიდიული ლექსიკონი ძალზე მოქველებულია, პერსპექტიული გეგმის მიხედვით კი იგი 1963 წლამდე ვერ გამოვა. ისე-

თი აუცილებელი სამაგიდო წიგნი, როგორცაა იურიდიული ლექსიკონი, საჭიროა გამოცემული იქნას მიმდინარე წელსვე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ თ. ცაგურამ ილაპარაკა იურიდიული წიგნებისა და სახელმძღვანელოების დიდ როლზე დანაშაულობათა აღმოფხვრის საქმეში. მან აღნიშნა, რომ კიდევ არ არის სათანადო ლიტერატურა საკოლმეურნეო სამართლის მტკიცეულ საკითხებზე.

გამომცემლობის ხუთწლიანი პერსპექტული გეგმის ვრცელი მიმოხილვა გააკეთა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა თ. წერეთელმა. მან მაღალი შეფასება მისცა ამ გეგმას და მოიწონა პროექტის განხილვა მოკავშირე რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოში. აღნიშნა გამომცემლობის სერიოზული და დიდი მუშაობა ხუთწლიანი პერსპექტული გეგმის მომზადებასა და გამოცემაში. შემდეგ გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები. კერძოდ, მისი აზრით პერსპექტული გეგმა გადატვირთულია ზოგიერთი საკითხებით, ხოლო სხვა არა ნაკლებ აქტუალურ თემებს მცირე ადგილი აქვს დათმობილი. შეეხო რა გამოცემულ იურიდიულ ლიტერატურას სისხლის სამართლის საქმეებზე, პროფესორმა თ. წერეთელმა აღნიშნა, რომ იგი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მკი-


თხველთა მოთხოვნებს, საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ და თავიანთი შენიშვნები გამოთქვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტმა ლ. ალექსიძემ, „საქწიგნის“ ვაჭრობის განყოფილების უფროსმა განაგებამ-ვილმა, თბილისის მილიციის სამმართველოს მუშაკმა გ. თვანიანმა. მათ ძირითადად მაღალი შეფასება მისცეს სახელმწიფო იურიდიული გამომცემლობის ხუთწლიან პერსპექტულ გეგმას. მოითხოვეს უფრო ფართო ადგილი დაეთმოს გეგმაში ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური მართლწესრიგის დაცვის საქმეში და სხვ.

დოც. ლ. ალექსიძემ შენიშნა, რომ გამომცემლობის წიგნები ქართველ იურისტებამდე ვერ აღწევს. მაგალითად უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსაც კი არა აქვს ბევრი აუცილებელი წიგნი, მან დააყენა საკითხი მეტე-ყურადღება მიექცეს სახელმძღვანელოების გამოცემას.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა კმაყოფილება გამოთქვა საქმიანი შენიშვნებისათვის და აღუთქვა კონფერენციის მონაწილეებს, რომ გამომცემლობა გაითვალისწინებს მათ თავის საქმიანობაში.

კა იუჩილიუდი ღიჯეკაჯუკა გემოიხევა 1960 წელს ქართულ ენაზე



ჟურნალის მკითხველები: ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. იობიძე, სახალხო მოსამართლე ე. კუბლაშვილი, ყაზბეგის რაიონის პროკურორი ი. ელოშვილი, თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. მაისურაძე, ხაშურის რაიონის პროკურორი შ. გელაშვილი, ადვოკატი გ. ჯაფარიძე, ქ. ქუთაისის პროკურატურის გამომძიებლები ს. ყიფიანი და კ. მილორავა, ლანჩხუთის რაიონის პროკურორი მ. კეკელია, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი ბ. ცხელაშვილი, ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე ო. კოლუაშვილი და სხვები გვთხოვენ ჟურნალის საშუალებით გავაცნოთ რა სახის იურიდიული ლიტერატურა გამოიცემა ქართულ ენაზე მიმდინარე წელს.

გასრულებთ მათ თხოვნას.

1. რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 25 თაბახი, ტირაჟი 3.000 ეგზ. ფასი 15 მან.

2. კანონების კრებული, ტ. II. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 35 თაბახი, ტირაჟი 14,0.

4. გ. ერემოვი — საქართველოს სსრ კონსტიტუციის განვითარების ეტაპები. თსუ გამომცემლობა, 20 თაბახი, ტირაჟი 2.000 ეგზ. ფასი 6 მან.

შრომაში განხილულია: საბჭოთა სახელმწიფო სამართლის ძირითადი პრობლემა — კონსტიტუციის პრობლემა, საბჭოთა ფედერაციის პრინციპები, ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოში რევოლუციის არსებობის პერიოდში (1921-22 წწ.), შემდგომი პერიოდის ცვლილებები საქართველოს სახელმწიფო მართლებლაში, საქართველოს ახალი (მესამე) კონსტიტუცია, მისი შინაარსი და ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა მან 1937-1960 წლებში.

5. ნ. ლომსაძე — საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო ურთიერთობის მომწესრიგებელ მასალათა კრებული. თსუ გამომცემლობა, 20 თაბახი, ტირაჟი 5.000 ეგზ. ფასი 13 მან.

წიგნში ქრონოლოგიურად და საგნობრივად არის დალაგებული ვრცელი მასალა მიწათსარგებლობის და საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე.

6. ტ. გ. ბრეგაძე — ბერძნული სამართალი და ვახტანგ VI დებულება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 14 ფორმა, ტირაჟი 1.000 ეგზ. ფასი 5 მან.

წიგნი ვახტანგ VI დებულებაში შესული ბერძნული სამართლის ქართულად გამოქვეყნებას წარმოადგენს.

ბას წარმოადგენს. ქართული ტექსტის გვერდით მოცემულია ბერძნული ტექსტიც. შრომა აღჭურვილია კვლევებით, ბერძნულ-ქართულა და ქართულ-ბერძნული ლექსიკონებით და ტერმინის მაჩვენებლებით.

7. ი. ჩადუნელი — დაკარგული იმედი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 10 თაბახი, ტირაჟი 10,0

მოთხრობების კრებული მიძღვნილია საბჭოთა პროკურატურისა და მილიციის მუშაკების ცხოვრებისადმი.

8. ა. იასლაშვილი — მგლის ბილიკი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 17 თაბახი, ტირაჟი 10,0.

რომანში მოთხრობილია მილიციის მუშაკების ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ.

9. ს. ყაუხჩიშვილი — ლათინურ-ქართული ლექსიკონი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 23 თაბახი, ტირაჟი 5,0.

ლექსიკონი დახმარებას გაუწევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს.

10. ი. გოგილაშვილი — საბჭოთა ავტონომია და მისი ფორმები. გამომცემლობა „ცოდნა“. 10 თაბახი, ტირაჟი 2,0.

წიგნში განხილულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებები ნაციონალურ საკითხში. დაწერილებით არის გაშუქებული საბჭოთა ავტონომიის ფორმები, ავტონომიის უფლებრივი მდგომარეობა და სხვ. დახასიათებულია ასსრ სახელმწიფო უფლებრივი ინსტიტუტი. ნაჩვენებია პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარება ავტონომიურ რესპუბლიკებში და ნაციონალურ ოლქებში.

11. კ. ბაბილოძე — აგარული ურთიერთობანი დასავლეთ საქართველოში მე-19-20 საუ-

კუნის მიჯნაზე. აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, 13 თაბახი, ტირაჟი 1,0, ფასი 8 მან.

ნაშრომი ასახავს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში აგარაული ურთიერთობის გამწვავებას საკლუხო რეფორმის შემდეგ.

12. ი. ვ. ჭყონია — ოჯახის ფორმების განვითარება საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 15 ფორმა, ტირაჟი 1.000 ეგზ., ფასი 9 მან.

შრომში ავტორს წერილობითი წყაროების გვერდით მოყავს მეცნიერულ ლიტერატურაში აღრე უცნობი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. შრომაში აღმოჩენილია ოჯახის ეკონომიური საფუძველი, მისთვის დამახასიათებელი შრომის ორგანიზაცია და მისი ადგილი საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ქართული ოჯახის სპეციფიკურ თავისებურებებს.

13. ვ. დ. ითონიშვილი — ქართული (მოხუცური) საქორწინო ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 15 თაბახი, ტირაჟი 1.000 ეგზ.

ავტორის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (მოხევეების) საქორწინო ურთიერთობათა ძველი და ახალი ფორმები, დადგენილია მათი განვითარების საფუძურები და სხვა საკითხები.

14. ნ. ქანთარია — ფეოდალის მეურნეობა მე-18 საუკუნის საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 7 ფორმა, ტირაჟი 1.000 ეგზ., ფასი 3 მან.

წიგნში განხილულია ფეოდალური მეურნეობის სამეურნეო ორგანიზაცია და სოციალურ-პოლიტიკური არსი.



ხალხის სამართალი—ხალხის ნებაა

ახალგაზრდა გვარდიელთა ჯალათს დახვრიავა მიესაჯა

ქ. ლუგანსკში უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ განიხილა სამშობლოს გამყიდველის, კრასნოდონის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილის, ჰიტლერელი ვარჯერის, „ახალგაზრდა გვარდიის“ გმირთა დასჯის მონაწილის ვ. პოდტინის სისხლის სამართლის საქმე.

სასამართლომ ყურადღებით მოისმინა მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებები, ყოველმხრივ გააჩნია ის საზიზღარი როლი, რომელიც პოდტინიმ ითამაშა ჰიტლერელთა მიერ ახალგაზრდა გვარდიელთა დასჯაში. იგი მარტო ფაშისტების ნებასურვილების ბრმა შემსრულებელი კი არ იყო, არამედ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერიც.

ერთ-ერთმა მოწმემ, მესამე განყოფილების ყოფილმა პოლიციელმა კოლოტოვიჩმა აჩვენა:

— ერთხელ პოდტინიმ, როცა ის ჩვენი განყოფილების კომენდანტი იყო, მიბრძანა დამეპატიმრებინა გენადი ლუკაშოვი — აქტიური ახალგაზრდა გვარდიელი. მე უარი ვუთხარი, მოვიმიზეზე რა ის, რომ გენადი ჩემი ნათესავი იყო. პოდტინი ამან საშინლად გააბრაზა, მან თქვა: „მე რომ მიბრძანონ, მშობელ მამასაც დაეხვრეტო“.

მოწმე ნ. კოროსტილევი — (ოლეგ კოშევიის ბიძა) 1943 წლის 11-დან 21 იანვრამდე იჯდა კრასნოდონის პოლიციის საკანში, საიდანაც მან შესძლო გაქცევა; იმ დღეებში საკანის კარების პატარა ხერხიდან იგი უთვალთვალებდა ყველაფერს, რაც კი პოლიციის შენობაში ხდებოდა. მან დაინახა თუ როგორ მიყავდათ დაკითხვაზე ჰიტლერელებს ახალგაზრდა გვარდიელები და შემდეგ როგორ მიათრევდნენ მათ უკან დერეფანში დასისხლიანებულებს, ხიშტით დაჩხვლეტილებს და გრძობდადაკარგულებს. მან ნახა ისიც, რომ 16 იანვარს ღამით, პოლიციელებმა, რომელთა შორის პოდტინიც იყო, როგორ გამოიყვანეს ვიწრო დერეფანში მამაცი იატაკქვეშელები — ვიქტორ ტრეტიაკევიჩი,

ვანია ზემნუხოვი, ანატოლი პოპოვი, ვალოდია ოსმუხინი და მათი აზნაანგები, დააყენეს ისინი მწკრივში და წაიყვანეს მანქანით. რამდენიმე ხნის შემდეგ პოლიციელები დაბრუნდნენ და იქვე სამორივეოში დაიწყეს დახოცილი გმირების გასისხლიანებული ტანსაცმელის გაყოფა. გაყოფას პოდტინი ხელმძღვანელობდა.

— თქვენ ადასტურებთ მოწმე კოროსტილევის ჩვენებას? — მიმართავს თავმჯდომარე პოდტინის. პოდტინი დუმს...

როგორც მოწმე, სასამართლოზე გამოვიდა ვ. ვარუშენკო. ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში ის მუშაობდა დაბა პერკომაისკის სოფლის სამმართველოს მდივნად, იგი ხშირად ხედავდა როგორ შედიოდა სამმართველოში ოფიცრის მახარაში ჩაცმული პოდტინი, რომელსაც მუდამ მათარახი ეჭირა ხელში და ტრახაზობდა თავის მეგობრებთან:

— ოჰ, დღეს მაგარად მოცხე ერთ ბოლშევიკს, ისე, რომ დიდხანს დაამახსოვრდება...

მოწმეთა ჩვენებები მთლიანად ადასტურებენ თქვენს მიმართ წაყენებულ ბრალდებას, — მიმართავს პოდტინის თავმჯდომარე, — ცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?

— დიახ, ვცნობ, — უხალისოდ გამოსცრის პოდტინი.

— თქვენ მონაწილეობდით ახალგაზრდა გვარდიელთა დაპატიმრებაში?

— დიახ.

— თქვენ მონაწილეობდით დაპატიმრებულ კომკავშირელთა დაკითხვაში და მიაცილებდით მათ დასჯის ადგილებამდე?

— დიახ.

— გვითხარით, პოდტინი, თქვენ წაიკითხეთ ფადეევის რომანი „ახალგაზრდა გვარდია“? — ეკითხება ბრალდებულს თავმჯდომარე.

— წავიკითხე.

— რა მიზნით?

— მე ვეტებდი ხომ არ იყო მასში ჩემი გვარი, — აღიარებს პოდტინი.



...სახელმწიფო ბრალმძებლის ი. ვ. კოშევიის ნათელი აზარტული სიტყვა რამდენჯერმე იქნა შეწყვეტილი დარბაზში დამსწრეთა მოწონების შეძახილებით.

დამცველის სიტყვის შემდეგ, უკანასკნელი სიტყვა ეძლევა ბრალდებულს — იგი დამანაშავედ გრძნობს თავს და მხოლოდ შეწყნარებას ითხოვს.

სასამართლო სათათბიროდ გადის. შესვენების შემდეგ ცხადდება განაჩენი. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სამშობლოს საზიზღარ გამყიდველს, ბილწ მკვლელს, პიტლერელთა ლაქიას, ახალგაზრდა

გვარდილთა ჯალათს, — ვ. პოდტირნის მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავისი ხალხის ბედნიერებას, სამშობლოს თავისუფლებას შესწირეს ახალგაზრდა სიცოცხლე კრასნოდონის მამაცმა იატაკქვეშელებმა. ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მათ ნათელ სახელებს, ხოლო სამარადისოდ დაწყვეტილი იქნებიან ისინი, ვინც მხეცურად გაუსწორდა სამშობლოს პატრიოტებს, ვინც დაღვარა მათი სისხლი.

„კომსომოლსკაია პრავდა“

ზურაბაშვილი ქვეყნებში

ნიუ-იორკი —

მცირაფლოვან

ბანკსტერთა ქალაქი

ჩვენ ბევრი რამ გგვმენია და წავგიკითხავს ამერიკელ განგსტერთა კლასიკური ქალაქის ჩიკაგოს შესახებ, მაგრამ ახლა როგორღაც ასე ხდება, რომ ჩიკაგო ლამის დავიწყების ჩრდილში მოექცეს და ნიუ-იორკი „ამობრწყინდეს მთელი თავისი განუყოფელი დიდებით“.

მსოფლიოს უდიდესი ქალაქი დღეს უკვე პირველ ადგილზეა მცირეწლოვანთა ბორცვოვანი მხრივ, რომელიც სულ უფრო კატასტროფული მასშტაბით იზრდება... საქმეს ვერ უშველა გასული წლის სექტემბრიდან პოლიციის რაოდენობის გაორმაგებამაც.

არავითარი გადაჭარბება არ არის, რომ ყოველივე ამის მხილველი ერთი ამერიკელი ისტორიკოსი, რომელსაც ბრალს ვერ დავდებთ არაობიექტურობასა და აჩქარებული, დაუკვირვებელი დასკვნების გამოტანაში, შეშფოთებული ტონით აცხადებს: „10 წლის შემდეგ ნიუ-იორკი ჯოჯოხეთად გადაიქცევა... მცირეწლოვან დამნაშავეთ ბანდები — აი, ამ ქალაქის ყველაზე დიდი პრობლემა“.

სტატისტიკა გვაუწყებს, რომ ნიუ-იორკში 800 ათასი ახალგაზრდული ბანდაა, თუმცა სიმართლესთან უფრო ახლო იქნება რამდენადმე შეტი წარმოვიდგინოთ, როგორც ამას ზოგიერთი საქმეში ჩახედული უცხოელი ჟურნალისტი გვიჩვენებს; დღე არ გავა ისე, რომ ნორჩ ვანგს-

ტერთა ბრბოებს შორის ხელჩართული ბრძოლა არ გაიმართოს, რომელიც უსისხლოდ და უმსხვერპლოდ არასოდეს არ მთავრდება. მარტო შარშან პოლიციას 70.000 მეტი ახალგაზრდა ბორცვოვანი დაუპატიმრებია. მაგრამ რა გამოვიდა: ერთი დაპატიმრებულის ნაცვლად ათი და ასი რჩება, რომელთაც რადიო და ტელევიზია სწირ შემთხვევაში „რაინდული შარავანდედით მოსავს“. საერთოდ განგსტერული მიდრეკილებების გავლით უკანასკნელ როლს არ ასრულებს ამერიკული ბულვარული ლიტერატურა, რომელიც მკვლევობის, საღიშისა და სხვა ძვენი ჩვევთა უწოდო ხობა-დიდებას შეიცავს.

ამერიკის საზოგადოება შეშფოთებითა და გულისტკივილით აღივსება თვალუხოს ახალგაზრდა განგსტერთა გნუკითხვთ თარემს და ცდილობს რამენიარად ზღვარი დაუღოს მას. მაგრამ, როგორ, რანაირად? ამაზე ჭერჭერობით დადებითი პასუხი ვერ გამოუძებნია.

ყველაზე მართალი, ამის თაობაზე გაჩაღებულ დისკუსიაში, შესაძლოა ქალაქ ნიუ-იორკის პოლიციის კომისრის კენტენის შემდეგი ალიარება იყოს: „ყველა ჩვენგანია პასუხისმგებელი, რომ მრავალი ბავშვი ცხოვრობს ჭურღმულებსა და სმინელ პირობებში, აგრეთვე დისკრიმინაციისათვის. ჭურღმულები პოლიციელებითაც რომ გამოავსოთ, სულ ერთია, თქვენ ვერ აღმოფხვრით მათში ჩამარხულ ბოროტებას“... — ჭურღმულებსა

და დისკრიმინაციის მოსპობა — მთავარი ესაა. მაგრამ აქ პოლიციას არაფრის გაკეთება არ ძალუძს. ამაზე უნდა ფიქრობდეს ამერიკის მთავრობა და ყველა ის, ვინც კიდევ იკვებება „ამერიკელ მოქალაქეთა მაღალი საარსებო დონის“ ყალბი ეფემერული ილუზიებით.

15.000 პროცენი მშვიდ-

დოზის მომხრეთა

წინააღმდეგ

დასავლეთ გერმანიაში უკანასკნელ ხანებში სწორად ეწყობა პოლიტიკური პროცესები. ახლა იქ დაიწყო ნამდვილი „ნადირობა“ დემოკრატიებსა და ომისათვის მზადების მოწინააღმდეგეებზე. მასობრივი ჩხრეკა, დაპატიმრება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ბონის რესპუბლიკაში. დასავლეთ გერმანიის ქალაქების ქუჩებში სწორად ისმის „მწვანე ჰაინრიხების“ გულშეწარავი ღრიალი (ასე უწოდებენ გერმანულელები პოლიციის ავტომატანებს).

კანცლერი ადენაუერს უყვარს დემოკრატიის სამოსში გამოწყობა და ფერად-ფერადი ფრაზების წარმოთქმა იმაზე, რომ „ქვეყნად არ არსებობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე უფრო დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფო“. ამას წინათ იქ გამოიკა მთავრობის მოღვაწეობის მიმოხილვა 10 წლის მანძილზე. მასში აღე-

ნაუერი კვლავ ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს სიტყვები „თავისუფლება“ და „დემოკრატია“, პატივისცემაში იყოს დასავლეთ გერმანიაში.

მაგრამ რა დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი იმ სახელმწიფოში, სადაც, კომუნისტური პარტიის გარდა, აკრძალულია 400-მდე დემოკრატიული ორგანიზაციის მოღვაწეობა? ამავე დროს 1.100 მილიტარისტულ და ფაშისტურ კავშირში შეუფერხებლად ეწევიან რევანშისტულ და მილიტარისტულ პროპაგანდას?

რა დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი იმ სახელმწიფოში, სადაც უკანასკნელი

წლების მანძილზე გაიმართა 15.000 პროცესი მშვიდობისმოყვარეთა და პროგრესულად განწყობილ ადამიანთა საქმეებზე?

პოლიციურმა თარეშმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაუგონარ მასშტაბს მიაღწია. ბონის იუსტიციამ მოაწყო სამარცხვინო სამსჯავრო შვიდი თვალსაჩინო დასავლეთგერმანული მშვიდობისმომხრე მოღვაწის წინააღმდეგ დიუსელდორფში, პროცესი დასავლეთგერმანული საფესტივალო ყოფილი კომიტეტის წინააღმდეგ დორტმუნდში, მრავალი პროცესი გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრებზე და სხვა.

საპოლიციო აქციებითა და

დემოკრატია სამართალში, მიცემით ხელისუფლება ცდილობს ხალხთა ფართო მასების ბონის დამლუპველი პოლიტიკით მწარდი უკმაყოფილების დათრგუნვას.

ამას წინათ მოწყობილი ფაშისტური პროვოკაციები, ანტიკომუნისტური პროვოკაციების ისტერია, პოლიციური ტერორი პირდაპირ კავშირშია ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვისა და რევანშის მომზადების ბონის მმართველი წრეების კურსთან.

დასავლეთ გერმანიის სულ უფრო აშკარად დაჰფარფატებს წარსულის აჩრდილი. ჰიტლერიზმის მიხაკისფერი აჩრდილი.

სასამართლო პრაქტიკა



სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. კოლმეურნეს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ პირდაპირი ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან მიაყენა კოლმეურნეობას თავის უყიარაობით და დაუდევრობით და არა ანაცდენი მოგება, რომელიც შეიძლება მიეღო კოლმეურნეობას.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სოფელ ქსოვრისის კოლმეურნეობის სარჩელი ვ. მახარაშვილის, ი. პაპაშვილის, ლ. ბუნტერის და სხვების მიმართ მოსავლის ანაცდენი ზარალის — 40.932 მანეთის გადახდევინების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წ. 10 ნოემბრის დადგენილებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ზეაუქმად და სოფელ ქსოვრისის კოლმეურნეობას სარჩელში უარი უთხრა შემდეგ გარემოებათა გამო:

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ემყარება იმ მოსაზრებას, რომ კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. მახარაშვილმა, აგრეთვე ბრიგადის წევრებმა ი. პაპაშვილმა, ლ. ბუნტერმა და სხვებმა ვერ უზრუნველყვეს მათზე გაპიროვნებული ვაშლის ხეების და ჭარხლის ნაკვეთის სათანადო მოვლა, რის გამოც კოლმეურნეობამ ნაკლები მოსავალი მიიღო და ამის შედეგად ზარალი განიცადა.

სახალხო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება სასოფლო-სამეურნეო წესდების მე-17 მუხლის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 5 მაისის დადგენილების მეექვსე მუხლის (ამჟამად მოქმედი 1960 წ. 26 მარტის დადგენილების მერვე მუხლი) მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ პირდაპირი ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან მიაყენა კოლმეურნეობას და არა ანაცდენი მოგება, რომელიც შესაძლებელია კოლმეურნეობას მიეღო.

2. დამოუკიდებელი უფლება საცხოვრებელ ფართობზე მოპოვებული აქვო მხოლოდ იჯახის იმ წევრებს, რომელნიც ამ ფართობზე ფაქტიურად ცხოვრობდნენ.

ქალაქ თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ქ. მიქაბერიძის სარჩელი გ. და მ. კაპანაძეების მიმართ საცხოვრებელ ფართობზე საერთო უფლებით ბინაში შესასვლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 26 დეკემბერს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პრეზიდიუმმა და დადგენილება და ქ. მიქაბერიძის სარჩელში უარი უთხრა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩლე ქ. მიქაბერიძე 1958 წლის ოქტომბერში ცოლად გაეყვა მოპასუხე გ. კაპანაძეს და დღიდან შეუღლებისა ახალგაზრდა ცოლქმარი ცხოვრობდნენ მოსარჩლე მიქაბერიძის მშობლების ბინაში წერეთლის პროსპექტზე № 74. ცოლქმარი მხოლოდ 17 დღეს, 1959 წლის ივლისში იმყოფებოდნენ მოსარჩელის — დედამთილის მ. კაპანაძის ბინაში — ჩელუსკინელების ქუჩაზე № 74-ში.

პრეზიდიუმმა სცნო, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ქმრის მშობლებთან სტუმრად ყოფნა ვერ დაედება საფუძვლად ქ. მიქაბერიძის სარჩელის დაკმაყოფილებას, რადგან მას არა აქვს მოპოვებული დამოუკიდებელი უფლება საცხოვრებელ ფართობზე დედამთილის ბინაში.

3. ისეთი ქორწინების ფაქტის დადგენა, რომელიც მოხდა რელიგიური წესით საქართველოს რევკომის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტის ფაქტიურად განხორციელებამდე უნდა მოხდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის დადგენილების მესამე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 10 ივნისის დადგენილებით

უარი უთხრა ა. ბიჩახჩიანს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენაზე, რომ ეს 1919 წელს დასაბუთებული იყო მეუღლე ქ. ბიჩახჩიანისა, რომელიც გარდაიცვალა 1959 წელს.

სახალხო სასამართლოს დადგენილება 1959 წლის 13 აგვისტოს ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 25 აპრილს გააუქმა ორივე დადგენილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ უარი უთხრა ა. ბიჩახჩიანს იურიდიული ფაქტის დადგენაზე იმ მოტივით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ არ არსებობდა ისეთი ობიექტური გარემოება, რომელმაც ხელი შეუშალა ქუეყანებს მშენებლის ორგანიზაციაში მოხდინათ ფაქტური ქორწინების რეგისტრაცია.

თავის განცხადებაში ა. ბიჩახჩიანი აღნიშნავდა, რომ მან 1919 წელს რელიგიური წესით იქორწინა ქ. ბიჩახჩიანთან და მისგან ყავს ოთხი შვილი. ამ გარემოების დასადასტურებლად ის მოითხოვდა მოწმეების დაკითხვას. სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება ა. ბიჩახჩიანის ამ განცხადებას, არ დაკითხა მის მიერ დასახელებული არც ერთი მოწმე და ისე უთხრა უარი ფაქტური საქორწინო ურთიერთობის იურიდიული ფაქტის დადგენაზე.

სასამართლოს მოქმედება არ არის სწორი. რამდენადაც ა. ბიჩახჩიანი მიუთითებდა, რომ 1919 წელს რელიგიური წესით გაყვა ცოლად ქ. ბიჩახჩიანს. სასამართლოს მისი განცხადება უნდა განეხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის დადგენილების „ბ“ პუნქტის შესაბამისად, როგორც ქორწინების რეგისტრაციის დადგენის ფაქტის დადასტურება და არა ამ დადგენილების „დ“ პუნქტის მიხედვით, როგორც საქორწინო ურთიერთობათა მდგომარეობის ფაქტის დადგენა.

საქმის ხელახლა განხილვის დროს სასამართლომ უნდა შეამოწმოს ბიჩახჩიანის განცხადების სისწორე და თუ დადგინდება, რომ ქორწინება მართლაც მოხდენილი იყო რელიგიური წესით 1919 წელს, უნდა დაადასტუროს ეს იურიდიული ფაქტი.

1. არასწორია მსჯავრდადებულის კოლექტივზე აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემა უკეთეს ის თავს არ ცნობს დამნაშავედ.

ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 30 იანვრის განაჩენით ი. კორტი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 5817 „გ“ მუხ. 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შესაბამისად სსკ 48 მუხლისა შეეცვალა 1 წლით შრომა-გასწორებითი მუშაობით, სასჯელს ადგილზე მოხდით, გამომუშავებიდან 15%-ის დაქვითვით. სასამართლომ დააკმაყოფილა სოფ. ლელოვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრების შეამდგომლობა და ი. კორტი აღსაზრდელად გადაეცა კოლექტივს.

აღნიშნული განაჩენი დატოვებული იქნა ძალაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 2 აპრილის განჩინებით.

ი. კორტს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მუშაობდა რა დასახელებული კოლმეურნეობის საბარგო ავტომაქანის მძღოლად 1959 წლის 23 დეკემბერს, ახალციხიდან 6 კილომეტრის დაშორებით გზაზე, მოსახვევში არ შეანელა მანქანის სვლა, რის შედეგად შემხვედრი მანქანის გვერდის ახვევის მომენტში მანქანა გაცურდა და ხევში გადავარდა, რის გამო მგზავრებმა არსენიშვილმა, ტაბატაძემ და თვითონ მძღოლმა მიიღეს სხეულის დაზიანებანი.

აღნიშნული განაჩენისა და განჩინების გაუქმების მიზნით რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე პროტესტით შევიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წინაშე და მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის ხელმეორედ განხილვა იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი ი. კორტის კოლექტივზე გადასაცემად, რადგან ის თავს არ ცნობს დამნაშავედ და ამასთან შეფარდებული სასჯელი ჩანადენ დანაშაულთან შედარებით ლმობიერია. პრეზიდიუმმა პროტესტის მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანად ცნო და თავის დადგენილებაში მიუთითა:

ი. კორტი არც წინასწარ და არც სამსჯავრო გამოძიებაზე თავს დამნაშავედ არ ცნობს, საქმეში არსებული მასალებით კი მასზე წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია, ასეთ პირობებში მისი კოლექტივზე აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემა უსწორო იყო.

უსწორო იყო მისი კოლექტივზე გადაცემა იმისათვისაც, რომ მას შეფარდებული აქვს რეალური სასჯელი შრომა-გასწორებითი მუშაობის სახით, რომელიც თავისთავად არის გამასწორებელი ღონისძიება.

ი. კორტი სხვა დროს სამართალში არ ყოფილა, კოლმეურნეობა სადაც ის მუშაობს ახასია-

თებს დადებითად, აღნიშნულისა და საქმის კონკრეტულ გარემოების მხედველობაში განაჩენის გაუქმება ლმობიერების მოტივით უსწორია.

ზემოაღნიშნულისა გამო პრეზიდიუმმა პროტესტის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება კორტის მიმართ დატოვებული იქნა ძალაში ცვლილებით — განაჩენიდან ამოირიცხა მისი კოლექტივზე აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემა.

2. მარტოდენ გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა არ შეიძლება საფუძვლად დაედვას გამამტყუნებელ განაჩენს.

ქალაქ თბილისის, კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 15 თებერვლის განაჩენით ა. ბ-მე ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 96 მუხლით და მიესაჯა ერთნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შესაბამისად სსკ 48 მუხლისა შეეცვალა 1 წლით შრომა-ვასწორებითი მუშაობით სასჯელის საშუალო ადგილზე მონდით, გამომუშავებლად 20%-ტის დაქვეითვით.

აღნიშნული განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 5 მარტის განჩინებით.

ა. ბ-მე ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ 1959 წლის 8 და 10 აგვისტოს დაწერა ცილისმწამებლური წერილები ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის სახელზე ამავე ორგანიზაციის რევიზორის ქიოშვილის მიმართ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 23 მაისის დადგენილებით საქმე წარმოებით მოსპო შემდეგი საფუძვლებისა გამო:

ა. ბ-მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი დამყარებულია მარტოდენ გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვით სადაო ცილისმწამებლური წერილები დაწერილია ა. ბ-მის მიერ.

არც წინასწარი და არც სამსჯავრო გამოძიებით ბრალდების მტკიცების სხვა რამ მასალა არ არის.

თვით ბ-მე კატეგორიულად უარყოფს ცილისმწამებლურ წერილების ავტორობას, მარტოდენ გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა კი, თუ ის სხვა რამ მტკიცებით არ არის გამაგრებული, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

3. განაჩენი ვერ დარჩება ძალაში უკეთეს სასჯელის ღონისძიება არ შეეფარდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს

ქალაქ ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 15 თებერვლის განაჩენით მ. იოსებაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულების მე-3 მუხლის პირველი ნაწილით „მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“ და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 9 მარტის განჩინებით.

მ. იოსებაშვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მართადა რა პირად საკუთრებაში მყოფ მსუბუქ ავტომანქანა „მოსკვიჩს“, 1959 წლის 1-ლ ნოემბერს დაბა საჩხერეში დაარღვია მოძრაობის წესები, განავითარა დიდი სისწრაფე და დაჯახა მანქანა მოქ. ყიფიანს, რომელიც მიღებული დაზიანების შედეგად მეორე დღეს გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა რა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი, რომელიც მოითხოვდა განაჩენის, როგორც ლმობიერის გაუქმებას და საქმის ხელმეორედ განხილვას, ცნო ის საფუძვლიანად შემდეგი გარემოების გამო:

უკეთეს სასამართლომ დადგინებულად ჩათვალა, რომ მ. იოსებაშვილმა არ იცოდა მანქანის ძარბა, არ ჰქონდა მანქანის მართვის უფლება და მიუხედავად ამისა ააშუშავა ის და განავითარა გადაჭარბებული სისწრაფე, დაჯახა მანქანა მოქ. ყიფიანს, რის შედეგად ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, მაშინ სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი გამოეტანა იოსებაშვილისათვის ასეთი ლმობიერი სასჯელი.

პრეზიდიუმმა გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ილუსტრაციის მიმართ და საქმე არსებითად განსახილველად გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლო 1960 წლის 6 აპრილის განაჩენით დ. მანაგაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 58¹⁷ „გ“ მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 28 აპრილის განჩინებით.

დ. მანაგაძეს მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მუშაობდა რა საბარგო ავტომანქანის მძღოლად 1960 წლის 6 მარტს მართავდა მას არაფხიზელ მდგომარეობაში, განავითარა დიდი სისწრაფე, რის შედეგად ქუჩის გზაჯვარედინზე მანქანა დააჯახა მოქ. ხურციძეს, რომელიც მიღებულ იქნა ტრავმის შედეგად იმავე დღეს გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის საფუძველზე აღნიშნული განაჩენი და განჩინება გაუქმდა და საქმე ხალხალ განსახილველად სამსჯავრო სხდომის სტადიიდან გადაეცა დმანისის რაიონის სახალხო სასამართლოს შემდეგი საფუძვლისა გამო:

უკეთუ სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მანაგაძე არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა მანქანას, ანვითარებდა დიდ სისწრაფეს, რის შედეგად მანქანა დააჯახა ქუჩაში მიმავალ მოქალაქეს, რომელიც გარდაიცვალა, მაშინ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი გამოეტანა ასეთი ლმობიერი სასჯელი.



1. ერთ ძიებით განცხადებაში შეიძლება გაერთიანებულ იქნას რამოდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნა, მხოლოდ იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1956 წლის 30 მაისის № 3-34 საინსტრუქტორო წერილით, მაშინ, როდესაც დავა გამოძინარეობს რკინიგზის, წყლის, ან საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვებიდან.

ერევის მაცივარკომბინატმა აღძრა ძიება ა/კავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან დაქაფანის სასაკალოსთან 1.439 მანეთისა და 59 კაპიკის გადახდევინების შესახებ. ძიებითი თანხა წარმოდგენდა ორი კომერციული აქტი დადგენილი ზორცის დანაკლისის ღირებულებას. ვინაიდან თითოეული კომერციული აქტი დად-

გენილი დანაკლისის თანხა 1.000 მანეთზე ნაკლები იყო, სახელმწიფო არბიტრაჟმა არ მიიღო ეს ძიება თავის წარმოებაში და დაუბრუნა იგი მასიებელს, რათა ძიება წარემართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წ. 14 მარტის ბრძანებულებით დადგენილი წესით.

2. უთანხმოების ოქმი უნდა შედგეს და გაეგზავნოს მიმწოდებელს ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან ერთად, ხელშეკრულებაში სათანადო აღნიშვნით და არა ხელშეკრულების დადების ორი თვის შემდეგ.


ერევის ქარხანა „ავტოზაპხასტის“ დირექციამ 1959 წ. 9 დეკემბერს ხელი მოაწერა გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მიერ გამოგზავნილ ხელშეკრულებაზე 1960 წლისათვის სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე. ხელშეკრულება ხელმოწერილ იყო და დაუბრუნდა მიმწოდებელს ყოველგვარი შედეგების გარეშე. 1960 წ. 1 თებერვალს მიმწოდებელმა ქუთაისის საავტომობილო ქარხანას გაუგზავნა უთანხმოების ოქმი, რითაც შეედავა ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტს.

ვინაიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 22 მაისის № 539 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით საწარმოო ტექნიკურ დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ № 16 მუხლისა და დებულების სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ 12 მუხლის თანახმად უთანხმოების ოქმი უნდა შედგეს და გაეგზავნოს მიმწოდებელს ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან ერთად, ხელშეკრულებაში სათანადო აღნიშვნით, სახელმწიფო არბიტრაჟმა დასტოვა ასეთი ვანუხილველად.

3. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივი უარისთქმა ან პირობების ცალმხრივი შეცვლა აკრძალულია.

თბილისის № 3 მექანიკურმა ქარხანამ ხელშეკრულება გააფორმა ვორონეის „გორბრომტორგთან“ აღუშინის ნაწარმის მიწოდებაზე, რის შემდეგ საქონელი არ მიაწოდდა. საქონლის შესყიდვებმა ორგანიზაციამ სახელმწიფო არბიტრაჟში აღძრა ძიება მომწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გადახდევინების შესახებ საქონლის მიწოდებისაგან. განმარტებაში თბილისის № 3 მექანიკური ქარხნის დირექციამ განაცხადა, რომ ხელშეკრულება მან ვერ შეასრულა იმის გამო, რომ „ზობტორგმა“ აუკრძალა ამ ნაწარმის რესპუბლიკის გარეშე გატანა, ვიდრე ის არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას ადგილობრივი

ორგანიზაციების წინაშე. სახელმწიფო არბიტრაჟმა დააკაყოფილა ვორონეის „გორპრომტორგის“ ძიება სრულად, ვინაიდან დებულების სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ მუხ. 16-ს თანახმად, ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივი უარის თქმა ან პირობების ცალმხრივი შეცვლა აკრძალულია. მიმწოდებელს, თუ მას ხელშეკრულების დადების შემდეგ შეეცვალა მდგომარეობა და ხელშეკრულების შესრულება არ შეეძლო, უნდა შეეთანხმებინა ხელშეკრულების გაუქმების საკითხი მყიდველთან, ანდა შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიემართა სათანადო არბიტრაჟისათვის.



4. ისეთი საქონლის მიწოდებაზე, რომელზედაც არ არსებობს სათანადო წესით დადგენილი ფასი, ხელშეკრულების დადება არ შეიძლება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფასი განისაზღვრება შეთანხმებით), ხოლო თუ ხელშეკრულება დაიდვა, მხარეს უფლება არა აქვს მოითხოვოს მისი შესრულება.

რესპუბლიკურმა ბაზამ „საქგალანტერიამ“ აღძრა ძიება თბილისის კულტსავალანტერიო ნაწარმის ფაბრიკისაგან სანქციების გადახდევინებაზე 1959 წლის 16 იანვრის დადებულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიუწოდებლობისათვის. დავის გარჩევის პროცესში გამოიჩინა, რომ იმ ბაზარზე, რომლის მიწოდებაზე დადგენილ იქნა ხელშეკრულება, არც

ხელშეკრულების დადების მომენტში და არც დავის გარჩევის დროს საცალო ფასი დამტკიცებული არ იყო სათანადო წესით. სახელმწიფო არბიტრაჟმა „საქგალანტერიას“ უარი უთხრა ძიებაზე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის სანქციების შესახებ და იცნო, რომ ამ ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელია.


5. ძიება მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება იქნეს აღძრული მხოლოდ იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება და არა ტვირთის გამომგზავნის მიმართ.

„როსგლავჩერმეტსნაბსბიტის“ თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანტორამ აღძრა ძიება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოსთან 1959 წლის პირველ კვარტალში ლითონის მიუწოდებლობისათვის. არბიტრაჟის დადება მოპასუხედ დასახელებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების წარმოდგენის შესახებ (მოპასუხე უარყოფდა ხელშეკრულების არსებობას) მაძიებელმა არ შეასრულა და ამის ნაცვლად აღძრა შუამდგომლობა

საქმეში თანამოპასუხედ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩაბმის შესახებ, იმ მოტივით, რომ ხელშეკრულება დადებული აქვს ზემდგომ ორგანოებს, ხოლო განრიგი დაშვებულია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე.

სახელმწიფო არბიტრაჟმა უარი უთხრა მაძიებელს მის ძიებაზე, ვინაიდან სანქციების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მოდავე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ქობიკა



საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობისა და პროფკავშირების როლის საკითხი და აღნიშნა, რომ ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია მთლიანად ვერ იყენებს წესრიგის დამრღვევებზე საზოგადოებრიობის გავლენის უდიდეს ძალას.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დააეღა პროფკავშირულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი. საფაბრიკო-საქარბნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა არ უნდა დატოვონ უყურადღებოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, გამოი-

ტანონ ეს შემთხვევები საზოგადოების სამსჯავროზე, შექმნან დამრღვევთა გარშემო საყოველთაო დავმობის ვითარება. მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივებში ცალკეულ პირთა დანაშაულის განხილვა უნდა გახდეს აღზრდის, სამართლის დარღვევის წარმომშობ მიზეზების თავიდან აცილების და აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

საფაბრიკო, საქარბნო და ადგილობრივ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ყოველნაირი დახმარება გაუწიონ სახალხო რაზმებს.



პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილი-

სის განყოფილებამ, საქარბნოს ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურა კომიტეტმა და ცენტრალურა კულტურის სახლის გამგეობამ მოაწყეს თემატური საღამო.

საღამო შესავალი სიტყვი გახსნა გ. სულაბერიძემ.


მოხსენებით თემაზე — პროფკავშირების როლი სოციალისტური კანონიერების გამტკიცებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში — გამოვიდა ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ვ. ხმალაძე.

ქ. თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი იუსტიციის მრჩეველი დ. ფოჩიანი დამსწრეთ ესაუბრა შრომის კანონმდებლობის საკითხებზე.

შემდეგ მოეწყო კითხვა-პასუხი.

მალვა ვლადიმერის ძე მესხიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიმდინარე წლის 17 ივნისს 76-წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი იურისტი შალვა ვლადიმერის-ძე მესხიშვილი.

თბილისში საშუალო განათლების მიღების შემდეგ, შ. მესხიშვილი ოდესაში გაემგზავრა და უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მოეწყო, მაგრამ მალე გადადის იურიდიულ ფაკულტეტზე.

რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის გამო შ. მესხიშვილმა უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება მან შესძლო მხოლოდ 1909 წელს, ხარკოვში.

1910 წლიდან შ. მესხიშვილი მუშაობას იწყებს ნაფიც ვეჟილის თანაშემწედ და ამ დროიდან მის პროფესიას ადვოკატობა წარმოადგენს.

1910-1914 წლებში შ. მესხიშვილმა დაიცვა ქართული უურნალ-გაზეთების მთელი რიგი რედაქტორ-გამომცემლები, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი მეფის მთავრობისა და არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ მიმართული სტატიების, ფელეტონების, პამფლეტების და სხვა მასალების დაბეჭდვისათვის.

საბჭოთა ადვოკატურის ჩამოყალიბების დღიდან მესხიშვილი 39 წლის განმავლობაში ემსახურებოდა სოციალისტური კანონიერების სწორად განხორციელების საქმეს. მრავალი წლის განმავლობაში მას უცვლელად ირჩევდნენ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის შემადგენლობაში, აქტიურად მონაწილეობდა კოლეგიის საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით ათეულობით ახალგაზრდა ადვოკატი აღიზარდა, რომლებიც კეთილსინდისიერად ემსახურებიან საბჭოთა ადვოკატურას.

გამოჩენილი იურისტის, კეთილსინდისიერი მოამაგის შ. მესხიშვილის სახელი დიდხანს იცოცხლებს მისი ამხანაგებისა და მოწაფეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

საკრედიტო კოლეგია:

- მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურაძე,
გ. ინწკირველი, თ. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),
თ. წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-88-05

შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება

გადაეცა წარმოებას 13/VI-60; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-60 წ;
ანაწყობის ზომა 7×12 ქალაღის ზომა 70×108; პირობითი ფორმათა რაოდენობა 7,5;
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 5,5.

შეკვ. № 1042

ტირაჟი 3.300

შპ 03840

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ., № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии.
Тбилиси, ул. Ленина № 14.

6 / 203
ფან 5 856.



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР